2024
ოქტომბერი

შავი წიგნი

“შავი წიგნი“ - კორუფციის მხილება
გამომცემელი: გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება “აი, ფაქტი”
www.ifact.ge

პროექტის მხარდაჭერა ხორციელდება ფრიდრიხ ნაუმანის ფონდ თავისუფლებისათვის
და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ „აღმოსავლეთ პარტნიორობის
ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაფართოების“
პროექტის ფარგლებში.

copiryght @ 2024 “შავი წიგნი”
ყველა უფლება დაცულია

ყდა, ლოგო და დიზაინი: ანა გველესიანი
ილუსტრაციები: ნინო გაგუა
რედაქტორი: ნინო ბაქრაძე
ავტორები: ია ასათიანი, ნათია მიხელიძე,
მანანა ღოღობერიძე, მარიამ კაჭკაჭაშვილი,
თამუნა ქიმაძე, შორენა ლაღაძე,
ნანა ბრეგაძე, აიდან იუსიფი,
რობი ზარიძე, ეთო მიდელაშვილი

ოქტომბერი 2024
ტირაჟი 200 ცალი. ვრცელდება უფასოდ
ხელმისაწვდომია ციფრულად www.blackbook.ge-ზე.

FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
South Caucasus

გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება

Auswärtiges Amt

WWW.BLACKBOOK.GE

მოგესალმებით!

საქართველო ჰიბრიდული დემოკრატიაა, სადაც მთავრობის სხვადასხვა უწყებაში ნეპოტიზმი და კორუფცია ჯერ ისევ მძლავრადაა ფესვგადგმული. ქვეყანაში ამ დროისთვის არ არსებობს პოლიტიკური დისკურსი, რომელიც ამ მანკიერებებს ნათლად დაუპირისპირდებოდა. ნეპოტიზმი და კორუფცია ქმნის გარემოს, რომელშიც იფლანგება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული რესურსი და გადასახადების გადამხდელების მიერ ბიუჯეტში შეტანილი ფული. ამის გარდა, იფლანგება დრო და შესაძლებლობები, რომელიც აზიანებს მომავალი თაობების ცხოვრების ხარისხს. ამის ერთ-ერთი მაგალითია სკოლების გაჭიანურებული მშენებლობა - ამ ამბავსაც უფრო ვრცლად გაეცნობით ამ გამოცემაში.

ჟურნალი, რომელიც ახლა გადაშლილი გაქვთ, "შავი წიგნია" და აერთიანებს 9 ჟურნალისტურ გამოძიებას, რომელიც სისტემურ პრობლემებზე, კორუფციისა და ნეპოტიზმის შემთხვევებზე გიამბობთ. აქ ნახავთ თემებს დაკავშირებულს ოკუპირებულ აფხაზეთთან, სკოლებისა თუ გზების მშენებლობასთან, რუსეთიდან მოსული ბიზნესმენის ხელში აღმოჩენილ სახელმწიფო რესურსზე თუ მეღვინეობის სფეროში მიღებულ ნეპოტისტურ გადაწყვეტილებებზე. ამ გამოძიებებზე გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება "აი, ფაქტის" ჟურნალისტები 6 თვის განმავლობაში მუშაობდნენ.

"შავი წიგნის" იდეის ავტორი და მხარდამჭერია "ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისათვის სამხრეთ კავკასიაში." პროექტის მხარდაჭერა უზრუნველყოფილია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაფართოების" პროექტის ფარგლებში.

პროექტის გუნდი ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს მიერ მოძიებული ფაქტები და ინფორმაცია გახდება ამ თემებზე ფართო დისკუსიის ხელშემწყობი. მკვლევართა და აქტივისტთა ჯგუფებს, პოლიტიკოსებს, საჯარო მოხელეებს და საერთაშორისო პარტნიორებს კი დაეხმარება ამ პრობლემებზე მუშაობაში და ეფექტიანი გადაწყვეტილებების პოვნაში.

საუკეთესო სურვილებით,
რედაქტორი ნინო ბაქრაძე

საჩჩევი

ოქტომბერი, 2024

აბასთუმანი-ბაღდათის გზა: ექვსწლიანი შრომა, დახარჯული მილიონები და ბუნდოვანი კონფრაქტები
რობი ზარიძე
..... გვ.6

უკონფლოლო დაფინანსება: რაზომ ვერ სარგებლობენ გაღელები უფასო ჯანდაცვით
მარიამ კაჭკაჭაშვილი და ნათია მიხელიძე
..... გვ.14

გურჯაანის მეღვინეობა: ძაღაუფლების, კორუფციის და რუსული კავშირების ისტორია
აიდან იუსიფი
..... გვ.29

პოლიტიკა, სარგებელი და პრივილეგიები - ბოლქვაძეების ოჯახური ბიზნესის ისტორია
ნანუკა ბრეგაძე და მანანა ღოღობერიძე
..... გვ.34

ეკონომიკის შვიდმა მინისტრმა სამინისტროს ერთი შენობა ვერ ააშენა
ეთო მიდელაშვილი
..... გვ.41

თანამედროვე სტანდარტები თუ სრული ქაოსი: როგორ მუშაობს 11-მილიონიანი წამლის ეროვნული ლაბორატორია?
მანანა ღოღობერიძე და ნანუკა ბრეგაძე
..... გვ.48

ლენტეხი-მესტიის გზა - მარადიული წინასაარჩევნო დაპირება
მარიამ კაჭკაჭაშვილი და ნათია მიხელიძე
..... გვ.56

როგორ წაართვა არასწორად დაგეგმილმა პროექტებმა ბავშვებს სკოლები
თამუნა ქიმაძე და შორენა ლაღაძე
..... გვ.63

როგორ გადაუხადა "ოცნებამ" ვალი დავით ხიდაშელს: კუროტტები შელავათიან ფასად
ია ასათიანი
..... გვ.72

აბასთუმანი-ბაღდათის გზა: ექვსწლიანი შრომა, დახარჯული მილიონები და ბუნდოვანი კონჯრაქტები

ავტორი: რობი ზარიძე

აბასთუმანი - ბაღდათის დამაკავშირებელი გზა - ეს ის ამბიციური პროექტია, რომლის შესახებაც უამრავ განცხადებას ნახავთ სახელმწიფო უწყებების ვებგვერდებზე. ყველა მათგანში ამოიკითხავთ სიტყვათშეთანხმებებს: "მაღალი ტემპით მიმდინარეობს" , "გარდამტეხ ფაზაში შევიდა" და სხვა. მთავარი, რაც ამ განცხადებებს განასხვავებს თარიღებია, რომელიც ამ პროექტის დასრულების სავარაუდო დროს გვამცნობს. ეს თარიღი კი ყოველ ჯერზე სხვადასხვაა. "პროექტი 2018 წელს დაიწყო და მისი დასრულება ეტაპობრივად მოხდება 2022 წლამდე", - იუწყებოდა საავტომობილო გზების დეპარტამენტი 2019 წლის ნოემბერში. ამ განცხადებიდან ხუთი წლის თავზე უწყება კვლავ წერს - სამუშაოები მაღალი ტემპით მიმდინარეობსო, მაგრამ ამჯერად დასრულების ვადაც აღარ მიუთითებიათ.

გადავწყვიტეთ ადგილზე გვენახა 6-წლიანი "მაღალი ტემპით მუშაობის" შედეგი, დეტალურად შევისწავლეთ დეპარტამენტის მიერ გზის რეაბილიტაციაზე გამოცხადებული ყველა ტენდერი და მასში მონაწილე კომპანიები. აღმოჩნდა, რომ გზის ძირითადი ნაწილი დაუსრულებელია, რამდენიმე მონაკვეთი კი - მიტოვებული. უკვე დასრულებული მონაკვეთები კი - ხელახლა გასაკეთებელი.

ამ სტატიაში მოგიყვებით, როგორ იქცა აბასთუმანი-ბაღდათის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ოცნებად, ვინ და რატომ ჰპატიობს მშენებელ კომპანიებს შეუსრულებელ ვალდებულებებს და რა გარემოებები მიუთითებს შესაძლო კორუფციაზე.

ქუთაისი-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარა - ასე ჰქვია ოფიციალურად გზას, რომელიც საქართველოს ორ რეგიონს - იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთს აკავშირებს ზეკარის უღელტეხილის გავლით. ეს უმოკლესი მარშრუტია ორ რეგიონს შორის. ეს გზა მთლიანობაში 102 კილომეტრია, საპროექტო (სარეაბილიტაციო) ნაწილი კი 61-კილომეტრიან მონაკვეთს მოიცავს, რომელიც კურორტ აბასთუმნიდან იწყება და ზეკარის უღელტეხილის გავლით, მდინარე ქერშავეთის ხეობას მიუყვება და ქალაქ ბაღდათში სრულდება.

ამ საუღელტეხილო გზით ადგილობრივი მოსახლეობა ისტორიულად სარგებლობს, მაგრამ ეს ისტორიული მარშრუტი, დღევანდელი პროექტისგან განსხვავებულია. ძველი გზა ზეკარის უღელტეხილის გავლით ჯერ კურორტ საირმეს, შემდეგ კი ბაღდათს უკავშირდება, ახალი მარშრუტი კი, კურორტ საირმეს გვერდს უვლის და პირდაპირ ბაღდათი-საირმის დამაკავშირებელ გზას უერთდება. ამ გზის რეაბილიტაციას შეუძლია ქუთაისიდან აბასთუმნამდე მგზავრობის დრო 1.5 საათით შეამციროს და ადგილობრივი ტურიზმისა და ეკონომიკის გაძლიერებას მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი.

რა შეცვალა ივანიშვილის აბასთუმანში სჯუმრობამ?

2018 წლის შემოდგომაზე, როცა ბაღდათი-აბასთუმნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია უკვე დაწყებული იყო და 3-კილომეტრიან მონაკვეთზე (აბასთუმნის გასასვლელიდან უღელტეხილის ასახვევამდე) სამუშაოები მიმდინარეობდა, პროექტი შეჩერდა. ამას წინ უძღვოდა "ქართული ოცნების" დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის ვიზიტი აბასთუმანში. ივანიშვილმა გადაწყვიტა, რომ აბასთუმანში მანქანებით გადაადგილება \

აბასთუმანი-ბაღდათის შემოვლითი გზა

აიკრძალებოდა და აქ მხოლოდ ეკო-ტრანსპორტი ივლიდა. ამ განცხადებიდან მალევე, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა აბასთუმნის შემოვლითი გზის პროექტზე დაიწყო მუშაობა. ამან უკვე დაწყებული სამუშაოები დროებით შეაჩერა, რადგან თავდაპირველ პროექტში ამ გზის ნაწილს კურორტ აბასთუმანზეც უნდა გაევლო. ოლიგარქის სურვილმა კი გზის მშენებლობის ხარჯები 100 მილიონი ლარით გაზარდა.

გადაწყდა, რომ აბასთუმნის შემოვლითი გზა კურორტს დასავლეთის მხრიდან შემოუვლიდა. ეს ტერიტორია მთლიანად ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს ეკუთვნის. გარდა ამისა, ამ მონაკვეთში გადის ე.წ. "ზურმუხტის ქსელი", რომელიც საერთაშორისოდ დაცული ზონაა. სახელმწიფოს ამ გადაწყვეტილებას გარემოსდამცველების პროტესტი მოჰყვა. თუმცა, პროექტი მაინც დაუშვეს, მიუხედავად იმისა, რომ საქმე სასამართლომდე მივიდა.

ბაღდათი-აბასთუმნის დამაკავშირებელი გზის პროექტის მზადება ხორვატიული კომპანიის შვილობილმა "იგჰ საქართველომ" 2017 წელს დაიწყო და 2023 წელს დაასრულა. ამ პროექტში 4 მილიონამდე ლარი დაიხარჯა. 1.9 მილიონამდე ლარი დაჯდა აბასთუმნის შემოვლითი გზის დაპროექტება. სამუშაოები "ტრანსპროექტმა" შეასრულა.

ჯენდერების ღაბირინთი

სახელმწიფო შესყიდვების საიტზე ბაღდათი-აბასთუმნის და აბასთუმანის შემოვლითი გზის მშენებლობისთვის გამოცხადებული 17 ტენდერი იძებნება. ორი პროექტის მოსამზადებლად იყო გამოცხადებული, დანარჩენი უშუალოდ მშენებლობისთვის.

დასრულებულ და მიმდინარე ტენდერებს ერთი საერთო აქვს - შემსრულებელმა კომპანიებმა ვადების გაგრძელება მრავალჯერ ითხოვეს. საავტომობილო გზების დეპარტამენტი კი მათ სამუშაოს გადავადების უფლებას ყოველ ჯერზე აძლევდა.

2018 წელს გზების დეპარტამენტმა ამ გზის მშენებლობისთვის 4 ხელშეკრულება გააფორმა. პირველად შპს "არალს" შეუთანხმდა აბასთუმნის მხარეს უღელტეხილამდე მისასვლელი გზის მშენებლობაზე და ამაში კომპანიას 2.6 მილიონი ლარიც გადაუხადა. შემდეგი ტენდერი იმერეთის მხარეს, გზის საწყისი მონაკვეთის შესაკეთებლად გამოაცხადა. 20 კმ-ანი გზის გაკეთებაზე 24 მილიონი ლარი დაიხარჯა. სამუშაოები კომპანია "საქმილსადენმშენმა" შეასრულა. პარალელურად, აბასთუმნის მხარესაც დაიწყო მშენებლობა და 6 კმ-ანი გზის

ასაშენებლად შპს “ნიუ როუდს” 9.4 მილიონი ლარი ჩაურიცხეს.

2019 წელს დეპარტამენტმა სამუშაოების ახალი ტალღა დაიწყო და სამი ტენდერი გამოაცხადა. შპს “ნიუ როუდმა” იმერეთის მხარეს 7 კმ-ანი გზის მშენებლობა დაიწყო და ამ საქმისთვის 15.3 მილიონი გადაუხადეს. აბასთუმნის მხარეს კი სამუშაოები შპს ,,საგზაო სამშენებლო სამმართველო N 1”-სა და შპს “მამისონს” დაავალეს. “მამისონთან” ხელშეკრულება მალევე გაწყვიტეს, რადგან კომპანია სამუშაოს არ ასრულებდა. “საგზაო სამშენებლო სამმართველო N 1”-ის ტენდერი კი დღემდე დაუსრულებელია. სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში არაა ატვირთული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი და ან ცნობა დასრულების შესახებ. სტატუსიც მიმდინარე აქვს. ამ ტენდერში გზების დეპარტამენტს “საგზაო სამშენებლო სამმართველო N 1”-სთვის ნახევარი მილიონი ლარი აქვს გადახდილი. ამ ფასად კომპანიამ მიწის სამუშაოები გააკეთა.

2020 წელს გზების დეპარტამენტმა მთავარი გზის რეაბილიტაცია დროებით დააპაუზა. ამ დროს მხოლოდ ორი ტენდერი გამოაცხადეს და ორივე ბიძინა ივანიშვილის ინიცირებული შემოვლითი გზის ასაშენებლად. აბასთუმნის გვერდასაქცევი გზის მშენებლობა შპს “ჯეუ გრუპს” ანდეს და ამ საქმისთვის 92 მილიონი ლარიც გამოყვეს. კომპანიას ავანსად 18 მილიონი ლარი სამუშაოს დაწყებამდევე მისცეს. სამუშაოები, თავდაპირველი შეთანხმებით, 2024 წლის მარტში უნდა დასრულებულიყო, შემდეგ “ჯეუ გრუპმა” ვადის გაგრძელება მოითხოვა. ახლა საბოლოო ვადად 2026 წლის ბოლოა განსაზღვრული. გზების დეპარტამენტს კომპანიისთვის უკვე გადახდილი აქვს 55 მილიონ ლარზე მეტი.

2021 წლის დასაწყისში დეპარტამენტი ისევ მთავარი გზის მშენებლობას დაუბრუნდა, ოღონდ შენელებული ტემპით. იმერეთის მხარეს 9 კმ-ანი გზის ასაშენებლად მხოლოდ ერთი კომპანია, შპს “ნიუ როუდი” დაიქირავეს. ავანსად მისცეს 7.8 მილიონი, რაც საეჭვო გარემოებაა, როგორც წესი დამკვეთი ფულს მაშინ იხდის ხოლმე, როცა სამუშაოები ჩაბარდება. თავდაპირველად სამუშაოების დასრულების ვადად 2024 წლის იანვრის ბოლო დასახელდა. შემდეგ ხელშეკრულებაში 28 ცვლილება შევიდა და დეპარტამენტმა კომპანიას ვადა 2025 წლის მარტამდე მისცა. გაიზარდა სამუშაოების ღირებულებაც. თავდაპირველად დამკვეთი კომპანიას 3.9 მილიონ ლარზე გაურიგდა, შემდეგ კი ფასმა 4.3 მილიონს მიაღწია, რაც ასევე საეჭვო გარემოებაა.

2023 წელს დეპარტამენტმა კიდევ სამი ტენდერი გამოაცხადა, იმერეთის მხარესაც და სამცხე-ჯავახეთის მხარესაც. იმერეთის მხარეს 6 კმ-ანი გზის მშენებლობა ისევ “ნიუ როუდს” დაავალეს. სამუშაოსთვის გამოყოფილია 23 მილიონამდე ლარი და დასრულების ვადად 2024 წლის სექტემბერი იყო დათქმული. კომპანიამ აქაც ვადის გაგრძელება ითხოვა - დეპარტამენტი დათანხმდა და ეს სამუშაოც 2025 წლის მარტში უნდა დასრულდეს.

იმერეთის მხარესვე გამოაცხადეს ტენდერი 24-ე კმ-ზე დაზიანებული საყრდენი კედლების, წყალარინების სისტემისა და ასფალტის მოსაწესრიგებლად. სამუშაოსთვის შპს “ჯორჯიან ბილდს” 1.4 მილიონ ლარს დეკემბრის ბოლოს გადაუხდიან, თუ ვადები, ტრადიციულად, არ შეიცვალა. მანამდე ამ მონაკვეთზე საავტომობილო გზების დეპარტამენტს ტენდერი გამოცხადებული, ჩვენი დათვლით, არ ჰქონია.

აბასთუმნის მხარეს კი გზის 12 კმ-ანი მონაკვეთის მშენებლობა შპს “არალს” დაევალა. სამუშაოს ამ ნაწილისთვის 21 მილიონი ლარია გათვლილი.

2024 წელს, ჯერ-ჯერობით, დეპარტამენტს მხოლოდ ერთი ტენდერი აქვს გამოცხადებული, რომელიც შპს “საქმილსადენმშენმა” მოიგო. სამუშაოების საერთო ღირებულება 25 მილიონია და კომპანია ყველაფერს 2025 დეკემბრამდე უნდა მორჩეს. კომპანიამ უნდა შეარემონტოს გზა ორ მონაკვეთზე: ერთია იმერეთის მხარეს, 32-ე კმ-ზე, რომელიც უკვე სხვა ტენდერის ნაწილიცაა და მას ახლა აკეთებს შპს “ნიუ როუდი.” მეორე მონაკვეთი კი 47-ე კმ-ზე მდებარეობს და ის ამ დრომდე არც ერთი ტენდერის ნაწილი არ ყოფილა.

საერთო ჯამში, გზის მშენებლობისთვის ამ დრომდე დახარჯულია 164 მილიონ ლარზე მეტი, გასულია 6 წელი და ასფალტი მხოლოდ 27 კმ-იან მონაკვეთზეა დაგებული. სულ გასაკეთებელი კი 61 კმ იყო.

გაფლანგული მილიონები

აბასთუმანი-ბაღდათის დამაკავშირებელი გზის დასათვალიერებლად 2024 წლის 5 სექტემბერს ჩავედით, რომ ჩვენი თვალით გვენახა, რა გაკეთდა უკვე დასრულებულ მონაკვეთებზე და რა სამუშაოები იყო დარჩენილი ან მიმდინარე. დათვალიერება აბასთუმნის მხრიდან დავიწყეთ. აღმოჩნდა, რომ სამცხე-ჯავახეთის მხარეს, მთელ საუღელტეხილო გზაზე, ასფალტი არცერთ მონაკვეთზე არაა დაგებული.

სამცხე-ჯავახეთის მხარეს გზა ზეკარის უღელტეხილსა და აბასთუმანს შორის დაახლოებით 13-14 კმ-ა, თუ გუგლის რუკას ვენდობით. გზების დეპარტამენტმა ეს მონაკვეთი ორ, ექვსკილომეტრებიან ნაწილად გაჰყო - ერთის შეკეთება შპს "ნიუ როუდს" დაავალა 2018 წელს, მეორესი კი შპს "საგზაო სამშენებლო სამმართველო N 1"-ს 2019 წელს.

"ნიუ როუდმა" მშენებლობა 2020 წლის დეკემბერში დაასრულა. თავიდან, როცა კომპანიას ხელშეკრულება გაუფორმეს, შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხაში გზის საფარის მოწყობაც შედიოდა. პროექტისთვის კი 12.9 მილიონი იყო გამოყოფილი. სამუშაოების დასრულებამდე, ერთი თვით ადრე, კომპანია დეპარტამენტს შეუთანხმდა და კონტრაქტის ფასი 9.4 მილიონამდე შეამცირეს. სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში ატვირთული არაა დოკუმენტი, რომელიც ამ შეთანხმების საგანს დეტალურად აღწერს, თუმცა, სავარაუდოა, რომ ეს იყო გზის ასფალტის საფართან დაკავშირებით. ამ მონაკვეთზე ასფალტი არაა და არც არასდროს ყოფილა. საბოლოო ხარჯთაღრიცხვაშიც მითითებულია, რომ კომპანიამ ქვიშა-ხრეშით მოაპირკეთა ეს მონაკვეთი.

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დაუშვა, რომ კომპანიას გზა ასფალტის გარეშე დაეტოვებინა მაშინ, როცა ცნობილია, რომ ქვიშა-ხრეშით მოპირკეთებული გზა მალევე ზიანდება, ქვიშა მოსულ ნალექს ვერ უძლებს და თავიდან გასაკეთებელი ხდება. ეს რომ ასე მოხდა, დეპარტამენტის მიერ 2023 წელს გამოქვეყნებულ დოკუმენტშიც წერია: "არსებული გზის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია... საფარი ხრეშოვანია ძლიერ დაზიანებული. გაჩენილია დიდი ზომის ორმოები. წყლის აცილების სისტემა არ მუშაობს. წყალგამტარი მილები დაზიანებულია და შევსებულია გამონატანი მასალით. კიუვეტები შევსებულია ფერდებიდან ჩამოშლილი გრუნტით. წყალი გადადის სავალ ნაწილზე რეცხავს და ხრამავს სავალ ნაწილს".

რატომ და როგორ მოხდა ეს ცვლილება, ამის გასარკვევად შემსრულებელ კომპანია "ნიუ როუდის" ერთ-ერთ დირექტორს, გიორგი კირვალიძეს ტელეფონით ვესაუბრეთ. "თუ რაღაცა დაკორექტირდა, აუცილებლად იქნება იქ ობიექტური მიზეზი და ყველაზე კომპეტეტენტური მაგ საკითხში არის დეპარტამენტი, სჯობს, დეპარტამენტს დაუკავშირდეთ, დეპარტამენტი ათანხმებს ყველა კორექტირებას და იქ უკეთ გიპასუხებენ", - გვითხრა მან.

[redacted]

სამცხე-ჯავახეთის მხარეს მეორე 6 კმ-ანი გზის ამბავი კიდევ უფრო საინტერესოა. ამ ნაწილს შპს "საგზაო სამშენებლო სამმართველო N 1" 2019 წლიდან აკეთებდა. ხელშეკრულებით ამ სამუშაოსთვის გათვალისწინებული იყო 14 მილიონ ლარამდე. ხელშეკრულება ჯერ ისევ მიმდინარეა და ვადა 2024 წლის ნოემბერში ეწურება. კომპანიას დამკვეთისთვის მხოლოდ 2019 წლის ბოლოს აქვს წარდგენილი ორი დოკუმენტი, სადაც აღწერილია, რომ სამუშაო არეალში მოჭრა ხეები და ეკალ-ბარდები და ტერიტორიიდან გაიტანა ან დაამუშავა გრუნტი. ამის შემდეგ 2023 წლამდე აღარაფერი უკეთებია და 2023 წლის აპრილში ხელშეკრულებაში მორიგი ცვლილება შევიდა - ამჯერად ღირებულება შეიცვალა და ნახევარი მილიონი გახდა 14 მილიონის ნაცვლად. ამ ეტაპზე კომპანიისთვის დამკვეთს მთლიანი თანხის 95 პროცენტი აქვს გადარიცხული. მიმდინარე ტენდერზე კომპანიის ხელმძღვანელი კი გვიმტკიცებს, რომ ამ გზაზე აღარაფერს აკეთებს." აბასთუმანი-ბაღდათის გზასთან ჩემ

კომპანიას შეხება არ აქვს. გვქონდა ტენდერები და რაც გვევალებოდა, გავაკეთეთ. მიწის სამუშაოები იყო გასაკეთებელი. კარგად არ მახსოვს, ძველი ამბავია", - გვიპასუხა შოთა აბულაძემ და მორიგი დეტალების დაზუსტებისას გაგვიბრაზდა, დაკითხვას ხომ არ მიწყობთო. შემდეგ კი გვირჩია, დეტალები დეპარტამენტთან გაგვერკვია.

დეპარტამენტს ამ ტენდერის შესახებ ვკითხეთ, მხოლოდ ის გვითხრეს, რომ ტენდერი

ეს მოთხოვნილი ჰქონდა; 2. კომპანიას მისცეს ის დავალება, რაც წინა შემსრულებელ კომპანიებს უკვე ჰქონდათ; 3. კომპანია შემჩნეულია პოლიტიკური კავშირების სათავისოდ გამოყენებასა და ამ გზით სარგებლის მიღებაში (ამაზე ქვემოთ გიამბობთ); 4. კომპანიას სამუშაოს დაწყებამდე ავანსად 1 მილიონი ლარი მისცეს.

შპს "არალს" სამუშაოების დასასრულებლად ვადა 2025 წლის ოქტომბრამდე აქვს. დეპარტამენტმა

გზის სამუშაოები

ურთიერთშეთანხმებით შეწყდა, რასაც სახელმწიფო შესყიდვების სისტემა არ ეთანხმება. აქ დანამდვილებით ვკითხულობთ, რომ არც კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი არსებობს და ტენდერის სტატუსიც მიმდინარეა.

2023 წლის სექტემბერში გზის ეს მონაკვეთი, რომელსაც ადრე შოთა აბულაძის კომპანია აკეთებდა, შპს "არალს" მისცეს დასასრულებლად. ამ ტენდერში რამდენიმე საეჭვო გარემოება იკვეთება: 1. კომპანიას არ წარუდგენია ინფორმაცია მისი გამოცდილების შესახებ, მაშინ როცა დამკვეთს სატენდერო პირობებში

მას ავანსად 1 მილიონი ლარი უკვე ჩაურიცხა. ადგილზე, გზის დათვალიერებისას ვნახეთ, რომ კომპანიის მუშები იქ არიან და ნამდვილად მუშაობენ. ამ ეტაპზე გზა ბოლომდე დასრულებული ისე, რომ ასფალტის საფარიც ჰქონდეს, მხოლოდ იმერეთის მხარესაა, ისიც 27 კმ-ზე. ამ 27 კმ-დან 20 კმ შპს "საქმილსადენმშენმა" გააკეთა 2018-2019 წლებში. 7 კმ კი შპს "ნიუ როუდმა" 2019-2022 წლებში.

კომპანიის ხელმძღვანელს, დემეტრე თათეშვილს ტელეფონით ვესაუბრეთ. ბევრი არაფერი გვითხრა, კითხვების დასმაც კი არ გვაცადა, თუ რამე გაინტერესებთ, გზა ნახეთ თვითონო.

ვინ არიან ტენდერების გამარჯვებული კომპანიები?

შპს "საგზაო სამშენებლო სამმართველო №1" 1998 წელს დაფუძნდა და ტენდერებში 2010 წლიდან მონაწილეობს. მის მმართველებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ წინა ხელისუფლებასთანაც. კომპანიის ამჟამინდელი დირექტორი და 50%-ანი მეწილე, შოთა აბულაძე 2012 წელს ნაციონალურ მოძრაობას 60 000 ლარით აფინანსებდა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კომპანიის მეწილეებმა "ქართული ოცნების" დაფინანსება დაიწყეს. კომპანიას კიდევ ორი მეწილე ჰყავს, ნუგზარ აბალაკი და ნუკრი აბალაკი. ნუგზარს "ქართული ოცნებისთვის 2016 და 2021 წელს, ჯამში, 145 000 ლარი აქვს შეწირული. ნუკრის კი მხოლოდ 2016 წელს - 60 000 ლარი.

შპს "არაღი" ბიძინა ივანიშვილის რჩეული კომპანიაა და მის კერძო პროექტებზეც არაერთხელ უმუშავია. კომპანია მსხვილ ტენდერებს მთელი საქართველოს მასშტაბით იგებს, მათ შორის ჩართულია აბასთუმანში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებში. კომპანიის მფლობელები სამცხე-ჯავახეთში კარგად ცნობილი, თათეშვილების ოჯახია. სწორედ მათგან იყიდა ბიძინა ივანიშვილმა აბასთუმანში სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთი. კომპანია "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" კვლევაშიც მოხვდა. "შპს „არალისთვის" ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხა ათეულობით მილიონი ლარით გაიზარდა 2018 წლის აგვისტოდან, როცა კომპანიის მესაკუთრემ, ოთარ თათეშვილმა აბასთუმანში ბიძინა ივანიშვილს საკუთარი სახლის ასაშენებლად 450 კვ.მ. მიწა მიჰყიდა. თუ მანამდე 7 წელში ტენდერებით ჯამურად 51 585 275 ლარი ჰქონდა მიღებული, მომდევნო ორწელიწადნახევარში მოგებული ტენდერებით ხელშეკრულებები 125 454 712 ლარზე (ჯამში ტენდერებით მიღებული შემოსავლების 68,9 %) გაუფორმდა", - წერია ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში.

კომპანიის დამფუძნებელი, ოთარ თათეშვილი 2020 წელს გარდაიცვალა. საქმე შვილმა, დემეტრე თათეშვილმა გადაიბარა. თათეშვილების ოჯახს "ქართული ოცნებისთვის", ჯამში, 90 000 ლარი აქვს შეწირული: დემეტრე თათეშვილმა 2021 წელს 50 000 ლარი შეწირა. 2017 წელს მმართველი პარტიის ანგარიშზე თანხა ჩარიცხა თავად შპს "არალმაც" 40 000 ლარი. დემეტრეს მამა, ოთარ თათეშვილი კი ნაციონალური მოძრაობის შემწირველი იყო. 2012 წელს მან მაშინდელ მმართველ პარტიას 60 000 ლარი შეწირა.

შპს "ნიუ ჩოუღი" 2010 წელს დაფუძნებული კომპანიაა, ძირითადად საგზაო-სამშენებლო სამუშაოებითაა დაკავებული და მსხვილ სახელმწიფო ტენდერებშიც ხშირად მონაწილეობს. კომპანიის ერთადერთი მფლობელი დავით ჟღენტია. მან " ქართულ ოცნებას" 2017 წელს 30 000 ლარი შესწირა.

შპს "საქმიღსაღენმშენი" დასავლეთ საქართველოში რეგისტრირებული კომპანიაა, რომელიც 1996 წლიდან ფუნქციონირებს. კომპანია სახელმწიფო შესყიდვებში 2011 წლიდან მონაწილეობს. ბოლო ამონაწერის მიხედვით მას 26 მეწილე ჰყავს. დირექტორი ავთანდილი ლომთაძეა, რომელიც კომპანიის ყველაზე დიდ წილს, 32.8%-ს ფლობს. ის "ქართული ოცნების" მხარდამჭერია და მან 2020-2021 წლებში პარტიას, ჯამში, 20 ათასი ლარი შესწირა.

შპს "ჯეუგრუპი" 2008 წელს დაფუძნებული კომპანიაა, რომელსაც შპს "ჯეუ ჰოლდინგი" ფლობს. ჰოლდინგის 43-43 პროცენტიან წილებს ნინო კიკაბიძე და გიორგი მარკოიშვილი ინაწილებენ. ორივე პარტიის დამფინანსებლების სიაში არიან. კიკაბიძემ და მარკოიშვილმა 2017 წელს "ქართულ ოცნებას" 25 000-25 000 ლარი შეწირეს.

აბასთუმანი-ბაღდათის გზა, რომელიც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი უნდა ყოფილიყო, გადაიქცა დაუსრულებელ ფულის საჭრელ ობიექტად, სადაც ტენდერები ბოლო 6 წელია ცხადდება. მილიონები ისე იხარჯება, რომ საგზაო სამუშაოები ბოლოში ვერ გადის და ადგილობრივებს მისი გამოყენება არ შეუძლიათ. ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი კი საავტომობილო გზების დეპარტამენტია, რომელიც პასუხისმგებლობას საერთოდ ვერ გრძნობს, ინტერვიუზე არ გვთანხმდება და კრიტიკულ კითხვებს გაურბის.

ჩვენი კითხვები კი, რომელთა დასმაც დეპარტამენტისთვის გვინდოდა, ასე გამოიყურება:

რაზომ დასთანხმდა დეპარტამენტი შპს "ნიუ როუდს" რომ 75-81 კმ მონაკვეთში NAT180016380 ტენდერზე, ასფალტი აღარ დაეგოთ და ტენდერის თანხა შეგემცირებინათ? თუ თქვენი ინიციატივა იყო?

რაზომ დააზოვებინეთ მოხრეშილი, როცა იცით, რომ ხრეში მაღე ზიანდება და მოსალოდნელი იყო, რომ გარკვეული სამუშაოები ხელახლა გახდებოდა ჩასატარებელი? ეს ხომ ფულის გაფლანგვაა? "არალს" შემდეგ იგივე სამუშაო დაუკვეთეთ 2023 წელს.

2023 წელს "არალისთვის" გამოქვეყნებულ სატენდერო დოკუმენტაციაშიც გიწერიათ, რომ გზის ეს მონაკვეთი, რომელიც მანამდე "ნიუ როუდმა" გააკეთა, თავიდან იყო გასაკეთებელი. ანუ თქვენ გაფლანგეთ 9 მილიონი ლარი. რაზომ ეკიდებით სახელმწიფო რესურსს ასე უყაირათოდ?

რაზომ ვერ დაასრულეთ 6 წელი აბასთუმანი-ბალდათის გზა? გრძნობთ თუ არა ამ ამბავში თქვენს პასუხისმგებლობას? და თუ გრძნობთ, რას აკეთებთ?

რაზომ თანხმდებით კომპანიებს, რომ დრო მაქსიმალურად გაწელონ? ზოგიერთ ტენდერში 28 ცვლილება მოხდა ხელშეკრულებაში. ეს ნორმალურია?

შპს "საგზაო სამშენებლო სამმართველო N 1"-ს რაზომ შეუმცირეთ თანხა 14 მილიონიდან ნახევარ მილიონამდე? შემდეგ იგივე მონაკვეთი "არალს" მიეცით. "არალი" ვიცით, რომ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული კომპანიაა. ეჭვი ჩნდება, რომ "არალს" სამუშაო გამოუთავისუფლეთ და იმ კომპანიას წააართვით. რა შეგიძლიათ თქვათ ამ ეჭვის საწინააღმდეგოდ?

"არალის" ტენდერში რამდენიმე პუნქტს უნდა მივაქციოთ ყურადღება, მათ შორისაა გამოცდილების საკითხი, საგენდერო დოკუმენტაციაში გიწერიათ გამოცდილების მოთხოვნაზე, თუმცა კომპანიას მსგავსი დოკუმენტები წარმოდგენილი არ აქვს, სისტემაში ვერ ვხედავთ ჩვენ. რაზომ დახუჭეთ ამ საკითხზე თვალი?

რაზომ მიეცით "არალს" 1 მილიონი ავანსად? ზოგადად, რაზომ გასცემდით სხვა კომპანიებზეც მილიონობით ლარს ავანსად? ავანსის მიცემა ყოველთვის ეჭვს აღძრავს, რომ კონკრეტულ კომპანიას ღიად ექცევით.

უკონტროლო დაფინანსება: რაზომ ვერ საკგებლობენ გალელები უფასო ჯანდაცვით

ავტორი: მარიამ კაჭკაჭაშვილი და ნათია მიხელიძე

გალში მცხოვრებმა ქართველებმა შედარებით ხარისხიანი პირველადი სამედიცინო მომსახურება რომ მიიღონ, ამისთვის ენგურის ხიდზე არსებული, რუსებისა და აფხაზების მიერ კონტროლირებადი საოკუპაციო ხაზი, ე.წ. საზღვარი უნდა გადმოლახონ.

„ეს ხალხი გადმოდის ენგურის ხიდზე. ჯერ აფხაზებს გადიან, მერე რუსებს, მერე ისევ აფხაზებს და საბოლოოდ მოდიან ქართველებამდე. აფხაზეთში ვინც ცხოვრობს დღეს, ფსიქოლოგიურად მოშლილები არიან, განადგურებულები, ყველაფერ კარგს მოკლებულები", - გვიყვება სოფო. მისი სახელი შევცვალეთ, ისე როგორც სხვა თხუთმეტამდე გალელის, რომელსაც ამ სტატიაზე მუშაობისას ვესაუბრეთ. თავად გვთხოვეს, რომ მათი ნამდვილი ვინაობა არ გავამხილოთ, რადგან ეშინიათ, საფრთხე არ შეექმნათ სიმართლის თქმის გამო.

ყველაფერ კარგს მოკლებულია გალის ჯანდაცვის სისტემაც - ყველა რესპონდენტმა დაგვიდასტურა, რომ გალის რაიონში არსებული სამედიცინო პუნქტები სავალალო მდგომარეობაშია. მოქალაქეები შესაბამის სამედიცინო მომსახურებას ვერ იღებენ და ამისთვის ენგურს აქეთ გადმოსვლა უწევთ, რაც მათთვის მარტივი სულაც არ არის. ენგურის ხიდი საღამოს 8 საათიდან დილამდე დაკეტილია. გალელების მონათხრობით, როცა ხიდი ღიაა, გადმოსვლისთვის არაერთი საბუთი, კარგი ნაცნობობა ან ე.წ. მესაზღვრეების მოქრთამვაა საჭირო.

ზუსტად იმის თქმა, რამდენი ადამიანი ცხოვრობს ახლა გალში და მის სოფლებში, არ შეგვიძლია. ზუსტი რიცხვი აფხაზეთის მთავრობამაც ვერ გვითხრა. ერთადერთი რაც ვიცით, არაოფიციალური ცნობაა, რომ იქ, დაახლოებით, 55 000 ადამიანი ცხოვრობს. მათ გალის რაიონში მოქმედი და სპეცდაფინანსებაზე მყოფი 6 სამედიცინო პუნქტი ემსახურებათ, თუმცა, ამის მიუხედავად, იქაურებს ზუგდიდში მიღებული სამედიცინო დახმარება უფრო ეიმედებათ.

გამოძიების მთავარი მიგნებები:

- საქართველოს ბიუჯეტიდან გალში გადარიცხული მილიონობით ლარი, რომელიც ადგილობრივების ჯანდაცვას უნდა მოხმარდეს, იფლანგება. ამ ფულით დაფინანსებულ სამედიცინო სერვისს ხალხი ვერ იღებს. გალში, წესით უფასო სამედიცინო პროცედურები ფასიანია.

- გალის სამედიცინო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა მოძველებული და ხშირად გამოუსადეგარია.

- ადგილობრივი სამედიცინო პერსონალის ნაწილი ხელფასებს ვერ იღებს, ნაწილთან კი წლების განმავლობაში, საეჭვო ვითარებაში, ნაღდი ფულით ხდებოდა ანგარიშსწორება. ფინანსებს ერთპიროვნულად განკარგავს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი. ხარჯვის პროცესს თბილისი ვერ აკონტროლებს და ჯერჯერობით ეს სიტუაცია უცვლელია.

- გალის ჯანდაცვის დაწესებულებებზე ხმამაღლა საუბარი არავის უნდა. ყველა დაშინებულია, რომ, ინფორმაციის გავრცელების გამო, მათზე ზეწოლა იქნება.

ლენიკინის ღრმინდელი მედიცინა გაღელების სამსახურში

ნათია სოფელ ოტობაიადანაა. ახლა თბილისში სტუდენტია. მისი მშობლები ისევ გალში ცხოვრობენ. გალში თვითონაც ჩადის ხოლმე. მოგვიყვა, რომ ერთხელ სისხლის ანალიზის აღება დასჭირდა. გალის საავადმყოფოში ანალიზისთვის ნიმუში ორჯერ, 5 დღის შუალედით ჩააბარა. ორივე პასუხი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდა, ამიტომ ზუგდიდში გადამოწმება გადაწყვიტა. ზუგდიდიდან მოსული პასუხი კი გალში აღებულ არც ერთი ანალიზის პასუხს არ დაემთხვა.

ამგვარი ამბავი სტატიაზე მუშაობისას ბევრი მოვისმინეთ. ყველა მათგანი ცხადყოფს, რომ გალის ყველა სამედიცინო დაწესებულებაში ერთმანეთის მსგავსი პრობლემებია. სამედიცინო პუნქტებში სათანადო აპარატურა არ აქვთ, რაც აქვთ უკვე მოძველებული და გამოუსადეგარია. ამბულატორიების შენობები ავარიულია და იქაა განლაგებული, სადაც ადრე ბაღი იყო, ან სხვა დაწესებულება, რომელიც ომის დროს დაიშალა და გაიძარცვა. გამართული სასწრაფო მანქანები არ ჰყავთ, არც საკმარისი საკაცე აქვთ. პრობლემურია სამედიცინო პუნქტების პერსონალიც. ზოგიერთი მათგანი უბრალოდ თვითნასწავლია და ვერც მათი ახალგაზრდა, ნასწავლი კადრებით ჩანაცვლება ხერხდება (ავტორის შენიშვნა: აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტები გამოყოფენ რამდენიმე ექიმს, რომელთა იმედიც შეიძლება ჰქონდეთ).

"შეიძლება ნემსის გაკეთება არ იცოდეს ადამიანმა, ვენაში ვერ შეჰყავდეს, ინექციას ვერ აკეთებდეს, მაგრამ მაინც მუშაობდეს საავადმყოფოში. როცა მივხვდით, რომ დედაჩემის დასახმარებლად ვერაფერს აკეთებდნენ, სასწრაფო წესით გადმოვიყვანეთ ზუგდიდში", - გვიყვება ნათია.

"როგორი სამედიცინო განათლება აქვთ, იცი? მე შემიძლია, გაგიწიო პირადი დახმარება, მაგრამ არ მაქვს ამის საბუთი. შემიძლია, საბუთის გარეშე ვიმუშაო. ეგრე არიან უმეტესად. მუშაობს, გიწევს დახმარებას, მაგრამ ოფიციალურად სამედიცინო განათლება არ აქვს", - ამბობს ჩვენთან საუბრისას მარიამი.

"ექიმებს არაფერი არ გააჩნიათ და ისე აკეთებენ ამას. ზოგიერთი პრობლემური ექიმიც არის, რომელიც ვიღაცის გამოა დანიშნული. არ აქვს ლიცენზია, მაგრამ მაინც მუშაობს", - გვიყვება თამარიც.

აფხაზეთის ა/რ ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრმა, ქეთევან ბაკარაძემაც დაგვიდასტურა, რომ ყოფილა შემთხვევა, როცა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელს ყალბი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ჰქონდა.

"განათლების დიპლომი რუსეთის ქალაქ ვლადივოსტოკიდან მოვითხოვე. იქიდან

აღჭურვილობა და ტრანსპორტი მოძველებულია და განახლებას საჭიროებს..."

ინტერვიუზე დიდი წვალებით დავითანხმეთ ოტობაიას ამბულატორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელმაც იქაური ამბები მოგვიყვა. მათ შორის, აღგვიწერა მათი სასწრაფო დახმარების მანქანაც, რომელიც, ჯამში, 5 სოფელს ემსახურება. როგორც გვითხრა, მანქანა არ არის სასწრაფო დახმარებისთვის განკუთვნილი, არასამედიცინოა. მისი თქმით, ის 2017-18 წლებში არასამთავრობო ორგანიზაციისგან მიღებული და აფხაზური ადმინისტრაციის მიერ დამატებული თანხით შეიძინეს, შემდეგ კი თავად გადააკეთეს.

ოტობაიას სასწრაფო მანქანა

მომწერეს, რომ ასეთი სტუდენტი არასდროს ჰყოლიათ. არ შეიძლება, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას ხელმძღვანელობდეს სტომატოლოგი. რომელსაც სპეციალური განათლება არ გააჩნია", - გვითხრა ოთხსაათიანი ინტერვიუსას ყოფილმა მინისტრმა.

გალის რაიონში არსებული სამედიცინო პუნქტების მძიმე მდგომარეობაზეა საუბარი სოციალური სამართლიანობის ცენტრის 2022 წლის კვლევაშიც: "[საბერიოში] დიაგნოსტირებისთვის საჭირო საბაზო ინფრასტრუქტურაც კი არ მოიპოვება, როგორიც არის რენტგენის და ულტრაბგერითი აპარატი. პრობლემურია სასწრაფო დახმარების მანქანის გაუმართაობაც. ... გალის რაიონში სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო

"როდესაც დასაქოქია და არ იქოქება, თანამშრომლები ერთად ვეჯიკავებით. როდესაც ეს მანქანა გაჩერებულია, მძღოლებს ჰყავთ პირადი მანქანა და იმით ნაცვლდება. ან სოფლიდან ვისაც დახმარება სჭირდება, თავიანთი მანქანით მოჰყავთ პაციენტები, ან ჩამოდიან თვითონ და ექიმები მიჰყავთ, მერე კი უკან აბრუნებენ. მანქანის გამო სოფლის მოსახლეობას არ მიეწოდა დახმარებაო რომ ვთქვათ, ეგ არასწორი იქნება. მიეწოდებათ, ოღონდ, თავისთავად, ცოტა დაგვიანებით", - გვიყვება ოტობაიას სამედიცინო დაწესებულების თანამშრომელი.

მან ისიც გაიხსენა, რომ ერთ-ერთ გამოძახებაზე მიმავალ მანქანას გზაში კარი დაუზიანდა.

მისი ინფორმაციით, ბრიგადის ექიმებს კარის დატოვება გზაშივე მოუწიათ და პაციენტამდე ისე მივიდნენ. ისიც მოგვიყვა, რომ მანქანის უკანა კარი შედუღებულია, არ იღება, ამიტომ ვერ იყენებენ და პაციენტის შეყვანა გვერდითა კარიდან უწევთ.

"საკაცით რომ აიყვანო პაციენტი, შეიძლება, ეზომდე ვერ მიაღწიოს იმ საკაცემ და გატყდეს. ისეთ ცუდ მდგომარეობაშია. ერთი საკაცეა ერთ საავადმყოფოში და ისიც ასი წლის იქნება", -გვიყვება მარიამი, რომელსაც ტელეფონით ვესაუბრეთ. ის ჩვენთან საუბრისას გალში იმყოფებოდა.

ეს ყველაფერი იმ ფონზე, რომ 2006 წლიდან მოყოლებული არსებობს სპეცდაფინანსების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც გალის რაიონში არსებული სამედიცინო ამბულატორიები და სასწრაფო სამედიცინო დახმარება ფინანსდება. წესით, პროგრამა იქ მცხოვრები მოსახლეობისთვის ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე უნდა ზრუნავდეს და ყველა ადამიანს უნდა შეეძლოს მინიმალური სამედიცინო დახმარების მიღება. ამის ფულს ჩვენ ვიხდით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ზემოთ მოყვანილი ამბები კი ცხადყოფს, რომ პროგრამა წარმატებული არაა და თავის მიზანს ვერ ასრულებს.

რატომ? ზუსტად ამ კითხვის პასუხს ვიკვლევდით ექვსი თვე. ვესაუბრეთ ადგილობრივებს გალში; იქაურ მედ-პერსონალს; არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ვისაც გალის სამედიცინო სისტემასთან რაიმე შეხება ჰქონია; მკვლევრებსა და აფხაზეთის მთავრობის ჯანდაცვის ყოფილ მინისტრსაც კი. პასუხები და დეტალები ქვემოთ დაგხვდებათ.

კორუფციაში გაფანტული დაფინანსება, რომელიც გაღელებამდე არ მიდის

სპეცდაფინანსების პროგრამას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო მთელ ქვეყანაში ახორციელებს. მისი მიზანია, პროგრამის მოსარგებლე დაწესებულებებს ჰქონდეთ უფასო სასწრაფო დახმარება და ადგილობრივებისთვის ხელმისაწვდომი იყოს სამედიცინო სერვისი - კერძოდ, ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება.

სპეცდაფინანსება 2006 წლიდან სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა. 2020 წლიდან დღემდე სპეცდაფინანსების პროგრამა ექვემდებარება "პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის" სახელმწიფო პროგრამას.

ამ დაფინანსების მიზანი ყოველთვის იყო და დღესაც ისაა, რომ სასწრაფოს ბრიგადამ პაციენტს გადაუდებელი დახმარება გაუწიოს მედიკამენტებითა და სამედიცინო აღჭურვილობით. გარდა ამისა, მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტი უახლოეს ჰოსპიტალში გადაიყვანოს. ეს მომსახურება პროგრამით სრულად ფინანსდება და მისი გამოყენება შეუძლიათ როგორც სპეც. დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებში რეგისტრირებულ მოქალაქეებს, ისე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს.

სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩვენთვის მოწოდებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით, 2012-2018 წლებში გალის რაიონში სპეცდაფინანსების პროგრამიდან ცხრა სამედიცინო დაწესებულება ფინანსდებოდა, ხოლო 2019-დან დღემდე - ექვსი.

"სპეცდაფინანსების პროგრამის" ფარგლებში გამოყოფილ თანხებს გალში მოქმედი სამედიცინო ორგანიზაციები "ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსგან" იღებენ. სააგენტო პერიოდულად აცხადებს გამარტივებულ შესყიდვას. სამედიცინო დაწესებულებები სააგენტოს სთავაზობენ ამბულატორიულ, სტაციონარულ და სასწრაფო დახმარების მომსახურებას.ხელშეკრულებაც ამგვარად ფორმდება.

სახელმწიფო შესყიდვების ბაზაში ჩვენ 2019-2024 წლებში ამ სააგენტოს მიერ გალის სამედიცინო დაწესებულებებისთვის გაფორმებული 78 ხელშეკრულება ვიპოვეთ. მათი ჯამური

ღირებულება 6.2 მილიონი ლარია, ხოლო 11 ოქტომბრის მდგომარეობით, ჩარიცხულია 4.6 მილიონი ლარი.

სააგენტოსგანაც გამოვითხოვეთ ინფორმაცია, რომ გაგვეგო, ვინ რამდენით დააფინანსეს და ჩვენს მონაცემებთანაც შეგვედარებინა. მათ პასუხში ეწერა, რომ ბოლო 5 წელში (2024 წლის 18 აპრილის ჩათვლით) გალში არსებულ ექვს სამედიცინო დაწესებულებას 2 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდა.

რა იწვევს სხვაობას ჩვენს დათვლილ თანხებსა და მათ წერილში არსებულ რიცხვს შორის, გვინდოდა ჯანდაცვის სამინისტროსგან გაგვეგო, თუმცა ინტერვიუზე თანხმობის პასუხი დღემდე არ მიგვიღია. ამიტომ, ჩვენს მიერ ხელშეკრულებების საფუძველზე დათვლილ თანხას უფრო სანდოდ მივიჩნევთ, რადგან მტკიცებულებები საკუთარი თვალით ვნახეთ.

გალის სამედიცინო დაწესებულებებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში დეტალურად არაა გაწერილი, რა მომსახურებისთვის ურიცხავს თანხას სააგენტო. ამგვარი ინფორმაცია არც მიღება-ჩაბარების აქტებშია მოცემული. რასაც ამ ხელშეკრულებებიდან თუ მიღება-ჩაბარების აქტებიდან ვიგებთ ისაა, რომ თანხა ნამდვილად გადაირიცხა და გალში კონკრეტულ პირამდე ჩააღწია. მიღება-ჩაბარებებსა და ხელშეკრულებას ხელს სამედიცინო ორგანიზაციების უფლებამოსილი პირები აწერენ.

გალის ცენტრალური საავადმყოფოს ექთნები კი გვიყვებიან, რომ ფული მათთან არ აღწევს ხოლმე. თბილისიდან ჩარიცხული ხელფასი მათ არასდროს მიუღიათ. ისე კი, ხელმძღვანელობა მათ პირადობის მოწმობებსაც აგროვებდა, სამედიცინო შემთხვევების სტატისტიკასაც და ხელმოწერებსაც. თუ ფული არ ირიცხებოდა, ეს ინფორმაცია რად უნდოდათ ჩვენგანო, გვკითხეს ინტერვიუს დროს. თუმცა, პასუხიც თავადვე გასცეს ამ კითხვას.

“ხელმოწერები რამდენჯერმე შეგროვდა. მაგრამ, როგორც ხედავთ, უშედეგოდ. ყოველთვის გვატყუებენ, ახლა იქნება, ახლა იქნება. უკვე რამდენი წელია. ჩვენც დავიღალეთ. ჩვენთანაც არიან ისეთი პიროვნებები, რომლებიც დაინტერესებული არ არიან ჩვენი კეთილდღეობით. კაპიკებზეა საუბარი, მაგრამ არ აინტერესებთ, თვითონ ხომ აქვთ ჯიბეები სავსე”, - გვითხრა ექთანმა ირინამ, რომელიც გალის ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოში მუშაობს.

ამავე დაწესებულებიდან ვესაუბრეთ კიდევ ორ ექთანს, მაყვალას და ლიას. მათი სახელები შეცვლილია. ყველა რესპონდენტმა გვთხოვა, რომ ანონიმურად დარჩენილიყვნენ, რადგან, ამ ამბების ჩვენთან გაზიარების გამო, მათ პრობლემები შეექმნებოდათ.

“ეს პროგრამა დიდი ხანია არსებობს და ვიცით. ბევრჯერ გვიბრძოლია, მაგრამ უშედეგოდ. მე რაც ვმუშაობ, არასოდეს საქართველოდან ერთი ‘კაპიკიც’ არ ამიღია. არც ერთჯერადად,

არც მრავალჯერადად... შეიძლება გამოყო საქართველომ, მაგრამ ვიღაცამ ჯიბეში ჩაიდო... მე კი არა, მთელ კოლექტივს ასე გვგონია", - გვითხრა ლია ექთანმა.

"ხშირად გროვდება ჩვენი პირადობები. იყო დრო, როცა წელიწადში სამჯერ მაინც გროვდებოდა. კითხვაზე, რატომ აგროვებთ, გვპასუხობდნენ - იმიტომ, რომ ხელფასები უნდა დაგერიცხოთო, მაგრამ საერთოდ არასდროს მიმიღია საქართველოდან ხელფასი. რატომ გროვდებოდა და სად მიდიოდა ეს ჩვენი პირადობები, დღემდე არ ვიცით", - გვითხრა მეორე ექთანმა, მაყვალამ.

ექთნებთან საუბრით გავიგეთ, რომ ადამიანი, რომელიც მათ ხელმოწერებსა და პირადობების ასლებს აგროვებს, გალის საავადმყოფოს ხელმძღვანელი, ნონა ყოლბაიაა. ის ამ თანამდებობაზე 2020 წლიდან მუშაობს. როგორც ექთნები გვიყვებიან, ნონას წლები ენდობოდნენ, მისი დაპირებების სჯეროდათ და ელოდნენ დღეს, როცა კუთვნილ ხელფასებს მიიღებდნენ. თუმცა, ახლა მისი იმედი აღარ აქვთ.

"ნონა აგროვებს ხელმოწერებს, ნონა არის ამის კურატორი და ის უძღვება. ჩვენ რომ რამე გავაკეთოთ, ვინმეს რომ შევხვდეთ, ამას გვიზღუდავს, თუნდაც მინისტრს. ვისთანაც გვინდოდა საუბარი და შესვლა, შეხვედრა, ყველას გვიბლოკავს. წლებია, ვენდობოდით, მაგრამ მივხვდით, რომ არაფრის გამკეთებელია", - მოგვიყვა ლია ექთანმა.

ექთნებს არ აქვთ ინფორმაცია, სად მიდის მათი ფული. გალის საავადმყოფოს ხელმძღვანელი, ნონა ყოლბაია კი პასუხისმგებლობას თავს არიდებს და თანამშრომლებს ეუბნება, რომ მან არაფერი იცის.

ჩვენ ნონა ყოლბაიას დავუკავშირდით, რომ მოგვეყოლა ის, რაც მისი თანამშრომლებისგან გავიგეთ და გვეკითხა, რატომ არ ერიცხებოდათ ექთნებს ხელფასები, მაშინ რისთვის გროვდებოდა მათი პირადობები და ხელმოწერები, ან საერთოდ რას ხმარდება გალის ცენტრალური საავადმყოფოსთვის საქართველოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიათასობით ლარი.

მან კითხვების დასმაც არ გვაცადა ისე მოგვიჭრა, ამ თემებზე ტელეფონით ვერ გაგესაუბრებით, შემიძლია მხოლოდ ზემდგომ ორგანოებთან ვისაუბროო. არადა, მისი დაწესებულების შესახებ კონკრეტულად რა კითხვები გვქონდა, ჯერ არც კი გვქონდა ნახსენები.

"მე ტელეფონით ვერ ვილაპარაკებ ამ თემაზე, ჩემთვის მიუღებელია ეს, მით უმეტეს, უცნობ ადამიანთან და იმ თემებზე, რომელზეც ვთვლი, რომ არ არის საჭირო გავაჟღერო", - გვითხრა ყოლბაიამ და ტელეფონი გაგვითიშა. ხელმეორედ გადარეკვისას კი ჩვენი ზარი მაშინვე გათიშა.

გალის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს გარდა, ხარჯების გაუმჭვირვალობაზე ბრალდებები მოვისმინეთ საბერიოს ამბულატორიის მისამართითაც. ეს დაწესებულება საბერიოს გარდა კიდევ რამდენიმე სოფელს ემსახურება. მისი ხელმძღვანელი მამუკა გუნჯუაა, რომელიც ხშირად თბილისშია. თავად ამას იმით ხსნის, რომ ავადმყოფი დედა ჰყავს, რომელსაც ვერ ტოვებს. თუმცა თვლის, რომ მისი არყოფნით სამედიცინო ცენტრს არაფერი აკლდება.

2018 წელს გალის სამედიცინო ცენტრების იურიდიული სტატუსი განისაზღვრა და ისინი

არამომგებიან-არაკომერციულ იურიდიულ პირებად დარეგისტრირდნენ. საბერიოს დაწესებულება გალის 6 სამედიცინო დაწესებულებას შორის ერთადერთია, რომელიც ა(ა)იპ-ად არ დარეგისტრირდა. მამუკა გუნჯუამ გვითხრა, რომ უარი იქაური უშიშროების თანამშრომლის რჩევით თქვა.

"ვერ გავაკეთე. როცა ვუთხარი ასეთი სიტუაცია არის თქო, მაგან მითხრა, მამუკა ფეხი არ უნდა წამოკრა, რაღაც ესეთ სიტუაციასო... მეორედაც ვუთხარი, აწი მაინც თუ არ იქნება პრობლემა მაწყობს თქო, მაგრამ არ გინდა, იყავი, დარჩი ისე როგორც ხარო", - გვითხრა, გუნჯუამ.

2018 წელს ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფებოდა ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტთა გაერთიანების წარმომადგენელი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ესაუბრებოდა და მათ პრობლემებს ეცნობოდა. ადგილზე ნანახი და გაგებული ინფორმაცია კი აფხაზეთის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მაშინდელ მინისტრს, ქეთევან ბაკარაძეს გაუზიარა. წერილში საბერიოს სამედიცინო დაწესებულების პრობლემები ხაზგასმითაა აღწერილი.

"სოფელ საბერიოს ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობა ვერ იღებს უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, სასწრაფოს გამოძახება რეალურად არის ფასიანი და მოსახლეობა იხდის თანხას (როგორც ექიმის მომსახურებაში, ასევე ვალდებულია აანაზღაუროს სასწრაფოს მანქანის მიერ გახარჯული საწვავის ღირებულება)".

"საბერიოს სასწრაფო დახმარება სპეციალური დაფინანსების ჯგუფს მიეკუთვნება, რადგან ფინანსებს განკარგავს რეალურად ერთი ადამიანი და, რა თქმა უნდა, მის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული რამდენს ჩაურიცხავს სასწრაფო პერსონალს, აქედან გამომდინარე, ბიუჯეტის მართვა ბურუსით არის მოცული", - ვკითხულობთ წერილში.

იმავეს ადასტურებს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც გალიდანაა და სამედიცინო ცენტრების საქმიანობის შესახებ ინფორმაციას 2018 წელს აგროვებდა. მან ვინაობის საჯაროდ გამხელა არ ისურვა. ის და სხვა გალელი ახალგაზრდები გალში არსებულ პრობლემებზე მოხალისეობრივად აწვდიდნენ ინფორმაციას აფხაზეთის ა/რ-ის ჯანდაცვის სამინისტროს.

ორგანიზაციის წარმომადგენელმაც დაგვიდასტურა, რომ ადგილობრივებისთვის უფასო არასდროს არაფერი ყოფილა - ყველა მომსახურებაში თანხას იხდიდნენ. მან

ფოტოზე საბერიოს სამედიცინო ცენტრი

საბერიოს მაგალითი გვიამბო - როგორ იპოვეს დოკუმენტებში, რომ სპეცდაფინანსებით სასწრაფო მომსახურება უფასო უნდა ყოფილიყო, თუმცა რეალურად, მისი გამოძახება მოსახლეობისთვის ყოველთვის ფასიანი იყო.

"ყველგან ერთი და იგივე პრობლემები იყო - გაურკვევლობა, გაფორმებული შტატების ხალხს ვერ ვნახულობდით სახეზე, ვინ იყო, სად იყო... დაწესებულების ხელმძღვანელს ერიცხებოდა თანხა და მერე თვითონ ანაწილებდა ხელფასებს. ხალხი წამლის თანხას ცალკე იხდიდა, დაწოლისას ცალკე, გადასხმისას ცალკე... ერთ ნემსზეც კი ახდევინებდნენ", - მოგვიყვა მან.

გუნჯუა ამბობს, რომ ამ წერილში დასახელებული ფაქტები ტყუილია და რომ ეს წერილები, გალის დაწესებულებებში ფულის უკონტროლო ხარჯვის შესახებ, ხალხს ძალით დააწერინეს.

საბერიოში სასწრაფოს გამოძახებაში რომ ფული გადაუხდიათ, ამას ერთ-ერთი ადგილობრივი ანონიმურად ჩვენც გვეუბნება.

სატელეფონო ინტერვიუს დროს გუნჯუას ვკითხეთ, რატომ არ იყო უფასო მოსახლეობისთვის სამედიცინო სერვისი, რაზეც გვიპასუხა, რომ ხალხს უფასო სერვისი ფასიანში ერევა. მისი თქმით, სასწრაფო დახმარება უფასოა, მაგრამ ფასიანია სხვა მომსახურებაა - ზუგდიდში ავადმყოფის გადაყვანა, მაგალითად, რენტგენის გადასაღებად და ლოდინი.

ამ ნაწილში გუნჯუა ბოლომდე მართალი არაა, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში ეს მომსახურებაც უფასო უნდა იყოს. დავრეკეთ ცხელ ხაზზე და ვიკითხეთ, უნდა გადავიხადოთ თუ არა ფული იმაში, რომ საბერიოდან ზუგდიდში პაციენტი რენტგენის გადასაღებად სასწრაფო დახმარებით გადავიყვანოთ. ოპერატორმა აგვიხსნა, თუ პაციენტი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობს და ბრიგადის გამოძახებისას სასწრაფოს ექიმი ჩათვლის, რომ ის კლინიკაში გადაყვანასაც საჭიროებს, ეს მომსახურება უფასოაო.

აფხაზეთის ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი, ქეთი ბაკარაძე კი გვიყვება, რომ სწორედ ეს წერილი გახდა საფუძველი, შექმნილიყო კომისია საბერიოს საქმიანობის შესწავლის მიზნით. კომისიამ გუნჯუას მოსთხოვა, წარმოედგინა საფინანსო დოკუმენტაცია, ხელფასების გაცემის საბანკო ამონაწერები და საშტატო ნუსხა სახელფასო სარგოების მიხედვით. მან არაფერი წარადგინა, კომისია კი სხვა გზით ამ ინფორმაციას ვერ მიიღებდა, რადგან პროგრამული დაფინანსების თანხები საბერიოს ამბულატორიის ანგარიშზე ირიცხებოდა და მას მხოლოდ გუნჯუა განკარგავდა.

ბაკარაძის თქმით, როდესაც დასაბუთებული ვარაუდი ჰქონდა, რომ ბიუჯეტის სახსრები არამიზნობრივად იხარჯებოდა, გუნჯუა თანამდებობებიდან გაათავისუფლა. თუმცა იმის გამო, რომ სხვა კადრი მათი შიშით იქ ვერ მიდიოდა, ისევ მათი დაბრუნება მოუწია.

"ვინც შეთანხმებული გვყავდა, რომ უნდა ემუშავა გუნჯუას ადგილას, ბოლო მომენტში უარი თქვა. დარეკა, ოჯახი მყავს, შვილები მეზრდებაო... ისევ აღვადგინე, სხვა გზა არ იყო. ან ის უნდა ყოფილიყო, ან არავინ. იხურებოდა დაწესებულება. არავის არ მისცა იქ მისვლის საშუალება", - გვითხრა ბაკარაძემ.

გუნჯუა ამ დრომდე საბერიოს სამედიცინო ცენტრს ხელმძღვანელობს. გვითხრა, რომ ბაკარაძის წინააღმდეგ და არსებულ სიტუაციაზე სათქმელი ბევრი აქვს და ერთ დღეს ტელევიზიებს მიიწვევს ამ თემებზე სასაუბროდ. ჩვენთან კი ამაზე ტელეფონით საუბარი არ ისურვა.

გუნჯუას თაოსნობით, 2019 წლის მაისში, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში შევიდა განცხადება, რომელშიც გალის მოსახლეობა ბაკარაძეს დოკუმენტაციების გაყალბებასა და უკანონო გადაწყვეტილებების მიღებაში სდებდა ბრალს. საბჭოს რამდენიმე წევრმა, ამ განცხადების მიხედვით, მოამზადა ე.წ. დასკვნა, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში გაგზავნეს.

ბაკარაძე ამ ბრალდებებს არ ეთანხმებოდა და ცილისწამებად მიიჩნევდა. ამიტომ, 2019 წლის ოქტომბერში აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს წევრებს და განცხადების ხელმომწერებს სასამართლოში უჩივლა ამ განცხადების უარყოფის მოთხოვნით. წელს ბაკარაძემ ეს დავა მოიგო და უმაღლესი საბჭოს წევრებმა ბრალდებებიც უარყვეს. ხელმომწერებმა კი პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, რომლითაც ბაკარაძე გამართლდა, სააპელაციოში გაასაჩივრეს. სხდომა

ნოემბერშია ჩანიშნული, თუმცა ბაკარაძის ადვოკატს მოლოდინი აქვს, რომ შედეგები არ შეიცვლება.

არაკონტროლირებად ზერიზორიაზე ფულის ხარჯვაც უკონტროლოა

2018 წლამდე, გალში სხვადასხვა დროს, 20-მდე სამედიცინო დაწესებულება არსებობდა. 2018 წლის ბოლოს სამინისტრომ მათი რიცხვი ექვსამდე დაიყვანა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრმა, ქეთევან ბაკარაძემ მოგვიყვა, რა ხდებოდა ამ დაწესებულებებში და რატომ შეამცირეს მათი რაოდენობა. მისი თქმით, დაწესებულებებს არ გააჩნდათ იურიდიული სამართლებრივი ფორმა და არც შესაბამისი სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს მიერ მინიჭებული ინდივიდუალური საიდენტიფიკაციო კოდი ჰქონდათ.

"მე რომ მივედი სამინისტროში 2013 წელს, პატარა ჯგუფი იყო გალის თემაზე მომუშავე და იმათ გარდა არავინ იცოდა, შიგნით რა ხდებოდა. არის პროგრამა, არის ყოველწლიურად დამტკიცებული ბიუჯეტი, ფიქსირებული და იმის იქით რა ხდება, არასდროს არავინ იცოდა", - გვიყვება ბაკარაძე.

ყოფილი მინისტრი გვესაუბრა იმაზე, თუ რამდენად უკონტროლო იყო პროცესი გალში. ამ ამბებიდან იკვეთება ისიც, თუ რატომ გადაწყვიტა ბაკარაძის სამინისტრომ გალში სამედიცინო დაწესებულებების დახურვა.

ჩვენ მიერ მოპოვებული ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით, გიზიარებთ სოფელ მზიურის, ქვემო ბარღებისა და ოქუმის სამედიცინო დაწესებულებების მაგალითებს. ისინი საქართველოს ბიუჯეტიდან 2018 წლამდე ფინანსდებოდნენ. თუმცა, ირკვევა, რომ მიუხედავად საქართველოს ბიუჯეტიდან ამბულატორიებისთვის გადარიცხული ათობით ათასი ლარისა, პაციენტები უფასო მომსახურებას ვერ იღებდნენ, პერსონალი კი მაინც ენთუზიაზმზე, უხელფასოდ მუშაობდა. მაგალითად, მზიურის ამბულატორიის ექთანს 4 წლის განმავლობაში სჯეროდა, რომ მის დაწესებულებას საქართველოს მთავრობამ დაფინანსება შეუწყვიტა და კუთვნილ ანაზღაურებასაც ამიტომ ვერ იღებდა. ეს კი სიცრუე აღმოჩნდა.

მზიურის ამბულატორიის გამგე გურამ სექანიამ 2018 წლის 15 დეკემბერს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სამსახურიდან გათავისუფლება ითხოვა. 4 დღეში, სამინისტროში მზიურის სამედიცინო დაწესებულების ერთ-ერთი ყოფილი ექთნის წერილი შევიდა. ის ჰყვებოდა, რომ ხელფასს, წლების განმავლობაში, სხვადასხვა პირისგან ხელზე იღებდა. თუმცა, 4-5 წლის წინ უთხრეს, რომ დაწესებულება დაიხურა და სპეცდაფინანსებაც შეუწყდათ.

ამ წერილის მერე სამინისტროში მოკვლევა დაიწყეს. აღმოჩნდა, რომ 2016 წელს ამბულატორიის შენობა დაიწვა, სამედიცინო დაწესებულება კი ფუნქციონირებას ხელმძღვანელის სახლის პირველ სართულზე აგრძელებდა. სამინისტროსთვის ამ ხანძრის შესახებ 2019 წლამდე არავის შეუტყობინებია. შესაბამისად, ამბულატორიის დაფინანსებაც გრძელდებოდა. საქართველოს ბიუჯეტიდან ჩარიცხული თანხების განკარგვა კი მთავარ ექიმს ევალებოდა.

მისი თქმით, მატერიალური რესურსების კონტროლს ვერ ახერხებდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების და ფინანსებში გაურკვევლობის გამო. ფულს ბანკიდან მისი თანამშრომელი იღებდა და სხვა თანამშრომლებს ურიგებდა. ამ ამბის

სტატიაზე მუშაობისას ჩვენ მიერ დამუშავებული დოკუმენტები

გარკვევის შემდეგ სამინისტრომ სოფელ მზიურის ამბულატორია დახურა.

ბიუჯეტის უკონტროლო ხარჯვის კიდევ ერთი მაგალითი სოფელ ოქუმის ამბულატორიაა. 2018 წელს აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში კომისია შეიკრიბა და ოქუმის ამბულატორიისა და სასწრაფო დახმარების სამსახურში არსებულ ვითარებაზე იმსჯელა.

კრებაზე ითქვა, რომ დაწესებულებაში სამინისტროს მიერ მიცემულ დავალებებს არ ასრულებდნენ და თანამშრომლებს ხელფასებს არ უხდიდნენ, თითქოს იმ მიზეზით, რომ დაფინანსება არ ჰქონდათ. ამასთან, მთავარი ექიმი, რამაზ შარანგია ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში დაწესებულებაში არ გამოჩენილა და არაერთი დაბარების მიუხედავად, არც სამინისტროში ცხადდებოდა. საბოლოოდ, სამსახურიდან გაუშვეს, ახალი დირექტორი დანიშნეს, ხოლო ამბულატორიის დაფინანსება, მოგვიანებით, დროებით შეწყვიტეს. მიზეზი ის გახდა, რომ როგორც სამინისტრომ შეიტყო, ოქუმის ამბულატორია არ ფუნქციონირებდა, სამედიცინო პერსონალი ადგილზე არ იყო, არ არსებობდა საშტატო ნუსხა, ხელფასები კი საბანკო ანგარიშების ნაცვლად ხელზე გაიცემოდა.

სამინისტროს კომისიამ მოიკვლია ოქუმის სასწრაფო სამედიცინო სამსახურში შექმნილი სიტუაციაც. დაადასტურეს, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა ეფექტური და სათანადო მედიკამენტები, ექიმები კი არაკვალიფიციურები იყვნენ. მაგალითად, სასწრაფოს მორიგე ექიმად მუშაობდა და გამოძახებებზე გადიოდა სტომატოლოგი. ამ პრობლემების გამო კომისიამ სასწრაფოს ხელმძღვანელის მუშაობა უარყოფითად შეაფასა და საბოლოოდ, დაწესებულების დაფინანსება შეწყვიტა.

ოქუმის და მზიურის კვალს დაადგა სოფელ ქვემო ბარღების სამედიცინო დაწესებულებაც. 2018 წლის ოქტომბერში აფხაზეთის ა/რ-ის ჯანდაცვის სამინისტროს დაუკავშირდა ქვემო ბარღების ამბულატორიის ერთ-ერთი თანამშრომლის ოჯახის წევრი. ის სამინისტროსთვის გაგზავნილ წერილში ამბობდა, რომ სამედიცინო პერსონალს ხელფასი არ აუღია და ვერ იგებდა, რა იყო ამის მიზეზი. სამინისტრომ ამბის მოკვლევა დაიწყო, იმავე თვეში შექმნა კომისია, მოითხოვა ქვემო ბარღების ამბულატორიის ხელმძღვანელ ლელა ჩაფრავას ახსნა-განმარტება და თანამშრომელთა ხელფასების საბანკო ამონაწერები 2016-2018 წლებში. გაირკვა რომ ქვემო ბარღების ამბულატორიაში რამდენიმე თვის ხელფასის გაცემა არსად ფიქსირდებოდა.

მოკვლევისას დადგინდა, რომ შენობა არ ჰქონდა არც ქვემო ბარღების ამბულატორიას და არც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს. ორივე დაწესებულება ფუნქციონირებდა ხელმძღვანელის, ლელა ჩაფრავას მშობლების სახლში.

გაირკვა, რომ რეალურად დაწესებულებას ფუნქციონირების უფლება 2015 წლის შემდეგ არ ჰქონდა, გალის დე ფაქტო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, თუმცა ნახევრად ლეგალურად აგრძელებდნენ საქმიანობას. დარღვევა იყო ისიც, რომ თანამშრომლების ნაწილი ხელფასს საბანკო ბარათით იღებდა, ნაწილი - ხელზე.

აღმოჩნდა, რომ დაწესებულება არ ფუნქციონირებდა, თუმცა პროგრამიდან თანხა მაინც ირიცხებოდა. მოკვლევისას დადგინდა, რომ თანამშრომლებისთვის გასაცემი სამი თვის ხელფასით იყიდეს ავტომანქანა სასწრაფო სამსახურისთვის, თუმცა ამაზე თანამშრომლების თანხმობის მტკიცებულება არსად ჩანდა. არც ის იყო ცნობილი, ვისი საკუთრება იყო ეს მანქანა. საბოლოოდ, დაწესებულებას დაფინანსება შეუწყვიტეს, ხელმძღვანელი კი თანამდებობიდან დაითხოვეს.

ამ ამბულატორიებში თანხების უკონტროლო ხარჯვა ჩვენ მიერ მოპოვებული და შესწავლილი ასობით გვერდი დოკუმენტის გარდა იმითაც დასტურდება, რომ 2018 წლის შემდეგ არც ერთი ეს დაწესებულება აღარ არის სპეცდაფინანსების მიმღებთა სიაში. იქამდე, საქართველოს ბიუჯეტიდან თანხებს გალის ცხრა დაწესებულება იღებდა, ახლა კი ეს რიცხვი ექვსამდეა შემცირებული.

ის, რომ გალში ფულის ხარჯვა უკონტროლო და გაუმჭვირვალეა, მარტო სამინისტროსთვის არაა ცნობილი. ეს გარე თვალისთვისაც შესამჩნევია. ნანა გოგოხია უფლებადამცველია და 2006

წლიდან მუშაობს დევნილთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების უფლებების დაცვაზე. გალელებთან ურთიერთობა ხშირად აქვს, მათ შორის, სამედიცინო პერსონალთანაც.

"ადრე ექთნებს ვესაუბრე და გარკვეული სამედიცინო ინვენტარი მივაწოდე, მითხრეს რომ თუ იყო შესაძლებელი, ბეტადინი შეგვეძინა, რომელიც ყველაზე ელემენტარულია. სადეზინფექციო ხსნარის შეძენასაც ვერ ახერხებდნენ, არც არავის შეუძენია. როცა ექიმი და ექთანი ითხოვს თეთრ ხალათს, არ აქვთ ფორმა, პირბადე, ერთჯერადი ხელთათმანი, ეს ნიშნავს, რომ თანხები დანიშნულების ადგილამდე არ მისულა", - გვითხრა გოგოხიამ.

აფხაზეთის ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი, ქეთევან ბაკარაძე გვიყვება, რომ როცა სამინისტროში 2013 წელს მუშაობა დაიწყო, უკვე არსებობდა ეს პროგრამა, ყოველწლიურად გამოყოფილი და დამტკიცებული იყო ბიუჯეტი, თუმცა შიგნით რა ხდებოდა, არავინ არაფერი იცოდა.

მისი თქმით, აფხაზეთის მთავრობა არის პასუხისმგებელი გალის სამედიცინო დაწესებულებებში კადრების დანიშვნაზე, გათავისუფლებაზე, გუნდის ჩამოყალიბებაზე. ხოლო ფინანსები სსიპ "ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსგან" მოდის. ამ ორ უწყებას შორის კი კოორდინაცია არ არსებობს და თანხების ხარჯვას არავინ აკონტროლებს.

"ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო ამბობს, სამინისტრო რასაც გვაძლევთ, იმაზე დაყრდნობით ვიღებთ გადაწყვეტილებებსო. ამ დროს აფხაზეთის სამინისტრო გაიძახის, ჩემთან არც ერთი შესრულების დოკუმენტი არ მოდის და მე საერთოდ არ ვიცი, იქ რა ხდებაო. გამოდის, რომ სრული განუკითხაობაა და ვინ უნდა გააკეთოს ამ თანხების მონიტორინგი, უცნობია", - გვეუბნება ბაკარაძე.

ეს რომ მოვისმინეთ ყოფილი მინისტრისგან, ამის შემდეგ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსა და აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობას ვთხოვეთ მოეწერათ, როგორ ამოწმებენ გალის სამედიცინო დაწესებულებების მიერ თანხების ხარჯვას, კონკრეტულად რა დოკუმენტაციას და რამდენ ხანში ერთხელ ითხოვენ მათგან, ან როგორ ამოწმებენ იქიდან მიწოდებულ ინფორმაციას? ისიც ვიკითხეთ, ვინ არის პასუხისმგებელი სპეცდაფინანსების პროგრამის განხორციელებაზე და როგორ ნაწილდება ამ ორ უწყებას შორის უფლებამოსილებები.

ჯანდაცვის სამინისტრომ მოგვწერა, რომ გალის სამედიცინო დაწესებულებები მათ ანგარიშგებას პერიოდულად აბარებენ. (სამუშაოების შესრულებიდან მალევე, არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვამდე) სწორედ ეს დოკუმენტებია თანხის ანაზღაურების საფუძველი.

დაწესებულებებიდან იღებენ სპეციალურად შევსებულ ფორმებს, რომელშიც შევსებულია

ანაზღაურების მოთხოვნის უწყისი N ------

ანგარიშგების პერიოდი _____ წლის " _____ " _____ დან

დაწესებულების დასახელება _____

პროგრამა _____

N	ერთეულის პროგრამული კოდი	ნოზოლოგიის კოდი (ICD 10)	მოსარგებლეთა რაოდენობა	შემთხვევათა რაოდენობა
1	2	3	4	5
	X			

დაწესებულების ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი

გალის სამედიცინო დაწესებულებები ჯანდაცვის სამინისტროს ამ შევსებულ ფორმას უგზავნიან

შემდეგი ინფორმაცია: პაციენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, ასაკი, სქესი, რა შეემთხვათ, რა მომსახურებები დასჭირდათ და რა თანხა დაიხარჯა სამკურნალოდ. ასევე, ფორმაში მოცემულია სამედიცინო პერსონალის ხელფასი, მედიკამენტების ღირებულება, მკურნალობის თარიღი და ღირებულება.

აფხაზეთის მთავრობის ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი კი გვეუბნება, რომ ის დოკუმენტები, რომელსაც გალიდან ხარჯვების დასადასტურებლად იღებენ, არასანდოა.

"შესრულების დოკუმენტს ავსებენ სამედიცინო პუნქტების ხელმძღვანელები. წერენ - ამდენი ტრავმა იყო, ამდენი გადაუდებელი შემთხვევა

და ა.შ. ეს იმ ფონზე, როცა ზოგიერთი მათგანი ადგილზეც არ არის და ზუგდიდში მუშაობს. ეს დოკუმენტი რომ ნახოთ, იქ წერია, რომ გალში ერთ თვეში ყველა ხიდან ჩამოვარდა, ყველამ ფეხი მოიტეხა, რაც აბსურდია", - გვეუბნება ბაკარაძე.

გალში ყველაფერი "ფასიანია"?

თქვენთან სასწრაფო რომ მოდის, ამაში ფულს იხდით? გალელები კი გვიყვებიან, რომ იხდიან. არადა, გალში, სპეცდაფინანსების პროგრამის გამო სამედიცინო მომსახურებების ნაწილი, მათ შორის, სასწრაფო დახმარება უფასო უნდა იყოს. თუმცა, ყველა გალელი, ვისაც ჩვენ ვესაუბრეთ, სამედიცინო მომსახურებებში ფულს მაინც იხდის, ხანდახან არც თუ ისე ცოტას. მიღებული მომსახურების ხარისხი კი მათთვის დამაკმაყოფილებელი არაა.

გალელებთან ინტერვიუს დროს მოვისმინეთ, რომ იქ "ექიმისთვის ფულის ჩაჯიბვის" ტრადიცია კვლავ ცოცხალია. რესპონდენტები იხსენებენ, რომ თავი ხშირად ვალდებულადაც უგრძნიათ, ეს გაეკეთებინათ.

"სასწრაფო რომ გამოვიძახეთ, ფული გადავიხადეთ 50 ლარი. მეორედ მეზობელმა გამოიძახა და იმანაც ეგრე გადაიხადა. ენგურის ხიდამდე მიყვანაშიც 50 ლარი გამოგვართვეს. ვიცი, რომ ნისიების რვეულიც არსებობს. თუ არ აქვს ადამიანს, ნისიაში ჩაუწერენ", - გვითხრა სოფომ.

"ხელზე გიყურებენ, ანუ უნდა მისცე. უხერხულად გრძნობ თავს თუ არ მისცემ... რუსული მენტალიტეტი ხომ იცით, პატივი მცა და უნდა "ჩავუჯიბო". რატომ უნდა აჩუქო, როცა უფასოდ გეკუთვნის?" - ამბობს მარიამი.

ჩვენი რესპონდენტების უმრავლესობამ არც ის იცოდა, რომ ეს მომსახურება უფასოდ ეკუთვნით. ნათიამ პროგრამის შესახებ ჩვენგან გაიგო. მის სოფელს პროგრამაში ჩართული ამბულატორიაც აქვს. არც გალში მყოფ მის ოჯახის წევრებს სმენიათ რაიმე იმაზე, რომ სამედიცინო მომსახურებას უფასოდ უნდა იღებდნენ.

"გამოდის, რომ ქართული მხარე ინტერესდება ჩვენით და ჩვენი ჯანმრთელობით და იმდენს აკეთებს, რომ გვინაწილებს საქართველოს ეკონომიკაში არსებულ

თანხას, თურმე, ჯანდაცვა ჩვენზეც მოქმედებს და ჩვენც გვაფინანსებს", - გვითხრა ნათიამ.

"უშუალოდ გალში მე არასდროს გამიგია, რომ რაღაც დაფინანსება იყოს. ჩვენ მომსახურებაში, ყველაფერში თანხას ვიხდით. თანხის მხრივ, არანაირი შეღავათი არ არის. იდეაში, ყველაფერი ფასიანია, ნებისმიერი ანალიზი...", - გვითხრა გალში მცხოვრებმა ქეთიმ.

"დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, უმეტესობამ ამ პროგრამის შესახებ საერთოდ არაფერი არ იცის. ვისაც ვკითხე, რამე ხომ არ იცით-თქო, საერთოდ პირველად ესმოდათ. მათ შორის, არც სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავეებმა იციან და არც მასწავლებლებმა. სიმართლე გითხრათ, მეც არ ვიცი ბოლომდე, რას მოიცავს ეს პროგრამა , - გვითხრა ნესტანმა.

ადგილობრივებმა რომ ამ დაფინანსების 2შესახებ არ იციან, ამას ადასტურებს სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ 2022 წელს გამოქვეყნებული კვლევა - "ორმხრივი გამოტოვების ადგილები". ანგარიში ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ მდგომარეობას ეხება.

კვლევის ავტორთან, თეონა ფირანიშვილთან დავაზუსტეთ, მათთან ინტერვიუს დროს ხომ არ უხსენებია რომელიმე რესპონდენტს სპეცდაფინანსების პროგრამის შესახებ. ავტორმა ასეთი ვერავინ გაიხსენა.

"ინტერვიუების დროს არსად გამოჩენილა, რომ მათ იქ, გალში შეუძლიათ ცენტრალური ხელისუფლებიდან დაფინანსებული რაიმე პროგრამით ისარგებლონ. ასეთი რამ არავის აღუნიშნავს... ძირითადად, საუბრობდნენ პრობლემებზე, რომ მათ არ აქვთ რესურსები ადგილზე რომ კლინიკები არის ჩამოქცეული, არ აქვთ აღჭურვილობა, მედიკამენტები და თითო 'კაპიკის' მოთხოვნაზეც უდიდესი თავგანწირვა სჭირდება სამედიცინო პერსონალს, რომ რაღაც ინვენტარი ჩაიტანოს ადგილზე", - გვითხრა ფირანიშვილმა.

არადა, დაწესებულებების საჯარო რეესტრში ატვირთულ წესდებებში წერია, რომ დაწესებულებები პასუხისმგებელნი არიან, პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მოსახლეობისთვის უფასო მიწოდებაზე და ამ სერვისების შესახებ მათ ინფორმირებაზე. მაგალითად, ინფორმირების ხერხი შეიძლება იყოს დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო ტექსტის გაკვრა.

სტატიაზე მუშაობისას მოვახერხეთ, რომ გალის ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოში დასაქმებულ სამ ექთანთან გვესაუბრა. რა თქმა უნდა, ჩვენ მათთვის მიცემულ პირობას ვიცავთ და მათ ნამდვილ სახელებს არ ვიყენებთ. გალში მცხოვრები ყველა რესპონდენტის სახელი სტატიაში შეცვლილია, რადგან მათი უსაფრთხოება ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

ამ ინტერვიუს დროს ექთნებმა ჩვენგან გაიგეს,

გალის საავადმყოფოს შენობა - 2018 წელი. ფოტო: Democracy and Freedom Watch.

რომ, თურმე, მათი საავადმყოფო ვალდებულია მოსახლეობას სპეცდაფინანსების პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს. გვითხრეს, რომ ეს არასდროს მომხდარა და მოსახლეობას კი არა, მათთვისაც არავის განუმარტავს, რას მოიცავს ეს პროგრამა. ამაზე სამედიცინო პერსონალსაც გული შესტკივა. ჩვენთან საუბარში გამოთქვეს წუხილი, რომ მიუხედავად პერსონალის კვალიფიკაციისა და მოტივაციისა, ხელ-ფეხს უკრავთ არსებული მწირი რესურსები და პაციენტებს ისე ვერ ემსახურებიან, როგორც სურთ. ზოგჯერ, ამისთვის, თავისი ჯიბის ფულის გაღებაც უწევთ.

"არასდროს არ ხდება ინფორმაციის მიწოდება. პირველად მესმის. არასდროს არ მოუწოდებიათ ჩვენთვისაც", - გვითხრა ექთანმა მაყვალამ.

ექთნებს ისიც ვკითხეთ, რა მომსახურებებს უწევენ უფასოდ ადგილობრივებს პროგრამის ფარგლებში. მოგვიყვნენ, რომ მომსახურება უფასო მხოლოდ ღამის 10 საათის შემდეგ არის, ისიც არა პროგრამის გამო, არამედ იმიტომ, რომ ამ დროს აფთიაქები იკეტება და ფიზიკურად ვერაფერს იშოვის პაციენტი. სხვა დროს უფასო არაფერია, მით უმეტეს, ეთნიკურად ქართველებისთვის. ხოლო, აფხაზებს ყველაფერს უფასოდ უკეთებენ, იმიტომ რომ ასე ავალებენ.

"რა უფასოზე და რა დაფინანსებაზეა საუბარი, ეს არარეალურია. მე ვიცი, რომ დიდი თანხები ირიცხება...როდესაც ავადმყოფი მოდის და 5 მგ-ან შპრიცს თვითონ ყიდულობს და ექთანს გთხოვს, გამიკეთეო, ეს არის დაფინანსება? ბიზნესი რომ განვითარდა აფთიაქებში და დავუშვათ, ანტიბიოტიკი 3 ლარი რომ ღირდა და 9 ლარი რომ გახდა, მაგას ზოგი ავადმყოფი რომ ვერ ყიდულობდა და კვდებოდა, ეს ცხოვრებაა? ეს არის დაფინანსება? არავინ მოგატყუოთ, გალის რაიონში არავის არ ჰქონია უფასო არაფერი", - გვითხრა მაყვალა ექთანმა.

"ჩვენ დაფინანსებიდან არაფერი არ გვეძლევა. ელემენტარული ხელთათმანი რომ ხელთათმანია, ეგეც კი სათხოვარია ვინმესგან, პაციენტებს მოაქვთ, რომ რაღაცის შეხვევა გაიკეთონ", - გვითხრა ლია ექთანმა.

ისიც გვითხრეს, თუ ვინმე ისეთი მოვა, ვინც იცის, რომ უფასო მომსახურება ეკუთვნის, ვემსახურებით უფასოდ - აყალ-მაყალი რომ არ ატეხოსო.

რა აკრის გამოსავალი?

ინტერვიუ ვთხოვეთ როგორც საქართველოს ჯანდაცვის, ისე აფხაზეთის მთავრობის ჯანდაცვის სამინისტროებს. გამოსავალს რაში ხედავენ და როგორ ფიქრობენ ამ პროგრამების გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაზრდას, ამაზე უნდა გვეკითხა. კიდევ ბევრი სხვა კითხვაც გვქონდა იქიდან გამომდინარე, რაც სტატიაზე მუშაობის ამ 6 თვის განმავლობაში ვიკვლიეთ. ორივე სამინისტრომ ინტერვიუზე უარი გვითხრა. არადა, პასუხისმგებელი ამ პრობლემის გადაჭრაზე სწორედ ისინი არიან.

ფოტო: Democracy and Freedom Watch. ენგურის ხიდი

შემდეგ ალტერნატიული აზრების მოსმენას შევუდექით. გამოსავლის შესახებ ვკითხეთ ყველას, ვინც ამ თემით დაინტერესებულია.

იმ ადგილობრივების აზრით, რომელთაც ჩვენ ვესაუბრეთ, პროგრამით გათვალისწინებული თანხის ხარჯვას აფხაზეთის მთავრობა უკეთ უნდა აკონტროლებდეს, რასაც არ აკეთებს.

"ის [აფხაზეთის მთავრობა] უნდა აკეთებდეს ამის დეკლარირებას, ჩემი აზრით. მაგის მოვალეობა ეგ არის. გგონიათ, მანდ ვინც მუშაობს, არ იცის აქ [გალში] რა ხდება? აქაურები მუშაობენ იქ. იციან რა ხდება, მაგრამ ამის კონტროლს არავინ აკეთებს... ყველაზე მძიმე სამინისტროა", - გვითხრა მარიამმა, გალის მცხოვრებმა.

"ახლა როგორიც არის აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტრო [გულისხმობს ა/რ-ის სამინისტროს] საერთოდ დასაკეტია. ჯანდაცვის მინისტრად და თუნდაც განათლების მინისტრად უნდა დაინიშნოს ადამიანი, რომელიც არის აფხაზეთიდან და იცის აქაური პრობლემები. ვთქვათ, ჯანდაცვის სამინისტროში რეკავს აფხაზეთიდან მოქალაქე. ზარი რომ შემოდის აფხაზეთიდან და შენ უყვირი, ეს ხალხი ემსახურება შერიგებას ან კარგ საქმეს? ეს არის კომუნიკაციის შეწყვეტის ერთ-ერთი ფორმა", - ამბობს თამარი ჩვენთან სატელეფონო ინტერვიუსას.

რა არის გამოსავალი? ეს კითხვა უფლებადამცველ ნანა გოგოხიასაც დავუსვით, რომელიც დევნილთა საკითხებზე 2006 წლიდან მუშაობს. ის ფიქრობს, რომ ჯანდაცვის პროგრამების განხორციელება და მათი მიმდინარეობა უფრო გამჭვირვალე უნდა იყოს, რომ გამოირიცხოს ყველანაირი კორუფციის შესაძლებლობა.

"რთული არ არის დოკუმენტების ის ნაწილი გამოაქვეყნო, რომელიც ერთი შეხედვით ადამიანს აგრძნობინებს, რომ ყველაფერი წესრიგშია თანხების გადარიცხვის, პროგრამების განხორციელების ან სერვისების შესყიდვების კუთხით, მაგრამ მეორე საკითხია რა ხდება ადგილზე. ჩემთვის უფრო სარწმუნო ის ფაქტებია, რაც რეალობაში, ადგილზე ხდება, რაზეც საუბრობენ გალელები. ეს ხომ არ იმალება", - გვეუბნება ნანა გოგოხია.

მისი თქმით, ჯანდაცვა არის ის სფერო, რისი გამართულად მიწოდებაც გალში მცხოვრებლებისთვის აუცილებელია. თუ სპეცდაფინანსებით გამოყოფილი თანხები საჭიროებებს მოერგება და ლოგიკურად გადანაწილდება, უფრო შედეგიანი იქნება.

"თუ პროგრამას კვლევაზე დაფუძნებით, ის ადამიანები დაგეგმავენ ვისაც უშუალოდ აქვს შეხება ამბულატორიებთან, მაშინ უფრო მეტი შედეგის მომცემი შეიძლება იყოს. ასე მგონია, რომ ამის სურვილი ნაკლებია. ჩვენთან სახელმწიფო პროგრამების დაგეგმა ჰაერიდან ხდება, საჭიროებებს ნაკლებად იკვლევენ და აანალიზებენ, შესაბამისად შედეგითაც არავინ არ არის დაინტერესებული. საბოლოოდ კვლავ ადამიანები ზარალდებიან." - გვითხრა გოგოხიამ.

იგივე ვკითხეთ აფხაზეთის მთავრობის ჯანდაცვის ყოფილ მინისტრს, ქეთი ბაკარაძესაც. მან ეს პოსტი 2021 წელს თავისი ნებით დატოვა და ყოფილი პრემიერის, გიორგი გახარიას პოლიტიკურ პარტიას შეუერთდა. ის გამოსავალს სისტემის ფორმირებაში ხედავს. მისი თქმით, აუცილებელია, კვალიფიციური კადრების იდენტიფიცირება და ფინანსური ანგარიშგების საკითხის მოგვარება.

"უნდა მოხდეს ელექტრონულ ბაზაში პერსონალის შეყვანა და ამბულატორიის ხელმძღვანელებს კი არ უნდა დაერიცხოთ ეს უზარმაზარი თანხა, რაც ყოველთვის კორუფციის წყაროა, არამედ, იმ ადამიანმა უნდა მიიღოს კუთვნილი, ვინც იმუშავა. ბანკი უნდა იყოს შუამავალი და მან უნდა გააკონტროლოს გადარიცხვები. მოდელირება სჭირდება ამ პროგრამას თავიდან ბოლომდე. უამრავი პლატფორმაა და ძალიან მარტივია ამის დაკორექტირება. ამას სჭირდება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ნება, მეტი არაფერი", - გვითხრა ბაკარაძემ.

ლია ექთანმა მასთან საუბრის ბოლოს უიმედოდ გვითხრა, რომ არაფერს აზრი არ აქვს, არც გამოსავლების ძიებას.

"რამდენი სტატიაც არ უნდა დაწეროთ, ეს აფხაზეთია. მიუწვდომელია... ვერანაირი იურისპრუდენცია ვერ მიწვდება ამას, ვერ მოვა ვერანაირი სტრუქტურა, რომ ეს გამოიძიოს და მათ საკადრისი პასუხი გაეცეთ", - გვითხრა ლია ექთანმა.

ჩვენ მაინც გვჯერა, რომ ინფორმაციის გაზიარებას დიდი ძალა აქვს. იმედია, ამ სტატიას გალის ჯანდაცვის სისტემის გაჯანსაღება მოჰყვება და ლია ექთანიც იტყვის, რომ ჟურნალისტიკას რაღაც კარგი შესძლებია.

გურჯაანის მეღვინეობა: ძაღაუფლების, კორუფციის და რუსული კავშირების ისტორია

ავტორი: აიდან იუსიფი

ქალაქ გურჯაანში მეღვინეობას ბოლო ათწლეულია ორი გავლენიანი ადამიანი დაეპატრონა. მათმა კომპანიებმა მოხერხებულად გამოიყენეს ყველა ის შესაძლებლობა, რომელსაც "ქართულ ოცნებასთან" კეთილგანწყობილი ურთიერთობა აძლევდათ - მიიღეს სახელმწიფო უძრავი ქონება შეღავათიან ფასში, აგროკრედიტები და მეღვინეობის სფეროსთვის განკუთვნილი სუბსიდიები.

ჩვენი ბიუჯეტიდან მიღებული ფულითა და სახელმწიფო ქონების გამოყენებით ნაწარმოებ ღვინოს ორივე მათგანი რუსეთში ეზიდება. ჩრდილოეთიდან ამ კომპანიების ანგარიშზე, ბოლო წლებში, მილიონობით ლარი შემოდის.

ეს ორი გავლენიანი ადამიანი გახლავთ: ვახტანგ კარიჭაშვილი და ოლიგარქ ივანიშვილის ძმა, ალექსანდრე ივანიშვილი. მათ კომპანიებს რუსეთში ღვინის ექსპორტი მას შემდეგაც არ შეუწყვეტიათ, რაც ისინი უკრაინის მთავრობამ რუსეთის მიერ წარმოებული ომის სპონსორთა სიაში შეიყვანა.

ამ სტატიაზე მუშაობისას გურჯაანელებს ვესაუბრეთ, რომლებმაც დაგვიდასტურეს, რომ დღეს მათ ქალაქში, ძირითადად, ამ ორი ბიზნესმენის ქარხნები მუშაობს.

"ყურძნის მოყვანის მხრივ საშინელება ხდება, ყველა აპირებს, რომ გაყიდოს და გაკაფოს ვენახი. ფაქტობრივად, აზრი არ აქვს. ეგეთ დიდ საწარმოებს უკვე თავისი ვენახები აქვთ. გლეხების მოსავალი აღარ სჭირდებათ, თავისი ჰყოფნით რეალიზაციისთვის. ახლა, მამაჩემმაც ნელ-ნელა გაყიდა ვენახების ნაწილი", - გვეუბნება 25 წლის მარიამი, რომელიც გურჯაანში ცხოვრობს.

ვისია ბუჩთი და მოედანი გურჯაანის მეღვინეობაში?

ქალაქ გურჯაანში ორი დიდი ღვინის ქარხანაა: "გრუზვინპრომი" და "კოტეხი". პირველი ვახტანგ კარიჭაშვილის კომპანია "ბოლერო და კომპანიას" ეკუთვნის, მეორე - ალექსანდრე ივანიშვილის და ძმებ დუგლაძეების სს "კოტეხი-გურჯაანის ღვინის ქარხანას".

"ბოლერო და კომპანია"

შპს "ბოლერო და კომპანია" 2012 წელს მამუკა ფოთოლაშვილმა დააარსა. თუმცა, კომპანიის გენერალური დირექტორი დამფუძნებლად ვახტანგ კარიჭაშვილს მოიხსენიებს. მალევე, ხელისუფლებაში "ქართული ოცნება" მოვიდა და როგორც შემდეგ განვითარებული მოვლენები აჩვენებს, კომპანიის მესვეურებმა მთავრობასთან საერთო ენა მოკლე დროში იპოვეს.

"ბოლერო და კომპანიამ" სწრაფად შეძლო მცირე ზომის ბიზნესიდან გადაქცეულიყო ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ღვინის მწარმოებელ და ექსპორტიორ კომპანიად. მათივე ფინანსური ანგარიშის მიხედვით, "ბოლერო და კომპანიას" საწარმოები საქართველოში მოყვანილი ყურძნის ნახევარზე მეტს ამუშავებს.

2015 წელს "ბოლერო და კომპანიამ" მთავრობისგან ღვინის კომპანია "გრუზვინპრომი" შეიძინა. იმ დროს "გრუზვინპრომის" საკუთრებაში იყო 4.7 ჰექტარი ნაკვეთი და მასზე განთავსებული 26 შენობა-ნაგებობა გურჯაანში, კოსტავას ქუჩაზე. ამ ქონების მთლიანი ღირებულება 68 მილიონი ლარი იყო, "ბოლერომ" კი მხოლოდ 31,1 მილიონ ლარად შეიძინა.

ორი წლის შემდეგ საქართველოს მთავრობამ "ბოლეროს" გურჯაანში, იმავე ქუჩაზე, კიდევ 3.4 ჰა მიწა მიჰყიდა, 238 664 ლარად. ანუ, 1 კვ.მ 7 ლარად. ეს თანხა რომ იაფია და შეღავათიან პირობებთან გვაქვს საქმე იმითაც დასტურდება, რომ სამი წლის შემდეგ, მეზობელი ნაკვეთი კომპანიამ 1 კვ.მ 195 ლარად იყიდა.

მთავრობასთან ამ გარიგების პირობა შემდეგი იყო: ორი წლის განმავლობაში "ბოლეროს" უნდა დაეხარჯა დამატებით ერთი მილიონი ლარი საკუთარი ქარხნის განახლებისთვის - ქარხანა უნდა შემოეღობა, დაესხა ასფალტი ან ბეტონი, მოეწყო გარე განათება და ავტოსადგომი.

ჩვენ ქონების ეროვნულ სააგენტოს ვკითხეთ, შეასრულა თუ არა "ბოლერომ" აღნიშნული ვალდებულება და როგორ განავითარა თავისივე ქარხანა. სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკა ქამუშაძემ გვიპასუხა, რომ ჩვენს წერილზე კანონით დადგენილ ვადაში პასუხს ვერ გაგვცემდნენ, რადგან ბევრი წერილი აქვთ და ვერ ასწრებენ პასუხების მომზადებას. ინტერვიუზე კი კატეგორიული უარი გვითხრა.

ღია წყაროებიდან რაც გავარკვიეთ ისაა, რომ 2019 წლის სექტემბერში საჯარო რეესტრმა ქონება აღებული ვალდებულებებისგან გაათავისუფლა.

ვახტანგ კარიჭაშვილი - რუსეთში გამდიდრებული ბიზნესმენი

ვახტანგ კარიჭაშვილი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავიდანაა, 2000-ან წლებში რუსეთში წავიდა, ღვინის ბიზნესი ააწყო და იქ გამდიდრებული ბიზნესმენების რიგებში ჩაეწერა. საქართველოში მისი დაბრუნება საინტერესოდ ემთხვევა "ქართული ოცნების" გამოჩენას, ანუ

2012 წელს. პირველი კომპანია, რომელიც მის სახელს უკავშირდება, საქართველოში 2012 წლის ნოემბერში დარეგისტრირდა - ეს იყო შპს ბოლერო და კომპანია.

2002 წლიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე (არჩევნებამდე) კარიჭაშვილს წილები ჰქონდა ოთხ რუსულ კომპანიაში. მათგან სამი დღეს აქტიური აღარაა.

საქართველოში მისი ბიზნესი 2015 წლიდან გააქტიურდა - მისმა კომპანიებმა დაიწყეს სახელმწიფო ქონებების შესყიდვით, წარმოების გაფართოება და ტენდერების მოგება.

2015 წლიდან დღემდე გამარტივებულ შესყიდვებში კარიჭაშვილის 9 კომპანია მონაწილეობს, რომლებსაც საერთო ჯამში ბიუჯეტიდან 33,5 მილიონ ლარზე მეტი აქვთ მიღებული.

უძრავ ქონებასთან ერთად მისმა კომპანიებმა სახელმწიფოსგან ფული ორი სხვადასხვა პროგრამით მიიღეს: აგროკრედიტი და ყურძნის სუბსიდირების პროგრამა.

აგროკრედიტის პროგრამა 2013 წლიდან ამოქმედდა და მას სოფლის განვითარების სააგენტო გასცემს. პროგრამა მათთვისაა განკუთვნილი, ვისაც სოფლად საქმიანობის დაწყება ან განვითარება უნდა. მათ მთავრობა სთავაზობს იაფ ფინანსურ რესურსებს და სესხის პროცენტის თანადაფინანსებას. 2021-2023 წლებში, ვახტანგ კარიჭაშვილის ათმა სხვადასხვა კომპანიამ ამ პროგრამით 24 მილიონი ლარი მიიღო.

ყურძნის სუბსიდირების პროგრამით კარიჭაშვილის კომპანიებიც ხეირობენ. ისინი ყურძენს ფერმერებისგან იბარებენ, ამის შემდეგ კი, სახელმწიფო მათ, როგორც ჩამბარებლებს, 1 შეძენილ კილოგრამზე 20 თეთრს უხდის (2024 წლის განკარგულებით). შპს "ბოლერო და კომპანიას" და შპს "გრუზვინპრომის" ფინანსურ ანგარიშებში წერია, რომ 2017-2022 წლებში ამ კომპანიებმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიებისა და სესხის პროცენტის სახით, 4 მილიონ ლარზე მეტი მიიღეს.

კარიჭაშვილის კომპანიების დირექტორებმა და მეწილეებმა "ქართულ ოცნებას" ბოლო 11 წელში 750 000 ლარი შესწირეს. საინტერესოა, რომ სხვადასხვა კომპანიის სხვადასხვა მეწილეს თანხის შეწირვა ერთსა და იმავე დღეს ახსენდება ხოლმე. პოლიტიკური ლოიალობის სანაცვლოდ, ბიზნესმენი კარიჭაშვილი სახელმწიფო რესურსებით უწყვეტად სარგებლობს.



სს "კოტეხი - გურჯაანის ღვინის ქარხანა"

ამ ქარხნის ისტორია წინა საუკუნიდან იწყება. ის გაიხსნა 1976 წელს და საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ქარხანად მიიჩნეოდა. 90-ან წლებში, როცა სახელმწიფო ქონების კერძო მესაკუთრეებზე მიყიდვა დაიწყო, ამ ქარხანასაც გამოუჩნდა ახალი მფლობელი . 1996 წელს შეიქმნა სააქციო საზოგადოება, რომელსაც 114 აქციონერი ჰყავდა და ქარხნის მართვაც მათ დაიწყეს. საქმიანობა ისევ უცვლელი დარჩა - ყურძნის დამუშავება და ალკოჰოლური სასმელების წარმოება.

დოკუმენტებით მტკიცდება, რომ 2016 წელს სააქციო საზოგადოების წილების 99.99 პროცენტს შპს "აისი ინკი" ფლობდა. ამ კომპანიის მესაკუთრეები არიან: "ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატი ზაალ დუგლაძე, მისი ძმა დავით დუგლაძე და ბიძინა ივანიშვილის ძმა - ალექსანდრე ივანიშვილი.

ზაალ დუგლაძე

ალექსანდრე ივანიშვილი

კომპანიის ფინანსურ ანგარიშში წერია, რომ 2016 წლიდან ინტენსიურად მიმდინარეობს სს „კოტეხი - გურჯაანის ღვინის ქარხნის" გადაიარაღება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. კომპანიას ყვარლის რაიონში 9 ჰექტარზე აქვს გაშენებული საფერავის ჯიშის ყურძენი, ხოლო გურჯაანში - ქისი და ხიხვი. ვენახების გაშენების და გაფართოების პროცესი ყოველწლიურად მიმდინარეობს.

ქარხანა ღვინის გარდა საბრენდე სპირტსაც აწარმოებს. გურჯაანის ღვინის ქარხანა ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ჩამბარებელია. ანუ, რთველის დროს მევენახეებისგან ყურძენს ყიდულობს. 2022 წელს კომპანიამ კახეთის რეგიონში მიიღო და გადაამუშავა 7 000 ტონამდე ყურძენი.

2017 წელს "სს კოტეხი-გურჯაანის ღვინის ქარხანამაც" ისარგებლა მთავრობის გულუხვობით: ეკონომიკის სამინისტრომ მას 13 359 კვ.მ სახელმწიფო მიწა მხოლოდ 100 000 ლარად მისცა. დაუთქვეს "ბოლეროს" მსგავსი პირობა, წელიწადნახევარში გურჯაანის ღვინის ქარხანას უნდა განეახლებინა საკუთარი ინფრასტრუქტურა - დაედგა ათი ავზი და მოეწყო სამაცივრე დანადგარები. 2019 წელს რეესტრმა ეს ვალდებულება "ბოლეროს" მსგავსად "კოტეხი-გურჯაანის ღვინის ქარხანასაც" მოუხსნა.

2021-2023 წლებში გურჯაანის ღვინის ქარხანამ შეღავათიანი აგროსესხიც მიიღო - 4.4 მილიონი ლარის ოდენობით. ძმებ დუგლაძეებსა და ალექსანდრე ივანიშვილს სხვა კომპანიაც აქვთ ერთად, რომელსაც შპს "დუგლაძეების ღვინის კომპანია" ჰქვია. იმავე წლებში, აგროკრედიტით ამ კომპანიამაც ისარგებლა და ჯამში 3.2 მილიონი ლარის შეღავათიანი სესხი მიიღო.

სს "კოტეხი - გურჯაანის ღვინის ქარხანა" და შპს "დუგლაძეების ღვინის კომპანია" ჩართულია ყურძნის სუბსიდირების სქემაშიც და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიათასობით ლარს იღებს. 2022-2023 წლებში, ამ ორი კომპანიისთვის სუბსიდიის სახით გაცემულია 4.1 მილიონი ლარი. როგორც ამბობენ, ხელი ხელს ბანსო - მიღებული სარგებლის სანაცვლოდ, **დუგლაძეებმა და ივანიშვილმა "ქართულ ოცნებას" 2016 წლიდან დღემდე 722 700 ლარი შესწირეს.**

ღვინო ომის ფონზე: მომგებიანი ბიზნესი რუსეთთან

2023 წლის ნოემბერში უკრაინის კორუფციასთან ბრძოლის ეროვნულმა სააგენტომ "ბოლერო და კომპანია" შეიყვანა "ომის საერთაშორისო სპონსორთა" სიაში. თუმცა, ამ ფაქტს კომპანიისთვის სულ არ შეუშლია ხელი, რომ რუსეთთან ვაჭრობა გაეგრძელებინა.

"იმპორტ ჯენიუსი" არის საერთაშორისო მონაცემთა ბაზა, რომელიც საგარეო ვაჭრობის ოფიციალურ სტატისტიკას აგროვებს. სწორედ აქ ვიპოვეთ, რომ უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი ომის დაწყებიდან დღემდე "ბოლერო და კომპანიამ" რუსეთში 36 მილიონ დოლარის ალკოჰოლური სასმელი გაიტანა. კომპანიის ბოლოს ატვირთულ ფინანსურ ანგარიშში ღიად წერია: „ომს არ აქვს

და არც უახლოეს მომავალში (მინიმუმ მომავალი 12 თვე) ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის საოპერაციო საქმიანობაზე“.

“ბოლეროს” კავშირები რუსეთთან მხოლოდ ღვინის გაყიდვით არ შემოიფარგლება. ის აქტიურად თანამშრომლობს სანქცირებულ რუსულ კომპანიებთან, მათ შორის შპს “ლოჯისტიკურ ალტერნატივასთან”, რომელიც არის “PJSC მაგნიტის” შვილობილი კომპანია. “მაგნიტის” ერთ-ერთი მფლობელი კი არც მეტი არც ნაკლები რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის სიძის კომპანიაა.

რუსეთში გააქვს ღვინო „კოტეხი - გურჯაანის ღვინის ქარხანასაც“. “იმპორტ ჯენიუსის” მონაცემების მიხედვით, 2017 წლის სექტემბრიდან დღემდე კომპანიამ ოკუპანტ ქვეყანაში 52 მილიონი დოლარის პროდუქცია გაიტანა. აქედან 32 მილიონი დოლარის ღირებულების კი ომის დაწყებიდან დღემდე. ბიძინა ივანიშვილის ძმა, მისი ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, უკრაინამ ჯერ კიდევ 2022 წლის ოქტომბერში დაასანქცირა. მიზეზი კი ბიძინა ივანიშვილის და სანქცირებული რუსი მაღალჩინოსნების ახლო კავშირები იყო.

მიუხედავად უკრაინის მიერ ამ ბიზნესმენების დასანქცირებისა, კარიჭაშვილის და ივანიშვილის კომპანიებს საქართველოში შეზღუდვები არ აქვთ. პირიქით, მთავრობა მათ ყველანაირად უწყობს ხელს, რომ სახელმწიფო რესურსების ხარჯზე ისარგებლონ.

ჩვენ სოფლის განვითარების სააგენტოს ვკითხეთ, იცოდნენ თუ არა, რომ უკრაინის მთავრობამ “ბოლერო და კომპანია” და სს “კოტეხი - გურჯაანის ღვინის ქარხნის” ერთ-ერთი მფლობელი, ალექსანდრე ივანიშვილი დაასანქცირა და შეიყვანა “ომის საერთაშორისო სპონსორების” სიაში. სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელმა ნინო მელიამ გვითხრა, რომ სააგენტო მოქმედებს შეღავათიანი აგროკრედიტის შესახებ მთავრობის განკარგულების მიხედვით.

“განკარგულებით განსაზღვრულია, რა შემთხვევაში წყდება თანადაფინანსება. სანქციებთან დაკავშირებით სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას”, - მოგვწერა ნინო მელიამ. დანარჩენი კითხვები კი, რომელიც ამ კომპანიების დაფინანსებას ეხებოდა, რეაგირების გარეშე დატოვა.

ბუნებრივია, სტატიაზე მუშაობისას ორივე კომპანიასთან დაკავშირება ვცადეთ, მაგრამ უშედეგოდ. ერთგან ჩვენს ზარებს არავინ უპასუხა, მეორეგან კი ტყუილად დაგვპირდნენ, რომ მოგვიანებით შეგვეხმიანებოდნენ.

კარიჭაშვილის და ივანიშვილის ღვინის ბაზარზე აღზევების გზა გვაჩვენებს, თუ როგორ არის ერთმანეთს გადაჯაჭვული ქართული პოლიტიკა, ბიზნესი და კორუფცია. ნათელია ისიც, როგორ ისარგებლეს სახელმწიფოს სიკეთეებით და ჩვენი ქვეყნის ტრადიციული ინდუსტრია გაუმჭვირვალე გარიგებების საგნად აქციეს.

პოლიტიკა, საარგებელი და პრივილეგიები - ბოლქვაძეების ოჯახური ბიზნესის ისტორია

ავტორები: ნანუკა ბრეგაძე და მანანა ღოღობერიძე

წელს ისტორიაში პირველად, პროპორციული არჩევნები გვაქვს, რაც ნიშნავს, რომ მანკიერი მაჟორიტარული სისტემა წარსულს უნდა ჩაბარებოდა. თუმცა, "ქართულმა ოცნებამ" "ტრიუკს" მიმართა - პროპორციული სიის სათავეში რეგიონის დელეგატები ჩასვა და წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაც მიანდო. ანზორ ბოლქვაძე ერთ-ერთი მათგანია.

ის მმართველმა პარტიამ ხულოს, ქედის, ხელვაჩაურის და შუახევის დელაგატად მიავლინა. იქამდე, ანზორ ბოლქვაძე ხულოს მაჟორიტარი იყო 16 წლის განმავლობაში - ჯერ "ნაციონალური მოძრაობის", შემდეგ კი "ოცნების" მმართველობის დროს.

გამოიცვალა ორი ხელისუფლება, ორი პარტია, თუმცა უცვლელია მისი სტილი - პოლიტიკური გავლენების პირადი კეთილდღეობისთვის გამოყენება. ამაზე მოწმობს ბოლქვაძეების გამდიდრება და მათი ოჯახური ბიზნესის აყვავება, მაინცდამაინც, ბოლო 16 წელში.

ამ სტატიაში მოგიყვებით, როგორ და რამდენჯერ ჩადგა სახელმწიფო დეპუტატის ოჯახის სამსახურში:

- 2011 წლიდან მოყოლებული დეპუტატ ანზორ ბოლქვაძის ოჯახმა და გარემოცვამ სახელმწიფო შესყიდვებიდან 5.3 მილიონი ლარი მიიღო.

- დეპუტატ ანზორ ბოლქვაძის ოჯახი სახელმწიფო ქონებას პრივილეგიებით და შეღავათიან ფასად ეუფლება, წლების შემდეგ კი იქ სარფიან ბიზნესს აწყობს - მაგალითად, ბოლქვაძეების ხელში მოხვდა მხოლოდ 46 950 ლარად შეძენილი ქონება, რომელიც სამი წლის შემდეგ ბანკმა თითქმის ცხრაჯერ

  ძვირად, 408 900 ლარად შეაფასა.

ანზორ ბოლქვაძე და მისი მეუღლე

პარლამენტარის ბიზნესი

სარგებელი ცოლის კომპანიას - სასტუმრო კურორტ გოდერძიზე

გოდერძის უღელტეხილზე, რომელიც ბოლო წლებში მომხიბვლელ ტურისტულ ადგილად იქცა, პარლამენტარის ცოლის, თინა ბოლქვაძის კომპანიის სასტუმრო დგას. 40-ნომრიანი სასტუმრო "არსიანი" აქ 2020 წელს გაიხსნა და მისი ოფიციალური მფლობელი შპს "აისი გოდერძია".

მიუხედავად იმისა, რომ სასტუმრო ფუნქციურია და ტურისტებს მეოთხე წელია მასპინძლობს, ანზორ ბოლქვაძის მიერ 2021-2024 წლებში შევსებულ ქონებრივ დეკლარაციებში "არსიანიდან" მიღებული შემოსავალი არ ფიქსირდება. თუმცა, იმას კი უთითებს, რომ მისი ცოლისაა შპს "აისი გოდერძი", რომელიც სასტუმრო "არსიანს" ფლობს.

გამოდის, რომ თავად "გამჭვირვალობის" მომხრე დეპუტატი, რომელიც ხმას აძლევს რუსულ კანონს, საკუთარ ფინანსებს წარმატებით გვიმალავს. "ჩემს ქვეყანას სჭირდება და იმიტომ დავუჭირე მხარი... დეკლარაციის ასახვაა მანდ, მაგ კანონში, მეტი არაფერი არ არის", - ამბობდა დეპუტატი 2024 წლის მაისში, "ტვ-25"-თან საუბრისას.

სასტუმროს მფლობელი კომპანია, შპს "აისი გოდერძი" 2017 წელს ანზორ ბოლქვაძის ვაჟმა, ნოდარ ბოლქვაძემ როლანდ და რაინდი შანთაძეებთან ერთად დააფუძნა. 2019 წელს კი ნოდარმა თავისი 33.3%-ანი წილი დედას, თინა ბოლქვაძეს, სიმბოლურ 1 ლარად მიჰყიდა. მას შემდეგ, ეს კომპანია დეპუტატის ცოლის და შანთაძეების საკუთრებაა.

სასტუმროს ტერიტორია 2016 წელს აჭარის ავტონომიური მთავრობისგან "აისი გოდერძის" როლანდ შანთაძემ იყიდა. 1 კვ.მ მიწაში მან 13 ლარი გადაიხადა, ჯამში 46 950 ლარი. ამ ფასად იყიდა 3 614 კვ.მ მიწა და მასზე მდგომი 330 კვ.მ ფართობის შენობა. აუქციონით ამ უძრავი ქონების შეძენას საინვესტიციო პირობებიც მოჰყვა - შანთაძეს 800 ათასი ლარის ინვესტიცია უნდა ჩაედო, მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა ექვს თვეში უნდა გაერემონტებინა, ერთ წელში კი იქ საზოგადოებრივი კვების ობიექტი უნდა გაეხსნა.

როგორც ჩანს, როლანდ შანთაძე მალევე მიხვდა, რომ ნაკისრ ვალდებულებას ვერ ასრულებდა და ვადის გადაწევა 2017 წელსვე სთხოვა მთავრობას. მომდევნო წლებში აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ცვლილებას ცხრაჯერვე დათანხმდა, თუმცა დოკუმენტებში არსად წერია, რა იყო ვადის გადაწევის მიზეზი.

2017-2018 წლებში შანთაძე პირობების შეუსრულებლობის გამო 10 700 ლარით დააჯარიმეს, მაგრამ არ გადაახდევინეს. შანთაძემ მეორედ დადო პირობა და ხელწერილითაც დაადასტურა, რომ სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებას შეასრულებდა. ისევ არაფერი - "გოდერძიზე" კვების ობიექტი არადა არ ჩანდა.

2019 წლის აგვისტოში, როლანდ შანთაძეს აჭარის ა/რ-ის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო ემუქრებოდა - თუ პირობებს დათქმულ ვადებში (2020 წლის ივლისამდე) ამჯერად მაინც არ შეასრულებ, საბანკო გარანტიით გათვალისწინებულ სრულ თანხას ჩამოგართმევთო.

2019 წლის ივლისში შანთაძემ ქონება ბანკს შეაფასებინა და მის საბაზრო ფასად 408 900 ლარი დადგინდა. შანთაძის მიერ 2016 წელს 46 950 ლარად ნაყიდმა ქონებამ მას სარგებელი სხვა კუთხითაც მოუტანა. 2019 წლის სექტემბერში მან ეს ქონება, 3 614 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 330 კვ.მ შენობა-ნაგებობა ანზორ ბოლქვაძის ცოლის კომპანიას, შპს "აისი გოდერძის" აჩუქა და ვალდებულებებიც გადააბარა.

სექტემბრის შემდეგ სახელმწიფოს კომპანიის მიერ ვალდებულებების მკაცრად შესრულება აღარ მოუთხოვია, ისე როგორც ამას შანთაძის მიმართ აკეთებდა. შანთაძის მსგავსად კვების ობიექტს არც "აისი გოდერძი" ხსნიდა, მაგრამ მას მთავრობა პასუხსაც არ სთხოვდა. მას შემდეგ, რაც ეს კომპანია ბოლქვაძის ცოლის საკუთრება გახდა, ვადის გადაწევა ხუთჯერ მოითხოვა და ხუთივეჯერ უპრობლემოდ დათანხმდნენ, ისე, რომ საბანკო გარანტია აღარ უხსენებიათ. არადა, შანთაძე არსად წასულა, ამ კომპანიაში მეწილეც არის და დირექტორიც.

საბოლოოდ, "აისი გოდერძიმ" სახელმწიფოსგან შეღავათიან ფასად მიღებულ ტერიტორიაზე მომგებიანი ბიზნესი წამოიწყო - 2020 წელს იქ 40-ნომრიანი სასტუმრო "არსიანი" გახსნა და კვების ობიექტის ვალდებულება ასეთი ფორმით შეასრულა - სასტუმროს პირველ სართულზე რესტორანი "არსიანი" მოაწყო.

"არსიანი" ტურისტებს მეოთხე წელია ემსახურება, ერთი ღამის საფასური კი 70-80 ლარია.

რის საფუძველზე დართეს ნება დეპუტატის ოჯახს, რომ საზოგადოებრივი კვების ობიექტის ადგილას სასტუმროც მოეწყოთ, ამ კითხვაზე პასუხი ხულოს მერიაში ვერ გაგვცეს - ჩვენი პრეროგატივა არ არისო.

ამ კითხვის დასმა როლანდ შანთაძისთვისაც გვსურდა. ტელეფონზე რომ დავურეკეთ და სასტუმრო "არსიანი" ვუხსენეთ, გვთხოვა, საათ ნახევარში გადმომირეკეთო. რა თქმა უნდა, დათქმულ დროს ხელახლა დავურეკეთ, მაგრამ შანთაძემ ჩვენს ზარს აღარ უპასუხა.

სასტუმრო "არსიანი"

პარლამენტარის თოვლმავალი

გოდერძიზე თუ ზამთრის თოვლიან ამინდში ახვალთ და ადიგენის შემდეგ თქვენი ავტომობილით წასვლას ვერ მოახერხებთ, ბოლო უბნიდან, უტყისუბნიდან კურორტ გოდერძიმდე სპეციალური თოვლმავალი აგიყვანთ. ეს სატრანსპორტო საშუალება ანზორ ბოლქვაძის ოჯახის კომპანიას ეკუთვნის.

როგორ ჩაერთო ამ ბიზნესში "ოცნების" დეპუტატი? 2017 წლის ბოლოს, აჭარის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ კურორტ გოდერძის დამსვენებლებს ახალი სერვისი - სპეციალური თოვლმავლით გადაადგილება შესთავაზოს. ამისთვის კი 380 000 ლარის ოთხი ხელშეკრულება უკონკურენტო პირობებში შპს "გოდერძირეზორტსმა" (რომელიც აჭარის ა/რ-ის მიერ შექმნილი კომპანია) თინა ბოლქვაძის კომპანიას, შპს "აისი გოდერძის" გაუფორმა.

კომპანიას ჰყავს 1999 წლის გამოშვების მუხლუხა ტრაქტორი, რომლითაც 10-12 ადამიანი კურორტზე აჰყავს და ჩამოჰყავს. არადა, პირველი ხელშეკრულების სატენდერო მოთხოვნებით, ეს სპეციალური თოვლმავალი მინიმუმ 2000 წელს გამოცემული უნდა ყოფილიყო. შემდეგ, მოთხოვნა გადააკეთეს და 1999 წელზე ჩამოიყვანეს. ერთ რეისში სახელმწიფო ბოლქვაძეების კომპანიას 2017 წელს 295 ლარს უხდიდა, 2024 წელს კი ერთი რეისის ფასი სულ ცოტა ორჯერ, 642 ლარამდე გაძვირდა. ეს ერთგვარი სახელმწიფო სუბსიდიაა და დამსვენებელი ადგილზე მხოლოდ 30 ლარს იხდის.

კურორტზე ორი ასეთი ტექნიკა სასტუმრო "ამბასადორსაც" ჰყავს, თუმცა სახელმწიფო მომსახურებას მხოლოდ "აისი გოდერძის" უკვეთავენ. მათ თითქოს ტურისტული კომპანიის სახელით დავურეკეთ და როგორც მძღოლმა გვითხრა, კერძო რეისებსაც ასრულებენ:

"სახელმწიფო პროგრამაზე, ძირითადად, მე ვარ, მე დავდივარ... სახელმწიფო პროგრამა თუ არის, ერთი ადამიანი ჯდება ერთი მხარე 30 ლარი, ისე ღირს 700 ლარი ერთი რეისი, რომ ჩამოვიდე და ამოვიყვანო 13-14 კაცი... ჯავშნები მაქვს, ჯგუფები მყავს და იმის მიხედვით მაქვს გრაფიკი... დღეში 10 რეისსაც გავაკეთებ სამი "კეზბორერით".... მთავარი კომპანია ვარ იმაში, რომ მეტი მყავს თოვლმავლები და ვემსახურები ხალხს... "

ანზორ ბოლქვაძის ქონებრივ დეკლარაციებში არც ეს შემოსავალი ჩანს.

რატომ არ ასახავს ოჯახური ბიზნესის შემოსავალს

ქონებრივ დეკლარაციაში, ამაზე პასუხი თავად დელეგატობის კანდიდატ ბოლქვაძისგან გვსურდა. სატელეფონო საუბრისას თავისი დეკლარაცია რომ ვუხსენეთ, გაბრაზებული ტონით მოგვიგო - "თქვენ რა შუაში ხართ, დეკლარაცია რა... გამოქვეყნებულია და წაიკითხეთ, მაქ არი, ღიად არი, რამე დამალული არ არი... წაიკითხე და ჩაწერე რაც გინდა". ამის შემდეგ ზარი გაგვითიშა, ხელმეორედ გადარეკვისას კი აღარ გვიპასუხა.

ბეჭონის საამქრო

ხულოდან ორ კილომეტრში, სოფელ ვაშლოვანში, დეპუტატ ანზორ ბოლქვაძის ვაჟი ბეტონის საამქროს ფლობს. იქ წარმოებული ბეტონით, თავისივე კომპანიას, შპს "ბოლქვაძის გარაჟს" ამარაგებს. "ბოლქვაძის გარაჟისგან" კი ბეტონს ხულოს მერია ყიდულობს ხოლმე, სოფლის გზების დასაგებად.

როგორ გახდა საამქრო ნოდარ ბოლქვაძის საკუთრება? გრძელი ისტორიაა და მაშინ დაიწყო, როცა ანზორ ბოლქვაძე ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში კეთილმოწყობის სამსახურს ხელმძღვანელობდა. საამქროს 370 კვ.მ ფართობის შენობა 3 424 კვ.მ მიწაზე დგას.
2007 წლის აგვისტო - 10 611 ლარის ღირებულების ეს უძრავი ქონება აჭარის ავტონომიურმა მთავრობამ შპს "აგროტექსერვისის" საწესდებო კაპიტალში შეიტანა, ამ დროს ამ კომპანიის დირექტორი ნოდარ ქონიაძე იყო. ქონიაძის გვარი დაიმახსოვრეთ, მას და მისი ოჯახის წევრს ბოლქვაძეების გარემოცვაში კიდევ არაერთხელ წავაწყდებით.

2011 წლის მაისი - ქონება 19 700 ლარად შპს "ფონმა" იყიდა. შპს "ფონი" 2005 წელს ანზორ ბოლქვაძემ დააარსა. 2011 წელს კი მისი ვაჟი, როლანდ ბოლქვაძე ფლობდა. "ფონის" დირექტორი, დავით ქონიაძეა, რომელიც ზემოთ ხსენებული ნოდარ ქონიაძის ოჯახის წევრია.

2011 წლის ნოემბერი - როლანდ ბოლქვაძემ, პარლამენტარის შვილმა შპს "ფონში" თავისი წილების ასი პროცენტი დავით ქონიაძეს 2 000 ლარად მიჰყიდა და ამ გზით, პარლამენტარის ოჯახმა საამქროსთან ოფიციალური კავშირი გაწყვიტა.

თუმცა, არაოფიციალურად, ბოლქვაძეები საქმიდან არ გასულან. ბოლქვაძეების ოჯახი ბეტონის საამქროს 16 წელი არაოფიციალურად ფლობდა, ხან ვის სახელს ეფარებოდა და ხან ვისას. ბოლოს კი პირდაპირ მათ საკუთრებაში აღმოჩნდა, შპს "ბოლქვაძის გარაჟის" ბალანსზე. 2008 წელს 10 600 ლარად შეფასებული ქონების ფასი 2024 წელს 185 000 ლარამდე გაიზარდა.

ბეტონის საამქრო სოფელ ვაშლოვანში

ქარხნის ტერიტორიის ნაწილი, 800 კვ.მ ფართი 10-წლიანი იჯარით, 2030 წლამდე არის გაცემული შპს "ხულო მოტორსზე", რომელიც იქ მანქანების სახელოსნოს ამუშავებს და ფართში თვეში 300 ლარს იხდის. ეს ბოლქვაძეებისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროა.

კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ბეტონის ქარხანა ბოლქვაძეებისთვის მომგებიან ბიზნესად იქცა, სახელმწიფო ტენდერებიდან მიღებული შემოსავლებია.

ზენდერები პარლამენტარის გარემოცვას

1. 2023 წლის მაისში, ანზორ ბოლქვაძის ვაჟის კომპანია "ბოლქვაძის გარაჟი" მხოლოდ ოთხი თვის დაფუძნებული იყო, თუმცა ამან ხელი არ შეუშალა, რომ ხულოს მერიის ტენდერებში გაემარჯვა. კომპანიამ უკონკურენტო პირობებში მოიგო ჯამში 200 000 ლარის ორი ტენდერი. ხელშეკრულებები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ერთსა და იმავე დღეს გაუფორმეს.

   ამ ხელშეკრულებებით, "ბოლქვაძის გარაჟს" დაევალა მზა ბეტონის შესყიდვა ხულოს სოფლებში შიდა გზების მოსაწყობად. კომპანია მერიას შეუთანხმდა, რომ, ჯამში, 738 მ3 ბეტონს თავისივე ვაშლოვანის ქარხნიდან წამოიღებდა.

   "ბოლქვაძის გარაჟმა" აქედან ერთ ტენდერში პირობები დაარღვია - მერიას სრულად და დროულად არ მიაწოდა 8 სოფლისთვის განკუთვნილი ბეტონი. ამის გამო ის 5 200 ლარით დაჯარიმდა, წლის ბოლოს კი ხელშეკრულებაც გაუწყვიტეს. თუმცა, შავ სიაში არ შეუყვანიათ.

   ხულოს მერიამ გვითხრა, შესყიდვების სააგენტოს კომპანიის შავ სიაში შესაყვანად მონაცემები გადავეცითო, თუმცა "ბოლქვაძის გარაჟი" 9 ოქტომბრის მონაცემებით მაინც არ არის შავ სიაში რეგისტრირებული. კანონმდებლობით, შავ სიაში შეყვანის საფუძველია, თუ: "... ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო."

2. პარლამენტარის ნათესავების კომპანია "აისმა" 2018-2020 წლებში ხულოს მერიასთან და აჭარის გზების დეპარტამენტსა და ხულოს მუნიციპალიტეტთან 1.1 მილიონი ლარის ხელშეკრულებები გააფორმა - სოფლის ხიდების რემონტისა და ბეტონის მიწოდებისთვის.

3. პარლამენტარ ბოლქვაძის მიერ შექმნილმა შპს "ფონმა" კი 2011-2012 წლებში 3.6 მილიონი ლარის სახელმწიფო შესყიდვები მიიღო - სამშენებლო სამუშაოებისთვის და ავტომობილების სათადარიგო ნაწილებით მომარაგებისთვის. ამ ხელშეკრულებებს ხულოს მერია, აჭარის ა/რ-ის გზების დეპარტამენტი და სახელმწიფო შპს "გოდერძირეზორტსი" უფორმებდა. შპს "ფონში" როლანდ ბოლქვაძე 2006-2009 წლებში მუშაობდა, 2009 წლიდან აჭარის ა/რ-ის საავტომობილო გზების დეპარტამენტში გადაინაცვლა, 2022 წლიდან კი ამ უწყების უფროსის მოადგილე გახდა.

4. 2017 წელს, აჭარის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ კურორტ გოდერძის დამსვენებლებს ახალი სერვისი - სპეციალური თოვლმავლით გადაადგილება შესთავაზოს, ამისთვის კი 380 000 ლარის ოთხი ხელშეკრულება უკონკურენტო პირობებში გაუფორმა თინა ბოლქვაძის კომპანიას - შპს "აისი გოდერძის".

5. 2017-2024 წლებში, "აისი გოდერძიმ" სახელმწიფო კომპანიებთან 429 000 ლარამდე ღირებულების 25 ხელშეკრულება გაფორმა. აქედან 19 ხელშეკრულება პირდაპირი შესყიდვით გაფორმდა, დანარჩენი ექვსივე ტენდერი კი უკონკურენტო პირობებში მოიგო. "აისი გოდერძის" სატრანსპორტო, სასტუმრო და კვების მომსახურებას უკვეთავს სს "საქართველოს ელექტროსისტემა", აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი და შპს "გოდერძირეზორტი"რომელიც აჭარის ა/რ-ის ბალანსზეა. "გოდერძირეზორტი" "აისი გოდერძისგან" თოვლმავლების მომსახურებას ქირაობს.

ორი ხელისუფლების მსახური

ანზორ ბოლქვაძე ხულოს ოლქის "მარადმწვანე" დეპუტატია. პოლიტიკური კარიერა "ნაციონალური მოძრაობის" დროს, 2006 წელს დაიწყო. ჯერ ხულოს გამგეობაში კეთილმოწყობის სამსახურის უფროსად მუშაობდა, 2007-2016 წლებში კი პარლამენტში ხულოს ოლქის მაჟორიტარი დეპუტატი იყო.

2016 წლიდან ბოლქვაძე "ქართულ ოცნებაში" გადაპორტირდა და ისევ ხულოს მაჟორიტარობა გააგრძელა. აი, უკვე წელს კი მმართველმა პარტიამ ის ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს დელეგატად მიავლინა.

ეს პოზიცია "ქართულმა ოცნებამ", ფაქტობრივად, გამოიგონა. 2024 წლის 15 მაისს ცვლილებები შევიდა საარჩევნო კოდექსში და პარტიებს მიეცათ უფლება, პროპორციული სიიდან მათთვის სასურველი 30 ადამიანი ამა თუ იმ რეგიონის დელეგატად დაასახელონ.

მთავრობა გვიმტკიცებს, რომ ამ სიახლის მიზანი რეგიონის პრობლემებზე უკეთ ზრუნვაა. სამართლიან და თავისუფალ არჩევნებზე მომუშავე მკვლევრები კი ფიქრობენ, რომ "ქართულმა ოცნებამ" ამ გზით მაჟორიტარების სისტემა შეინარჩუნა.

ანზორ ბოლქვაძე აქტიური კანონმდებელია და პარლამენტში კანონშემოქმედებითაა დაკავებულიო, ვერ ვიტყვით. ის პარლამენტში ყოველ მე-5 კენჭისყრას არ ესწრებოდა. ჯამში, გამოტოვებული აქვს 2 884 კენჭისყრა. მაგალითად, 2014 წელს ის არც სიტყვით გამოსულა და არც ინიციატივით. 2016-2018 წელს კი მხოლოდ ორი სიტყვით გამოსვლა ჰქონდა.

ანზორ ბოლქვაძე რომ კორუმპირებული პოლიტიკოსია და ამ "საქმიანობას" ხელი ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს მიჰყო, ამაში დასარწმუნებლად ერთ ამბავს მოგიყვებით.

2006 წელს, ანზორ ბოლქვაძე ხელმძღვანელობდა სახელმწიფო კომპანია "ხულოს კომუნალურ მეურნეობას". სწორედ მისი დირექტორობის დროს, აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომ ამ შპს-ს კაპიტალიდან გაეტანათ 10 322 ლარის ღირებულების სასტუმრო "ხულო", შემდგომი პრივატიზების მიზნით. მოგვიანებით, ეს ქონება ანზორ ბოლქვაძის ოჯახის ხელში მოხვდა. სასტუმრო "ხულო", რომელიც ხულოს ცენტრში, ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე 2 ნომერში მდებარეობს, ახლა ეკუთვნის თინა ბოლქვაძის კომპანიას შპს "ფონი +" რომლის, რეგისტრაციაც 2010 წელს დაიწყეს. როგორც ჩანს, პოლიტიკოსს ხელისუფლებაში ყოფნის დრო უქმად არ დაუკარგავს და სახელმწიფო საკუთრება საბოლოოდ შემოსავლიან ბიზნესად აქცია.

როგორ ახასიათებენ დეპუტატს მშობლიურ მხარეში - რას აკეთებს ხულოსთვის, ქედისთვის და შუახევისთვის?

დეპუტატზე ხულოში მოსახლეობას ვკითხეთ. უმეტესობას ამ თემაზე საუბარი არ უნდა. ძირითადად, გვეუბნებოდნენ, რომ ბოლქვაძე პირადად ეხმარება ხოლმე ადამიანებს. ამბობენ რომ კარგი, "კაცური კაცია", თუმცა უჭირთ დაასახელონ თუნდაც ერთი პროექტი, რომელიც ბოლქვაძემ მათ რეგიონს გაუკეთა.

"ყველაფერი კარგი გააკეთა რაიონისთვის. ბევრ ადამიანს დაეხმარა, გავიგონე, რომ ავადმყოფებს დაეხმარა ექიმთან მისვლაში და ამფერებში".

"კაცური კაცია... რაიონს გვერდში უდგება. დადებითად შევაფასებ".

ასეთი შეფასებები ადრეც მოგვისმენია, სხვაგან და სხვა დეპუტატზე, თუმცა იდენტური ლექსიკით - მესტიელებს ვიქტორ ჯაფარიძის სიკეთეებზე რომ ვეკითხებოდით, რეგიონისთვის სასარგებლოს ვერაფერს იხსენებდნენ, მაგრამ ომახიანად ამბობდნენ, "კარგი კაციაო", "მკურნალობის ხარჯების დაფარვაში ეხმარება ადგილობრივებსო".

ანზორ ბოლქვაძეზე ერთ-ერთი ქალი ამბობდა, რომ მის სოფელში ბევრი რამ შეიცვალა. ჩავეძიეთ და აღმოჩნდა, რომ დეპუტატობის მეთექვსმეტე წელს, ახლა, სხვა ხეობასთან დამაკავშირებელი გზა გაჰყავთ. რამდენიმე წლის წინ კი "გადასახედი" გაგვიკეთესო, ანუ ადგილი საიდნაც ხედები მოჩანს. *"უფრო ტურისტული დანიშნულებისაა, თორემ ჩვენთვის ისეთი არაფერი ხეირი არ არის, უბრალოდ სოფლისთვის არის გაკეთებული",* - გვითხრა მან და ისიც დააყოლა, ჯერ არ ვიცი არჩევნებში რას ვიზამო.

ეკონომიკის შვიდმა მინისტრმა სამინისტროს ერთი შენობა ვერ ააშენა

ავტორი: ეთო მიდელაშვილი

ეკონომიკის სამინისტროს 100-ზე მეტი თანამშრომელი 2018 წლიდან მოყოლებული იუსტიციის სახლს აფარებს თავს. მანამდე, ორი წლის განმავლობაში, სამინისტრო შენობას ქირაობდა და ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 900 000 აშშ დოლარს ხარჯავდა.

უწყების თანამშრომლებს სამუშაო სივრცის შეცვლა რამდენჯერმე იმიტომ მოუწიათ, რომ მთავრობამ თბილისის ცენტრში განთავსებული სამინისტროს შენობა ინვესტორს სასტუმროს ასაშენებლად 2015 წელს მიჰყიდა.

გაიცა დაპირებაც, რომ ეკონომიკის სამინისტროს ახალი შენობა ძველის დაცლიდან ერთ წელში ექნებოდა. თუმცა, შენობა დღემდე არ აშენებულა. სამაგიეროდ, ნაცნობ-მეგობრების კომპანიებმა ბიუჯეტიდან მილიონები მიიღეს.

რაზომ დაანგრიეს ეკონომიკის სამინისტროს შენობა?

თბილისის ცენტრში, ჭანტურიას N12-ში, წლების განმავლობაში ეკონომიკის სამინისტროს შენობა მდებარეობდა. 2015 წლის თებერვალში მთავრობამ განაცხადა, რომ მის გაყიდვას გეგმავდა. მიზეზად ლარის კურსის გამყარებისთვის, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის გააქტიურება დასახელდა.

ეკონომიკის სამინისტროს ძველი შენობა 2015 წლის 26 ივნისს, პროგრამა "50 ქონება შენი სასტუმროსთვის" ფარგლებში, 9.4 მილიონ აშშ დოლარად გაყიდა. მყიდველი, ჩინური წარმომავლობის "ჰუალინგ ჯგუფი", ვალდებული

იყო, რომ 2019 წლის იანვრამდე არანაკლებ 100-ნომრიანი სასტუმრო მოეწყო. შენობა დაანგრიეს, მაგრამ სასტუმრო დღემდე არ გახსნილა. იმის მიუხედავად, რომ ინვესტორს მთავრობამ ვადა რამდენჯერმე გაუხანგრძლივა, პირობის დარღვევისთვის დაწესებული ჯარიმები კი შეუმცირა. ეს საქმე შემდეგ "ანაგს" მიანდეს. კომპანიას, რომელიც მმართველი პარტიის რჩეულ პროექტებში ხშირად მონაწილეობს. თუმცა, უშედეგოდ.

ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომლები ჭანტურიას ქუჩაზე 2016 წლის აპრილამდე დარჩნენ. შემდეგ შენობა დაცალეს და თბილისში, ჭოველიძის ქუჩაზე, ქირით იმ იმედით გადავიდნენ, რომ მალე ახალს აუშენებდნენ.

საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით, ოფისის ერთი თვის გადასახადი 75 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი იყო ლარში. გამოდის, რომ 2016-2018 წლებში ქირაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4.4 მილიონზე მეტი ლარი დავხარჯეთ.
2018 წლიდან ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომლები იუსტიციის სახლში შეიხიზნენ, რადგან ახალი შენობა ვერ აშენდა.

რას გვპირდებოდნენ მინისტრები?

2015 წლიდან მოყოლებული ეკონომიკის სამინისტროს შენობის აშენების პირობა არაერთმა პრემიერმა თუ მინისტრმა დადო:

"ბიზნეს სახლი" ეს არის სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის სრულიად ახლებური მოდელი, რომელიც ითვალისწინებს ნებისმიერი სერვისის, რომელსაც დღეს ბიზნესი და იურიდიული პირები იღებენ, ერთიან სივრცეში, ერთიან ელექტრონულ პლატფორმაზე მიწოდების პროექტს. ეს პროექტი განსაზღვრულია იმისთვის, რომ დღეს სხვადასხვა სამინისტროში, სახელმწიფო უწყებებში გაფანტული 600-ზე მეტი სერვისი მიწოდებული იქნას ერთი ჭერის ქვეშ, ერთი ფანჯრის პრინციპით", - ეს დაპირება იმდროინდელმა პრემიერმინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა, 2016 წლის 8 სექტემბერს გასცა. ის "ბიზნეს სახლის" აშენებას გეგმავდა, სადაც ეკონომიკის სამინისტროც უნდა განთავსებულიყო. როგორც კვირიკაშვილი ამბობდა, ერთიანი სივრცის შექმნით გამჭვირვალობა უნდა

ეკონომიკის სამინისტროს ყოფილი შენობა თბილისში, ჭანტურიას ქუჩაზე

გაუმჯობესებულიყო, "კორუფციის შანსები" კი შემცირებულიყო.

2017 წლის 26 სექტემბერს მაშინდელი ეკონომიკის მინისტრი გიორგი გახარია ამბობდა: "ეკონომიკის სამინისტრო ქირით შენობაში ყოფნას დიდხანს არ აპირებს. გვაქვს პროექტი, რომლის განხორციელებაც დაიწყება წლის ბოლომდე და, შესაბამისად, სამინისტროს ექნება თავისი შენობა".

ამავე წლის 27 ნოემბერს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი კაკაურიძემ განაცხადა, სამინისტროს შენობა ანაკლიის მიწების გამოსყიდვიდან დარჩენილი თანხით აშენდებაო.

2018 წლის 25 იანვარი, ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, დიმიტრი ქუმსიშვილი: "თქვენ იცით, რომ ჩვენ ჯერ კიდევ 2016 წელს მივიღეთ გადაწყვეტილება ეკონომიკის სამინისტროსთვის ახალი შენობის აშენების შესახებ. მიწა არის მოძებნილი და პროექტი არის გაკეთებული. ჩვენ განვიხილავთ, ალბათ, ამ კვირაში დავასრულებთ და მივიღებთ გადაწყვეტილებას, ვახერხებთ თუ არა ოპტიმიზაციის შედეგად გამოთავისუფლებულ შენობებში განვათავსოთ გაერთიანებული სამინისტრო. იმ შემთხვევაში, თუ ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა ისე, რომ ვერ ვათავსებთ, მშენებლობა აქტიურად დაიწყება. იმ შემთხვევაში თუ განვათავსებთ, სამინისტროს ახალი შენობა არ აშენდება".

2022 წლის 18 აპრილი, ექსპრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი: "ეკონომიკის სამინისტროს 7 წელია არ აქვს თავისი შენობა, რაც, რა თქმა უნდა, სირცხვილია. ამიტომ, ლევან დავითაშვილთან ერთად ვისაუბრეთ და გადავწყვიტეთ, რომ გვაქვს უნიკალური ადგილი ორთაჭალაში, იქ აშენდება ეკონომიკის სამინისტრო, მთელი თავისი სსიპ-ებით, ყველაფრით განთავსდება თანამედროვე სტანდარტების შენობაში".

ბიზნეს სახლის "რევოლუციური პროექტი"

ორთაჭალაში "ბიზნეს სახლის" მოწყობა "ქართული ოცნების" 2016 წლის წინასაარჩევნო დაპირება იყო. ეს უნდა ყოფილიყო ერთიანი მომსახურების სივრცე, სადაც მომხმარებლებს 600-ზე მეტი სახელმწიფო სერვისის მიღება შეეძლებოდათ. იქ იქნებოდა ეკონომიკის სამინისტროც.

"ეს არის, ფაქტობრივად, რევოლუციური პროექტი, რომელიც მნიშვნელოვნად შეცვლის ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ლანდშაფტს", - განაცხადა ექსპრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა 2016 წლის სექტემბერში, როდესაც "ბიზნეს სახლის" საძირკველში კაფსულა ჩადო. თუმცა, მშენებლობა 2017 წლამდე არ დაწყებულა.

"ბიზნეს სახლის" პროექტი არქიტექტურულმა კომპანია "დემარკმა", შპს "აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის" დაკვეთით მოამზადა. ამ კომპანიას გამარტივებული შესყიდვებით ბიუჯეტიდან 337 300-მდე ლარი აქვს მიღებული, ელექტრონული ტენდერების გზით - 1 665 800-ზე მეტი. რა თანხა მიიღო მან "ბიზნეს სახლის" პროექტისთვის, უცნობია, რადგან შესაბამისი ტენდერი შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე არ იძებნება. ჩვენი კითხვები კი აქტივების მართვის კომპანიამ უპასუხოდ დატოვა. მოგვწერეს მხოლოდ ის, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია საჯარო არ იყო. იმის მიუხედავად, რომ კომპანიას სრულად სახელმწიფო ფლობს, კანონმდებლობით მათ საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება არ აქვთ.

როგორც "დემარკის" მიერ მომზადებული პროექტის აღწერაში ვკითხულობთ, შენობის დიზაინი ბუნებრივად ჯდებოდა და მრავალფეროვნებას მატებდა ქალაქის იერსახეს. "შენობის ფუნქციონალურობა და მისი პრაქტიკული მიზნით გამოყენება სრულად პასუხობს მომავლის გამოწვევებს..." - ასე აღწერდა ეკონომიკის სამინისტრო "ბიზნეს სახლის" პროექტს.

თუმცა, გულიას N3-ში ახლა მხოლოდ ბეტონის მასიური ნაგებობა დგას. ძველი, მწვანე ფერის ჭიშკრის მიღმა სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობს. მზისგან გახუნებული საინფორმაციო ბანერი კი გვამცნობს, რომ "ბიზნეს სახლის" მშენებლობა ჯერ კიდევ 2020 წელს უნდა დასრულებულიყო.

2024 წლის მაისში გულიას ქუჩაზე დასაქმებულები და გამვლელები გვიყვებოდნენ, რომ მშენებლობა 4-5 წელია, რაც შეწყდა:

"ბიზნეს სახლის" შენობა გულიას ქუჩაზე

"აღარ შენდება. ერთი 4-5 წელია გაჩერებულია."

"დიდი ხანია ასეა, დაუსრულებელი, დაუმთავრებელი... ყარაული ჰყავს, ხანდახან კრუგზე დადის... რაღაცა პრობლემა აქვს, არ ვიცი, დაუსრულებელი რაღაცაა... დიდი ხანია გაჩერებულია. 5 წელია, მგონი, ეს სიტუაციაა."

"მთავრობის რაღაც შენდებოდა... მე რაც მახსოვს 2 წელზე მეტია [სამუშაოები აღარ მიმდინარეობს]."

გამოუსაღეგარ რკინა-ბეტონის კონსტრუქციაში დახარჯული მილიონები

"ბიზნეს სახლის" ასაშენებლად, სულ მცირე, 10 მილიონამდე ლარია დახარჯული. თავიდან მშენებლობის პირველი ეტაპი, ანუ რკინა-ბეტონის კონსტრუქციის მოწყობა შპს "სახელმწიფო მომსახურების ბიურომ" შპს "რეფორმა ქონსთრაქშენ მენეჯმენტს" დაავალა. ესაა კომპანია, რომელსაც მანამდე "ენსისი" ერქვა და მისი მფლობელი, გიორგი ქელბაქიანი, კორუფციულ სქემებში მონაწილეობისთვის თავად "ქართულმა ოცნების" ხელისუფლებამ დააკავა 2012 წელს. შემდეგ კი 150 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

აღსანიშნავია, რომ წარსულში "ადამიანის უფლებათა ცენტრი" წერდა, რომ ქელბაქიანი თბილისის ყოფილ მერთან, გიგი უგულავასთან, მეგობრობდა. ამას გარდა, ქელბაქიანის კომპანია "ენსისი" წარსულში შპს "ჯი სის" 100%-ის მფლობელი და პარტნიორი იყო. "ჯი სის" დირექტორის პოსტს კი 2015-2023 წლის 20 მარტამდე დავით შავლიაშვილი იკავებდა. შავლიაშვილი 2014-2015 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი იყო.

შპს "რეფორმა ქონსთრაქშენ მენეჯმენტი" 2017 წლის აგვისტოში, "ბიზნეს სახლის" მშენებლობის ტენდერშიც არ მონაწილეობდა მთლად გამჭვირვალედ. ტენდერში სამი კომპანია მონაწილეობდა. შპს "საბა კონსტრაქშენსა" და "კალასს" დამკვეთმა წარდგენილი დოკუმენტაცია დაუწუნა. ამიტომ, საბოლოოდ, ხელშეკრულება მათი დისკვალიფიკაციის ხარჯზე, 7 ნოემბერს, შპს "ენსისთან" (ახლანდელ "რეფორმა ქონსთრაქშენ მენეჯმენტთან") გაფორმდა. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ანალოგიური სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები ამ უკანასკნელსაც არასრულყოფილად ჰქონდა წარდგენილი.

მაგალითად, არ წარუდგენია დოკუმენტები, რომელიც მის მიერ აშენებული სხვა შენობების კლასს განსაზღვრავდა. ასევე, არ წარუდგენია მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობისას გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები. არასრულყოფილად ჰქონდა ატვირთული აუდიტორული დასკვნებიც.

"რეფორმა ქონსთრაქშენ მენეჯმენტი" სახელმწიფო შესყიდვებში წლებია აქტიურად მონაწილეობს - ელექტრონული ტენდერების გზით მას, ჯამში, 194 მილიონი ლარი აქვს უკვე მიღებული, გამარტივებული წესით - 6.2 მილიონი. მის მიერ მოგებულ ორ ტენდერში, რომელიც თბილისის მერიისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ იყო გამოცხადებული, კონკურენციას საკუთარი ძმის, შალვა ქელბაქიანის მიერ დაფუძნებული კომპანია უწევდა. ახლა ამ კომპანიის 85% გიორგი ქელბაქიანის საკუთრებაა.

"ბიზნეს სახლის" შენობის კარკასი კომპანიას დამკვეთისთვის 7 თვეში უნდა ჩაებარებინა, მაგრამ ხელშეკრულება 6-ჯერ შეიცვალა. ცვლილებები ხან ხარჯთაღრიცხვას ეხებოდა, ხან სამუშაოს მიწოდების ვადებს. მაგალითად, დამკვეთმა კომპანიას ოთხჯერ გადაუვადა სამუშაო. შპს "რეფორმა ქონსთრაქშენ მენეჯმენტი" ვადის გადაცილებისა და შეფერხების მიზეზად ხან გაუთვალისწინებელ სამუშაოებს ასახელებდა,

ხან უამინდობასა და უხვ ნალექს, ხანაც - "ზედამხედველის ხისტ პოზიციას."

2018 წლის 31 დეკემბერს კომპანია იმასაც კი ითხოვდა, საახალწლო დღესასწაულების გამო, სამუშაოების შეჩერების უფლება მოგვეცითო.

2019 წლის იანვრიდან თებერვლის ჩათვლით, ობიექტზე ფიქსირდებოდა მუშაობის დაბალი აქტივობა და მუშა ხელის სიმწირე. ამ ყოველივეს მიუხედავად, პასუხისმგებელ უწყებას მასთან ხელშეკრულება არ გაუწყვეტია.

საბოლოოდ, დამკვეთმა ბიზნეს სახლის ბეტონის კონსტრუქცია 2021 წლის 4 ივნისს ჩაიბარა. ამ პროექტისთვის, ჯამში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 93% - 9.4 მილიონი ლარი დაიხარჯა.

მხარეები თანხმდებოდნენ, რომ კომპანიამ სამუშაოები სრულად და ხარისხიანად შეასრულა. თუმცა, ვერ შეთანხმდნენ ვადების გადაცილებისთვის დაკისრებულ პირგასამტეხლოზე, რომელიც, ჯამში, 823 000-მდე ლარს შეადგენდა. ვერც იმ ზიანის ოდენობაზე, რაც შემსყიდველს ხელშეკრულების ვადაში შეუსრულებლობის გამო მიადგა.

ამის გადასაჭრელად სასარჩელო წარმოება დაიწყო. კომპანიას უფლება მიეცა, რომ პირგასამტეხლო დავის გადაწყვეტამდე არ გადაეხადა. რა გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ, უცნობია. ჩვენ კომპანიას ამ კითხვებით მივმართეთ. მათ წერილის მიღება დაგვიდასტურეს, თუმცა პასუხები არ მოგვაწოდეს.

.გაუჩკვეველი დროით გაუქმებული პროექტი

"ბიზნეს სახლის" გარშემო მოვლენები კოორდინირებულად და დაგეგმილად არ განვითარებულა. მეტიც, საბოლოოდ, მისი გახსნის იდეაც კი ჩაიფუშა. აი, ეს ამბავი როგორ მოხდა:

კარკასის დასრულებისთვის მთავრობამ ფული იქამდე გამოყო, ვიდრე თავად კარკასი იქნებოდა მზად. როგორც უკვე გითხარით, მთავრობამ ის 2021 წელს ჩაიბარა, 2018 წელს კი კარკასის დასრულებისთვის უკვე გამოყოფილი იყო 71 მილიონ ლარზე მეტი. მთავრობამ ფულის გამოყოფასთან ერთად გამოაცხადა ტენდერი, რომლითაც ის კომპანია უნდა შეერჩიათ, ვინც სამუშაოებს ბოლომდე მიიყვანდა. საბოლოოდ ეს ტენდერი შეწყდა და ამის შემდეგ "ბიზნეს სახლის" გარშემო ვითარება არსებითად აღარ შეცვლილა.

"ქართული ოცნების" მომდევნო მინისტრებმა მისი მშენებლობა საერთოდ გადაიფიქრეს. 2019 წელს ნათია თურნავა ამტკიცებდა, რომ დედაქალაქში ძვირადღირებული შენობების აშენება საჭირო არ იყო. მაშინ ის ეკონომიკის მინისტრის პოსტს იკავებდა და "ჭეშმარიტი ბიზნეს სახლის" დანერგვას გვპირდებოდა, რომელიც თითოეული ადამიანის სახლთან მივიდოდა. თუმცა, დღემდე არც ეს "ბიზნეს სახლი" მოსულა ჩვენთან და არც ჩვენ შეგვიძლია მასთან მისვლა.

გულიას ქუჩის N3-ში მდებარე ბეტონის კონსტრუქცია და მიწა 2020 წლის 21 აგვისტოს მთავრობამ "საპარტნიორო ფონდს" საინვესტიციო

ასეთი უნდა ყოფილიყო "ბიზნეს სახლი" თავდაპირველი პროექტის მიხედვით

პროექტის განსახორციელებლად გადასცა. ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, დავით საგანელიძე, 2021 წელს "ბიემჯისთან" ინტერვიუში ამბობდა, რომ არ იცოდნენ რას უპირებდნენ ამ შენობას, რადგან მშენებლობისას ძალიან დიდი სივრცე იყო დაკარგული. ამიტომ, ის ვერც სასტუმროდ გამოდგებოდა და ვერ კომერციულ ფართად. განიხილავდნენ გვერდითა ტერიტორიის აღებას, იქ სასტუმროს აშენებას და ყოფილ "ბიზნეს სახლში" "კომპლექსური შინაარსის შენობის" მოწყობას. თუმცა, ამ შენობაში დღემდე არაფერი გაკეთებულა.

მოკიგი ზენდეკი - ისევ გაკემოცვისთვის

2022 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ აზრი მცირედ შეიცვალა. მეორედ გაპრემიერებული ირაკლი ღარიბაშვილი ამბობდა, 7 წელზე მეტია ეკონომიკის სამინისტროს საკუთარი შენობა არ აქვსო და ისევ ახლის აშენებას დაგვპირდა:

"7 წელია საკუთარი შენობა არ აქვს, რაც, რა თქმა უნდა, სირცხვილია... გვაქვს უნიკალური ადგილი ორთაჭალაში, იქ აშენდება ეკონომიკის სამინისტრო, სადაც ყველა თავისი სსიპ-ით განთავსდება თანამედროვე სტანდარტების შენობაში."

შეგახსენებთ, რომ ამ დროს უკვე არსებობს "ბიზნეს სახლის" პროექტიც და მეტიც, რკინა-ბეტონის კარკასიც დგას ორთაჭალაში.

ამავე წლის ივლისში ეკონომიკის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ქონების ეროვნულ სააგენტოს დაავალა, რომ შენობა-ნაგებობების მშენებლობისათვის არქიტექტურულ/ სამშენებლო პროექტი შემჭიდროებულ ვადებში მოემზადებინა. 29 აგვისტოს კი ღარიბაშვილმა მთავრობის განკარგულება გამოსცა და სააგენტოს ნება დართო, აღნიშნული მომსახურება გამარტივებული წესით, ანუ კონკურსის გამოცხადების გარეშე შეესყიდა.

ახალი შენობის აუცილებლობას შემდეგი მიზეზებით ხსნიდნენ:

- ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-ების "ტერიტორიული ალოკაცია" საზოგადოებისთვის მომსახურების მიწოდების სიმარტივესა და სისწრაფეზე უარყოფითად აისახებოდა;
- აღნიშნული პროექტი უწყებებს "ერთი ფანჯრის პრინციპის" დანერგვის შესაძლებლობას მისცემდა - ანუ მოქალაქეებს ერთ სივრცეში შეეძლებოდათ სწრაფად და მარტივად მომსახურების მიღება;
- პროექტი ხელს შეუწყობდა სამუშაო პროცესების ოპტიმიზაციას, კოორდინაციასა და ურთიერთთანამშრომლობის დონეს;
- დაიზოგებოდა ფინანსური რესურსებიც, რომლებიც უწყებების კომუნალურ/ ადმინისტრაციულ თუ საიჯარო ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

6 ოქტომბერს ქონების ეროვნულმა სააგენტომ შპს "მიდამოსთან" გამარტივებული შესყიდვა გააფორმა. "ღონისძიების სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით და შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შემსყიდველ ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, ღონისძიებისთვის აუცილებელი მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით", - ნათქვამია ქონების ეროვნული სააგენტოს დასაბუთებაში. ესაა ახსნა-განმარტება, რომელსაც მთავრობის ორგანოები ყოველ მეორე გამარტივებულ შესყიდვას ურთავენ ხოლმე.

ჩვენ სააგენტოსგან მოვითხოვეთ ე.წ. ბაზრის კვლევა, რომლითაც შეარჩიეს სამუშაოს შემსრულებელი კომპანია. წესით, დამკვეთმა, როცა უკონკურსოდ, გამარტივებული წესით

აფორმებს ხელშეკრულებას, მაინც უნდა ჩაატაროს მცირე კვლევა და რამდენიმე კომპანიას ჰკითხოს, რა ფასად შეასრულებენ ისინი ამ სამუშაოს. შემდეგ კი შეარჩიოს ის, რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს. სააგენტომ ბაზრის კვლევის ამსახველი არც ერთი მტკიცებულება არ გამოგვიგზავნა. გვითხრა მხოლოდ ის, რომ სამ პოტენციურ მიმწოდებელს მიმართეს და ხელშეკრულება უმცირესი ფასის მქონე მიმწოდებელთან გააფორმეს.

თუმცა, თქვენც მარტივად მიხვდებით, რატომ გაფორმდა ხელშეკრულება მაინცდამაინც შპს "მიდამოსთან". ამ კომპანიის მფლობელი და დირექტორი "ქართული ოცნების" მსხვილი შემწირველი, გიორგი ჭყონიაა. მას მმართველი პარტიის სასარგებლოდ 210 000 ლარი აქვს შეწირული. ჭყონია გახლავთ ბიძინა ივანიშვილის მიერ ინიცირებული "პანორამა თბილისის" არქიტექტორიც.

შპს "მიდამოს" დაევალა, ორთაჭალაში, დიმიტრი გულიას #3-ში, ეკონომიკის სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მის სისტემაში შემავალი 13-მდე სსიპ-ისთვის ერთიანი ადმინისტრაციული შენობის არქიტექტურული, კონსტრუქციული, საინჟინრო პროექტის, ლანდშაფტისა და ინტერიერის დიზაინის მომზადება.

ერთიანი კომპლექსის აშენებისთვის საჭირო პროექტები "მიდამოს" ქონების ეროვნული სააგენტოსთვის სამ ეტაპად უნდა ჩაებარებინა, მაგრამ ეს პროცესიც გაიწელა. მეორე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები კომპანიამ 159 დღით გვიან წარადგინა. ამისთვის მას 30 488 ლარის პირგასამტეხლო დაეკისრა.

საერთო ჯამში, "მიდამომ" სამუშაოები დამკვეთს 2023 წლის 30 ივნისს ჩააბარა. ჩათვალეს, რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ხარისხი დამაკმაყოფილებელი იყო. ამიტომაც, კომპანიას ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 100% - 1.7 მილიონი ლარი გადაუხადეს.

ჩვენ სამუშაოს დამკვეთისგან გამოვითხოვეთ ყველა პროექტი, რომელიც "მიდამომ" აღნიშნული ტენდერის ფარგლებში მოამზადა. გვინდოდა გვენახა, რა წერია ამ დოკუმენტებში. წერილის გაგზავნიდან 4 თვე გავიდა, თუმცა არც ერთი პროექტი არ მიგვიღია. სააგენტოს პრესსამსახურმა განგვიცხადა, შპს "მიდამოს" მიმართეთო. ჩვენ კომპანიის დირექტორ, გიორგი ჭყონიასაც დავუკავშირდით, რომელმაც გვითხრა, მათი ნებართვის გარეშე ამ დოკუმენტების მოწოდების უფლება არ მაქვსო. მისი პასუხის შემდეგ ისევ სააგენტოს დავურეკეთ, სადაც იგივე გვითხრეს, რაც თავიდან: კომპანიამ მოგაწოდოთ დოკუმენტები, ჩვენ ვერ მოგაწვდითო. საბოლოოდ, დოკუმენტები არც ერთ მხარეს არ მოუწოდებია.

არსებობს კი მსგავსი დოკუმენტები და თუ არსებობს, რატომ არ იყენებენ მათ? - ეს კითხვა ჩვენც გაგვიჩნდა და ალბათ, თქვენც.

სამინისტროს 2022 წელს ისე ეჩქარებოდა შენობის დასრულება, რომ პროექტი საჩქაროდ დაუკვეთა და ელექტრონული ტენდერიც კი არ გამოაცხადა. ასეთ მოჩქარე უწყებას დღემდე არ გამოუცხადებია ტენდერი, მომზადებული საპროექტო დოკუმენტების მიხედვით, შენობის ასაშენებლად.

2024 წლის 19 ივნისს ქონების ეროვნულმა სააგენტომ მოგვწერა, ამ ეტაპზე "შიდა პროცედურები" მიმდინარეობს, რის შემდეგაც მშენებლობასთან დაკავშირებული ტენდერი გამოცხადდებაო. მათ კონკრეტული ვადები არ დაუსახელებიათ. 26 აგვისტოს კი გულიას N3-ში მდებარე მიწა და ბეტონის კონსტრუქცია მთავრობამ ეროვნულ ბანკს, 28.6 მილიონ ლარად მიჰყიდა. იქ საკუთარი ოფისის აშენებას ამჯერად ეროვნული ბანკი გეგმავს.

გამოდის, რომ ეკონომიკის სამინისტროს შენობის ამბავი ირაკლი ღარიბაშვილის პირველი პრემიერმინისტრობის დროს დაიწყო. მას შემდეგ 5-ჯერ შეიცვალა პრემიერი, 7-ჯერ ეკონომიკის მინისტრი. 8 წლის განმავლობაში დაიხარჯა 11 მილიონ ლარზე მეტი. ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომლები კი ისევ იუსტიციის სახლს აფარებენ თავს, რადგან შენობის ბედი კვლავ ბუნდოვანია.

თანამედროვე სტანდარტები თუ სრული ქაოსი: როგორ მუშაობს 11-მილიონიანი წამლის ეროვნული ლაბორატორია?

ავტორები: მანანა ღოღობერიძე და ნანუკა ბრეგაძე



აფთიაქის დახლებზე რომ სანდო და ხარისხიანი წამლები დაგხვდეთ, გრძელვადიანი და შრომატევადი პროცესია. წამალი სანამ აფთიაქამდე მიაღწევს, გადის წარმოების და რეგისტრაციის ეტაპს. ეს ნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ესა თუ ის საწარმო მედიკამენტს გამოუშვებს, უნდა მოიპოვოს მისი გაყიდვის უფლებაც. აფთიაქები კი რეალიზაციისთვის ითხოვენ წამლის ხარისხის დამადასტურებელ სერტიფიკატს, იგივე გამოცდის ოქმს. სწორედ ამ დოკუმენტებს გასცემს სპეციალური ლაბორატორია, იქნება ის კერძო თუ ეროვნული.

აკრედიტაციის რეესტრის მიხედვით, საქართველოში ამჟამად წამლის ხარისხის კონტროლის სამი კერძო ლაბორატორია გვაქვს, პლიუს ერთი სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში შემავალი და ერთიც ეროვნული. თუმცა, გაურკვეველია მუშაობს თუ არა და რას ამოწმებს ეროვნული ლაბორატორია.

ოფიციალურად, ეროვნული ლაბორატორია 2023 წლის მაისში გაიხსნა. ყოფილი პრემიერი ღარიბაშვილიც მისული იყო და შენობა დაათვალიერა. *"11 მილიონი ლარის ინვესტიცია განვახორციელეთ და ქვეყანას დღეს აქვს სრულყოფილი წამლის ხარისხის ლაბორატორია, რომელიც სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს"*, - ამბობდა გახსნაზე მისული ირაკლი ღარიბაშვილი.

იქამდე, ლაბორატორიის გახსნა ჯერ კიდევ 2021 წლის გაზაფხულზე დააანონსა მაშინდელმა ჯანდაცვის მინისტრმა, ეკატერინე

ტიკარაძემ: *"ამ დრომდე, მედიკამენტების ხარისხის შემოწმებისთვის, ჩვენ გვიწევს ევროპის ლაბორატორიებზე მიმართვა, რაც მნიშვნელოვანი ბარიერია მედიკამენტების ხარისხის უწყვეტი კონტროლისთვის."*

საჯარო განცხადებებით ირკვევა, რომ ეს 11 მილიონი ლარი უნდა მოხმარებოდა ლაბორატორიისთვის მიხეილ ასათიანის ქუჩაზე მდებარე ძველი შენობის გარემონტებას, მოწყობას და ულტრათანამედროვე დანადგარებით აღჭურვას.

დახარჯული მილიონების სასიკეთო შედეგი უნდა ყოფილიყო:

- წამლების სწრაფად შემოწმება ადგილზე, საზღვარგარეთ გაგზავნის გარეშე;
- ხარისხიანი და უსაფრთხო წამლით კმაყოფილი მოქალაქეები;
- გამარტივებული საქმე წამლის ქართველი მწარმოებლებისთვის;
- ქართული და უცხოური მედიკამენტების შემოწმება 30-მდე პარამეტრით;
- კვლევები მიკრობიოლოგიური, მოლეკულური და ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით.

რაზომ გვჭირდებოდა ახალი ლაბორაზორია?

ქვეყანა ახალი წამლებით ორნაირად მარაგდება - ან ადგილზე იწარმოება, ან სხვა ქვეყნის წარმოებული შემოგვაქვს.

მწარმოებლებს და მოვაჭრეებს ახალი წამლების გაყიდვის უფლება რომ ჰქონდეთ, წამალზე სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული ან აღიარებითი რეჟიმი უნდა გაიარონ.

ეროვნული რეჟიმით რეგისტრაციისას, ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს უნდა წარუდგინონ კანონით სავალდებულო დოკუმენტები: როგორც ადმინისტრაციული, ისე სამეცნიერო-ტექნიკური.

ამის შემდეგ სააგენტომ წამლის ხარისხი უნდა შეამოწმოს, განსაზღვროს სტანდარტიზაცია, ხარისხის, უსაფრთხოებისა და თერაპიული ეფექტიანობის მაჩვენებლები. ამისთვის სჭირდება მას ლაბორატორია.

წამლის ნიმუშების შესამოწმებლად ჯანდაცვის სახელმწიფო დაწესებულებები ადრე ტენდერს აცხადებდა და ხან კერძო ლაბორატორიას ქირაობდა, ხან - სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს.

ეროვნული ლაბორატორია წამლების ხარისხს არ ამოწმებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სხვა ქვეყნიდან შემოგვაქვს, უკვე გამოცდილია, ლაბორატორიულად შემოწმებულია და ხარისხის შესახებ დასკვნაც ახლავს. ამას ჩვენი კანონის ენაზე აღიარებითი რეჟიმი ჰქვია. ეს წესი ვრცელდება EMA-ს (ევროპის წამლის სააგენტოს) აღიარებულ წამლებზე და დამატებით 39 ქვეყანაში გამოშვებულ მედიკამენტზე. მათ შორის, ძირითადად, ამერიკა და ევროპის სახელმწიფოებია.

ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილიც ამას გვიხსნის, რომ ეროვნულმა ლაბორატორიამ ის წამლები უნდა შეამოწმოს, რომელიც არააღიარებითი რეჟიმის ქვეყნებიდან შემოდის - მაგალითად, ინდოეთიდან ან ჩინეთიდან:

"ქვეყანას GMP სტანდარტის ლაბორატორია სჭირდება, რა თქმა უნდა. წამლის მნიშვნელოვანი ნაწილი შემოდის აღიარებითი რეჟიმით და ეს რეჟიმი უზრუნველყოფს იმას, რომ სანდო ქვეყნებში, როგორიც არის კანადა, იაპონია, აშშ და ევროკავშირის წევრები, ეჭვი არ გვეპარება წამლის ხარისხზე. მაგრამ ქვეყანას ამ ტიპის ლაბორატორია სჭირდება იმ შემთხვევისთვის, თუ წამალი შემოდის ისეთი ქვეყნებიდან, რომლებიც არ არის აღიარებითი რეჟიმის ჩამონათვალში. თუ შემოდის გერმანული გენერიკი, პრობლემა არ არის, რადგან ის წამალი უკვე შემოწმებულია გერმანიის ან ევროპის წამლის სააგენტოს მიერ. ჩვენთვის პრობლემაა ის წამალი, რომელიც შემოდის ეგვიპტიდან, ინდოეთიდან და ჩინეთიდან."

"ინდოეთში არის ათასობით საწარმო, ამიტომ თქვენ უნდა შეამოწმოთ არა საწარმო, არამედ ის მედიკამენტი, რომელიც ქვეყანაში შემოდის. რამდენიმე ეტაპია შემოწმების - პირველი რეგისტრაციის დროს, რაც ითვალისწინებს ხარისხის და კლინიკური ეფექტურობის კვლევას საქართველოში. თუ ეს წამალი დაიშვება ქვეყნის ბაზარზე, შემდეგ თითოეულ პარტიაზე უნდა შემოწმდეს შეესაბამება თუ არა ეს იმ სტანდარტს, რომელიც უკვე რეგისტრირებულია", - ასე გვიხსნის წამლის ეროვნული ლაბორატორიის საჭიროებას ჯანდაცვის კიდევ ერთი ყოფილი მინისტრი სანდრო ურუშაძე, რომელიც ამ თანამდებობაზე 2010-2012 წლებში მუშაობდა.

ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ლაბორატორია მხოლოდ ახალი წამლების რეგისტრაციისთვის არ სჭირდება. ისინი მედიკამენტებს პერიოდულად, შერჩევითი მეთოდით აკონტროლებენ, რაც იმას გულისხმობს, რომ აფთიაქებიდან მიაქვთ გაყიდვაში ჩაშვებული წამლები და მის ხარისხს ამოწმებენ. სავარაუდოდ, სწორედ ამ მიზნით მოაწყვეს ახალი ეროვნული ლაბორატორია, რომელშიც მთავრობამ 11 მილიონი ლარი არაეფექტიანად დახარჯა დახარჯა.

ყოფილი პრემიერი ლაბორატორიის გახსნაზე

ვინ და როგორ მართავს ეროვნულ ლაბორატორიას?

წამლის ხარისხის მთავარი მაკონტროლებელი სსიპ "სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოა". აქ წყდება, რომელი მედიკამენტი უნდა გაიყიდოს საქართველოში და რომელი - არა; ვის აქვს მათი შემოტანის, ადგილზე წარმოების ან გაყიდვის უფლება; თუ აფთიაქში მოხვდა ფალსიფიცირებული, წუნდებული, ან ვადაგასული წამალი, მათი ქსელიდან ამოღება და განადგურებაც ამ სააგენტოს პასუხისმგებლობაა.

ეროვნული ლაბორატორია, რომელიც 2023 წლის მაისში გაიხსნა, სწორედ ამ სააგენტოს სტრუქტურაშია. თუმცა, მათი საიტიდან ლაბორატორიის საქმიანობის შესახებ ვერაფერს ვიგებთ. ვიცით მხოლოდ ის, რომ ამ დაწესებულების უფროსად 2023 წლის 1 მარტს ნინო ვახანია დანიშნეს. ის პროფესიით პედიატრია. მუშაობდა პედიატრად, ალერგოლოგად, კერძო კლინიკებში პერსონალის მართვის მიმართულებით, ასევე ლიდერობა/მენეჯმენტის ქოუჩად, ამ სააგენტოში კი სამი თვით წამლის ხარისხის მიმართულებით მრჩეველი იყო.

წამლის ხარისხის კონტროლის ეროვნულ ლაბორატორიას ცალკე საიტი ან თუნდაც ფეისბუქ გვერდი არ გააჩნია, რომ გვენახა რა მისია აქვთ, რა გააკეთეს ან რას გეგმავენ მომავალში, რამდენია და რას ხმარდება მათი წლიური ბიუჯეტი. დაინტერესებული პირი ვერც მათ საკონტაქტო ინფორმაციას იპოვის და ვერც მისამართს. ლაბორატორია ցoogle-ის რუკაზეც არაა მონიშნული. კითხვა-კითხვით გავარკვიეთ, რომ წამლის ხარისხის კონტროლის ეროვნული ლაბორატორია გაიხსნა მეტრო "დელისის" მიმდებარედ, მიხეილ ასათიანის #9-ში.

ლაბორატორიის 900 კვ.მ-ზე მეტი ფართობის ორსართულიანი შენობა სახელმწიფოს საკუთრებაა. 2023 წლის მარტიდან ორივე სართულს და სარდაფს "სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო" იყენებს.

რაში დაიხარჯა 11 მილიონი ლარი?

რადგან წამლის ხარისხის კონტროლის სახელმწიფო ლაბორატორიის გახსნა ჩვენმა მთავრობამ მიღწევებში მიითვალა და მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტად გაასაღეს, დავინტერესდით, რა გაკეთდა ამ შენობაში და რა ფასად.

ჯანდაცვის სამინისტრომ არ მოგვაწოდა ინფორმაცია, თუ რა დაჯდა მიხეილ ასათიანის #9-ში მდებარე შენობის რემონტი, მისი ავეჯით მოწყობა და ლაბორატორიული ტექნიკით აღჭურვა. გვაინტერესებდა, ვისგან და როგორი ფუნქციის სამედიცინო დანადგარები შეიძინეს, თუმცა ჩვენი კითხვები მეშვიდე თვეა უპასუხოა. საბოლოოდ, შესყიდვის დოკუმენტების ნაწილი ჩვენით ვიპოვეთ.

ჯანდაცვის სამინისტროს ლაბორატორიის რემონტი 1.6 მილიონი ლარამდე დაუჯდა. სამუშაოები შპს "კომფორტი XXI"-მა შეასრულა. კომპანიამ გააკეთა სახურავი, კედლები, ტიხრები, ფასადები და კიბეები; მოაწყო სახანძრო, ვიდეომეთვალყურეობის და ელექტროსისტემები; ასევე შიდა კანალიზაცია, ცივი და ცხელი წყალი, გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების სისტემები.

2023 წლის აპრილში ჯანდაცვის სამინისტრომ "სოლემარტისგან" ლაბორატორიისთვის 220 000 ლარის სამედიცინო ავეჯი მიიღო. კომპანიამ მათ მიაწოდა თურქული წარმოების სამედიცინო მაგიდები, სკამები, ტუმბოები და კარადები.

ზუსტად არ ვიცით, რა რაოდენობის და რა მოდელის სამედიცინო დანადგარებით აღჭურვეს ეროვნული ლაბორატორია. ჩვენ სახელმწიფო შესყიდვების პორტალიდან მხოლოდ 175 000 ლარის სამედიცინო აპარატურის შესყიდვა დავადასტურეთ.

შევამოწმეთ ჯანდაცვის სამინისტროს და სსიპ "სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს" ბოლო სამი წლის შესყიდვები. ვიპოვეთ სამედიცინო დანადგარების შესყიდვის მხოლოდ ორი ტენდერი, რომლითაც 2023 წლის აგვისტოში იყიდეს ჯამში 175 000 ლარის ღირებულების ქრომატოგრაფიის სვეტები და ნიმუშების მიკროტალღური მინერალიზატორი.

ლაბორატორიის გახსნის შემდეგ, 2023-24 წლებში მისთვის საჭირო სახარჯ მასალაში 279 000 ლარია გადახდილი. მაგალითად, ყიდულობენ კონტეინერებს, ნარჩენების ურნებს, კოვზებს, პიპეტების, შპრიცებს და ხელთათმანებს.

საბოლოოდ, არ ჩანს 11 მილიონი ლარის კვალი. ამ თანხის ხარჯვის დოკუმენტაცია, თვეობით ლოდინის მიუხედავად, ჯანდაცვის სამინისტრომ არ გამოგვიგზავნა. ჩვენი ძალებით კი მხოლოდ 2,3 მილიონი ლარის მიზნობრიობას მივაგენით.

გასული წლის მაისში, როცა ირაკლი ღარიბაშვილი ლაბორატორის ეწვია, კადრებში ჩანდა თანამედროვე სამედიცინო ტექნიკა. მაგალითად, გერმანული ERWEKA-ს ბრენდის დანადგარი და დანიური ARCTIKO-ს ბრენდის სამედიცინო მაცივარი. სიუჟეტში ჩანს, რომ ყოფილი პრემიერი და ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი ათვალიერებენ ქრომატოგრაფიის და მას-სპექტრომეტრიის ლაბორატორიას.

კვლევის ეს ორივე მეთოდი ფიზიკურ-ქიმიურია: ერთი წამლის ნარევებს სწავლობს, მეორე - მოლეკულებს და ატომებს. ქრომატოგრაფია და მას-სპექტრომეტრია ეროვნული ლაბორატორიის "ნოუჰაუ" ნამდვილად არ არის. ამ მეთოდით, კერძო ლაბორატორია "გლობალტესტი", წლებია, მუშაობს.

"გლობალტესტის" დირექტორს ეროვნული ლაბორატორიის შესახებ გასული სიუჟეტი ვაჩვენეთ, რადგან კადრებში აპარატურაც ჩანს და გვინდოდა, სპეციალისტისგან გაგვეგო, რომელი რისთვისაა საჭირო. ისიც გვაინტერესებდა, ხომ არ ჩანს ამ კადრებში ისეთი დანადგარი, რომელიც ქვეყანას ამ დრომდე არ ჰქონია და შესაბამისად, ეროვნული ლაბორატორიის განსაკუთრებულობაც გასაგები იქნებოდა.

ქეთევან ბარამიძემ გვითხრა, აქ არაფერი დგას ისეთი, რაც მე არ მაქვსო. ჩვენი თვალით დაგვათვალიერებინა საკუთარი ლაბორატორიის დანადგარებიც და აგვიხსნა, რომ ეროვნულ ლაბორატორიასაც იგივე ფუნქციის ტექნიკა აქვს შეძენილი, მაგალითად, PH-ის [მჟავის და ტუტის] საზომი ხელსაწყო, ასევე ERWEKA-ს ბრენდის წამლის ხსნადობის საზომი.

ერთია, გქონდეს კარგად აღჭურვილი, ძვირადღირებული და თანამედროვე აპარატურით სავსე ლაბორატორია, მეორეა - მათი გამოყენება იცოდე და ეფექტურად ამუშაო. ეროვნული ლაბორატორიის შემთხვევაში, სწორედ აქაა ბევრი კითხვის ნიშანი. არ ვიცით, უკვე აამუშავეს თუ არა ეს დანადგარები. ჯერ კიდევ შარშან მაისში ამბობდნენ, მათი კალიბრაცია-კვალიფიკაციის ეტაპები ახლა მიმდინარეობსო.

ჯერ კიდევ 2024 წლის მარტში, ჯანდაცვის სამინისტროსთან გაგზავნილი წერილით

ვითხოვდით ეთქვათ, თუ რა მოდელის აპარატურა აქვთ და დასრულდა თუ არა მათი კალიბრაცია, რამდენი მედიკამენტი შეამოწმეს ამ ერთი წლის განმავლობაში და რა მეთოდებით. მეშვიდე თვეა, სამინისტროსგან რეაგირება არ არის. მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებელი პირები არაერთხელ შევაწუხეთ, ჩვენი წერილი გავახსენეთ და ინფორმაციის დროულად გამოგზავნა დაჟინებით ვთხოვეთ. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ანა დარახველიძე გვეუბნება, "ეს დაგვიანება მიზანმიმართული არ არის... მიზეზს ვერ გეტყვით, ამუშავებს შესაბამისი სამსახური... უნდა დაგველოდოთ..."



ეროვნული ლაბორატორიის თანამშრომელი, კადრი ლაბორატორიის გახსნის სიუჟეტიდან, 2023 წლის მაისი

რისთვისაა საჭირო აპარატურის კალიბრაცია? ამ დროს ამოწმებენ, ზუსტია თუ არა დანადგარი და რამდენია მისი ცდომილება.

"აი, ფაქტის" რესპონდენტი, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და მსოფლიო ბანკის ექსპერტია, ვინაობის გასაჯაროების გარეშე გვიხსნის, რომ ლაბორატორიას დანადგარების კალიბრაციისთვის და შემდეგ სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის წინ დიდი გზა აქვს.

"კალიბრაციას აკეთებს სტანდარტიზაციის სამსახური, რომ დანადგარებს პრობლემა არ შეექმნათ შემოწმების დროს და მათი მონაცემები ვალიდური იყოს. ამის გარეშე ლაბორატორია ფუნქციონირებას ვერ დაიწყებს, თუმცა ამის მერეც უამრავი რამ სჭირდება... სტანდარტების მომზადება ასე ერთ კვირაში არ ხდება, ეს არ არის მხოლოდ შენობის ევრორემონტი, ეს ხანგრძლივი პროცესია... მე რაც ვიცი, სტანდარტებთან დაკავშირებით უნდოდათ 'ჯანმოს' გაეწია დახმარება, რა კატეგორიაში გაუჭირდათ და რაში ითხოვეს ჩართულობა, არ ვიცი, მაგრამ რომ გეგმავენ დამატებითი დახმარების გაწევას, ეს ცნობილია... "

თუმცა, საქართველოში მოქმედი ყველაზე მსხვილი წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ქეთევან ბარამიძე გვეუბნება, თუ ყველაფერი წესრიგშია, აპარატურა გამართულად მუშაობს და დაკალიბრებულია, ორი დღეც საკმარისია აკრედიტაციის წარმატებით დასასრულებლადო:

"ჩემთვის ხანგრძლივი იყო აკრედიტაციის პროცესი, რადგან მე პირველი ლაბორატორია ვიყავი, რომელიც წამალზე მუშაობდა საერთოდ. ვიჯექი აკრედიტაციის სამსახურთან და ერთად ჩამოვყალიბდით როგორ უნდა გაგვევლო ეს პროცესი. თორემ ახლა არაფერი პრობლემა არ არის. რეაკრედიტაციას სჭირდება 2 დღე და იგივე დასჭირდება აკრედიტაციასაც, თუ არის დოკუმენტები, ყველაფერი და თვითონ ლაბორატორია არის მზად..."

ლაბორატორია სრულყოფილად ვერ ამუშავდა - მიზეზი არავინ იცის

ახალი ლაბორატორია კი მოეწყო, მაგრამ მას თავად ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებები კი არ იყენებენ. მაგალითისთვის, რამდენიმე ამბავს მოგიყვებით.

2023 წლის დეკემბრიდან დღემდე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებამ კერძო ლაბორატორია "გლობალ-ტესტს" 48 000 ლარის ხელშეკრულებები გაუფორმა და სამკურნალო საშუალებების ხარისხის შეფასება დაავალა.

მაგალითად, "გლობალ-ტესტთან" ხელშეკრულებები გააფორმა დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა, რეგიონული ჯანდაცვის ცენტრმა და ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტმა.

მათგან ყველაზე ბოლოს, 2024 წლის 4 ოქტომბერს "გლობალ-ტესტს" ხელშეკრულება გაუფორმა

დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა. მათ კერძო ლაბორატორიას 23 400 ლარის სანაცვლოდ დაუკვეთეს ანტიტუბერკულოზური და ანტი-რეტროვირუსული მედიკამენტების 30 ნიმუშის ხარისხის შეფასება.

2024 წლის აპრილში, იმავე კერძო ლაბორატორია "გლობალ-ტესტს" 900 ლარი გადაუხადა და სამკურნალო საშუალებების შემოწმება დაავალა შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრმაც.

მათი შენობა ეროვნული ლაბორატორიის მეზობლად, დაახლოებით, 10 მეტრში მდებარეობს. ადგილზე მივედით, რომ გაგვერკვია, რატომ დასჭირდათ კერძო კომპანიასთან თანამშრომლობა, როცა იქვე აქვთ ეროვნული ლაბორატორია.

დაწესებულების მმართველის მოადგილემ და იურისტმა აგვიხსნა, რომ "გლობალ-ტესტს" დაუკვეთეს ნარკოტიკული საშუალებების იგივეობის განსაზღვრა, რისი გაკეთებაც ეროვნულ ლაბორატორიას არ შეუძლიაო.

"იგივეობის" ანალიზი ნიშნავს, რომ უნდა დადგინდეს, ნამდვილად იმ ნივთიერებებს და იმ რაოდენობით შეიცავს ესა თუ ის ფარმაცევტული პროდუქტი, რასაც უნდა შეიცავდეს? პირობითად, უნდა შეამოწონ, რომ კონკრეტული ნიმუშის პარაცეტამოლში შედის ზუსტად ის ნივთიერებები, რომელიც უნდა შედიოდეს ნამდვილ პარაცეტამოლში.

გამოდის, რომ ჩვენს "11-მილიონიან" ლაბორატორიას ამგვარი საბაზისო ანალიზიც არ გამოსდის.

ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი სანდრო ურუშაძე ჩვენთან ინტერვიუს დროს კითხვას სვამს, რისთვის არის საჭირო ეროვნული ლაბორატორია, თუ ქვეყანაში უკვე არსებობს სანდო კერძო ლაბორატორია და მათთან წამლის ხარისხის შემოწმება უფრო იაფი ჯდება:

"საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა ასეთი ლაბორატორიის აღჭურვილობის შეძენაც, ფუნქციონირებაც, პერსონალის მოზიდვაც და გადამზადებაც. თუ არ ენდობი კერძო ლაბორატორიას, მხოლოდ მაშინ კი არის საფუძველი, რომ საკუთარი გააკეთოს სახელმწიფომ".

ეროვნული ლაბორატორია ამუშავდა თუ არა, უცნობია სფეროს სპეციალისტებისა და კონკურენტი კერძო ლაბორატორიების წარმომადგენლებისთვისაც.

"გახსნით გაიხსნა, მაგრამ რამდენად ფუნქციონირებს, არ ვიცით... მათი აქტივობის შესახებ მართალი გითხრათ, მე არ მსმენია... მგონი, დირექტორიც დანიშნეს, დანადგარებიც ვიცი რომ ჩამოიტანეს, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, აქტიურ ფაზაში არ მუშაობს", - გვითხრა ფარმაცევტული კომპანიების ასოციაციის დირექტორმა ილონა კოკიაშვილმა მარტში გასაუბრებისას და იმავე გაგვიმეორა ოქტომბერშიც.

"არაფერი არ შეცვლილა მანდ... ეს ლაბორატორია არ არის ჯერ ამოქმედებული სრულფასოვნად, იგივე სიტუაციაშია. ჩვენ გვაინტერესებდა ანალიზების გაკეთება თუ შეეძლოთ, მაგრამ ჯერ არ არის ამ ეტაპზე ამუშავებული. სპეციალისტებს სჭირდებათ მანდ დიდხნიანი გადამზადება. ტექნიკურად, როგორც მე ვიცი, უზრუნველყოფილია, მაგრამ არის რაღაც ნიუანსები სპეციალისტებთან დაკავშირებით. ეგ საკმაოდ რთულია. მე ადგილზე არ მივსულვარ, მაგრამ ვიცი, რომ ეგეთი სიტუაციაა..." - გვითხრა ილონა კოკიაშვილმა 10 ოქტომბერს. მან ისიც დაგვიზუსტა, ფარმაცევტულ კომპანიებს ისევ უწევთ ანალიზისთვის საქართველოში, ან უცხოეთში არსებულ კერძო ლაბორატორიებს მიმართონო.

"ამ ლაბორატორიით ვერავინ ისარგებლებს, თუ არ არის აკრედიტებული... რაღაცა რომ გიჭირს, სჯობს თქვა, ვიდრე დამალო...არა? არასწორია, რომ ამდენი ხანი... ის აპარატურა ძველდება კიდეც და იცვითება, რომ დგას, დგას, დგას... იმან თუ არ იმუშავა, ჩაუცხვება შიგნით ელექტროდები და უნდა გადაყარო მერე... ელექტროდს თავისი ვადა აქვს - ერთი წელი და მორჩა", - გვითხრა ქეთევან ბარამიძემ, ლაბორატორია "გლობალტესტის" ხელმძღვანელმა.

"ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი იქნება ეგ ინფორმაცია, როდიდან დაიწყეს მუშაობა და რამდენი ანალიზი აქვთ ჩატარებული ზოგადად? ნამდვილად ფუნქციონირებს, თუ არა? მწარმოებლები და შემომტანები, ჯერჯერობით, ისევ კერძო ლაბორატორიებს მიმართავენ..." - გვითხრა ფარმაცევტთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ლევან გოგიბერიძემ.

ვესაუბრეთ GMP-ის (good manufacturing practice) და GDP (good distribution practice) მფლობელ საწარმოებს და დისტრიბუტორებს. აღმოჩნდა, რომ წამლის ეროვნული ლაბორატორიის გახსნის შემდეგ მათთვის არაფერი შეცვლილა. "ჩვენ არ გვითანამშრომლია მაგ ლაბორატორიასთან", - **ბიოტექნოლოგიური კომპანია "ბიოქიმფარმი"** (კომპანიამ მიზეზებზე ვრცლად პასუხი არ ისურვა და მხოლოდ ეს მოგვწერა).

"ჩვენთვის არაფერი შეცვლილა აბსოლუტურად... გვყავს კონტრაქტორი ლაბორატორია, სხვა, არაეროვნული. ის ანალიზის მეთოდები, რაზეც ჩვენ ვართ დამოკიდებული, უფრო კომპეტენტურია სხვა ლაბორატორია, კერძო - აკრედიტებული "გლობალტესტი". იშვიათად ვთანამშრომლობთ სამხარაულთანაც... ჩვენ ვიცით, რას აკეთებს ეროვნული და რას აკეთებს კერძო... ჩვენთვის უფრო მისაღები არის კერძო", - ფარმაცევტული საწარმო **"აბიფარმის"** აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი ჭანკოტაძე.

"ვთანამშრომლობთ აკრედიტებულ ლაბორატორია "გლობალ-ტესტთან" და ეროვნულთან არ გვითანამშრომლია, რამდენადაც ვიცით, ჯერჯერობით ის არ არის... მათი მხრიდან არ ყოფილა შემოთავაზება ნამდვილად. თავიდან როცა საუბარი იყო, რომ გაიხსნა, დავეკონტაქტეთ და თქვეს შეგეხმიანებით, ეს პროცედურა მთლიანად რომ დასრულდებაო, მეტი ურთიერთობა არ ყოფილა", - **ფარმაცევტული კომპანია "პსპ".**

"ჩვენ ჩვენი ლაბორატორია გვაქვს და სერიული კონტროლისთვის კერძოსთან, "გლობალ-ტესტთან" ვთანამშრომლობთ. ჩვენი ისეთი დონის არის... არ ვამბობ, რომ ის [ეროვნული] უფრო უარესია, მაგრამ უკეთესი ნამდვილად ვერ იქნება..." - **"ავერსი-რაციონალის"** ხარისხის დირექტორი, ნათელა ქარუხნიშვილი.

მისი თქმით, ეროვნულ ლაბორატორიას წამლის საწარმოებთან არ ჰქონია რაიმე საინფორმაციო შეხვედრა, საიდანაც მის მიზნებსა და გეგმებზე შეიტყობდნენ.

კერძო ლაბორატორიის, "გლობალტესტის" დირექტორი ქეთევან ბარამიძეც გვეუბნება, რომ ეროვნული ლაბორატორიის ფუნქციონირებაზე არაფერი სმენია და არც მის ოფიციალურ გახსნაზე მიუწვევია ვინმეს. ფიქრობს, რომ ამ ლაბორატორიამ აკრედიტაცია ვერ გაიარა და ჯერჯერობით, ამიტომაც ვერ ამუშავდა. ქეთევან ბრამიძემ მის კაბინეტში ინტერვიუსას გულწრფელად გვითხრა, მზად ვარ მათ წამლის კონტროლის მრავალწლიანი გამოცდილება უანგაროდ გავუზიარო და აკრედიტაციის პროცესში მივეხმარო, რადგან ქვეყანას სჭირდებაო. თუმცა, ამ სპეციალისტისგან ცოდნის გაზიარება ჯერ არავის უთხოვია.

"აბსოლუტურად არ ვარ საქმის კურსში... თუ რამეში მივეხმარებოდი, თორემ არაფერს დავუშავებდი, ნამდვილად. ჩემი სფეროა და მაინც ვგულშემატკივრობ... მე არც ვარ ის ადამიანი, რომ კონკურენტად აღვიქვა ისინი და გული გამისკდეს, არიქა, ამუშავდებიან-თქო... მე, მაგალითად, გახსნა რომ მქონდა, თუ ვინმეს ოდნავი შეხება ჰქონდა, ყველას ჭკუას ვეკითხებოდი... არ მიფიქრია, რომ მე ყველაფერი ვიცი... [ეროვნული ლაბორატორიიდან კი] არავისთვის არაფერი უკითხავთ. გულის დაწყვეტით კი არ ვამბობ, უბრალოდ, შეიძლებოდა, სამხარაულისთვის ან ჩემთვის ეკითხათ - რა აპარატურას ხმარობ? სად გიჭირს? რომ მე ისე ავეწყო, იგივე რამ არ გამიჭირდეს... ან შენ რას ვერ აკეთებ, რომ მე პირველ რიგში ეგ გავაკეთო და ქვეყანას ისიც ჰქონდეს, ესეც ჰქონდეს. მე ასე მივუდგებოდი ამ საკითხს..." - ამბობს ქეთევან ბარამიძე



რადგან ჯანდაცვის სამინისტრო ლაბორატორიის ფუნქციონირების საკითხზე დუმს და თვეების განმავლობაში მათგან პასუხი ვერ მივიღეთ, ჩვენ ეროვნულ ლაბორატორიაში 10 ოქტომბერს, შუადღის პირველი საათისთვის მივედით.

ლაბორატორიის დირექტორი ნინო ვახანიაც მალევე მოვიდა. ვუთხარით, რომ მათ საქმიანობაზე სტატიას ვამზადებთ და კითხვებზე პასუხი გვჭირდებოდა. დირექტორმა ჯერ გვითხრა, თუ ჯანდაცვის სამინისტროსთან არ გაქვთ შეთანხმებული, ვერაფერზე გაგესაუბრებითო. თუმცა, რომ ავუხსენით, ჯანდაცვის სამინისტრო შვიდი თვის წინ გამოთხოვილ წერილზეც არ რეაგირებს და სხვა გზა არ გვქონდა, ადგილზე უნდა მოვსულიყავით-თქო, გვითხრა - "ახლა რაღაც შეხვედრიდან მოვდივარ, ცოტა ხანი შევალ, გამოვალ ისევ და დაგელაპარაკებითო". დირექტორს არსად

შევუპატიჟებივართ, ეს დიალოგი შენობის შესასვლელში, რეგისტრატურასთან და საინფორმაციო დახლთან მიმდინარეობდა. ფოიეში 20 წუთის განმავლობაში ვიცდიდით. ამასობაში, ნინო ვახანიამ რეგისტრატორი თავისთან იხმო და დაავალა, ჩვენი ლოდინის დრო კიდევ გაეხანგრძლივებინა. რეგისტრატორი მეორე სართულზე ავიდა, ჩამოვიდა და გვითხრა - "ქალბატონი ნინო კიდევ ნახევარი საათი ვერ ჩამოვა, თუ გინდათ შემდეგ მობრძანდით, თუ გინდათ, დაელოდეთო".

ორმოცი წუთის გასვლის შემდეგ უკან მივბრუნდით. ამჯერად, საინფორმაციო დახლთან ლაბორატორიის მძღოლი იჯდა, რომელმაც გვითხრა, აი, ახლაც მივწერე, მაგრამ არ მპასუხობს, ისევ შეხვედრაზეაო. ისევ ლოდინი გადავწყვიტეთ. ცოტა ხანში, მძღოლი ნინო ვახანიას მდივანს ანიშნებს:

"- შეხვედრა დასრულდა?

- ჯერ არა", - პასუხობს მდივანი.

მივხვდით, რომ დირექტორი ჩვენთან გასაუბრებას არ აპირებდა, ამიტომ რეგისტრატორს ვთხოვეთ, როგორმე მიაწვდინეთ ხმა, შეხვედრაზე შედით 2 წუთით, თხოვეთ, რომ მობილურის ნომერი ან ელ.ფოსტა მაინც გვითხრას, მოგვიანებით შევეხმიანებით-თქო. თუმცა, რეგისტრატორმა ამაზეც უარი გვითხრა. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ვერ ან არ "ბედავდა" ნინო ვახანიასთვის ჩვენი თხოვნა გადაეცა. საბოლოოდ, ჩვენი ნომერი დავუტოვეთ, ყოველი შემთხვევისთვის, იქნებ, ლაბორატორიის დირექტორს სტატიაში თავისი პოზიციის დაფიქსირების სურვილი გასჩენოდა. 14:30-ზე, საათნახევრიანი ლოდინის შემდეგ, ეროვნული ლაბორატორია დავტოვეთ. ნინო ვახანიას ისევე არ დაურეკავს, როგორც თქვენ.

ლაბორატორიის შენობა თბილისში, მიხეილ ასათიანის ქუჩაზე

ლენჯეხი-მესჯიის გზა - მაკადიული წინასაარჩევნო დაპირება

ავტორები: მარიამ კაჭკაჭაშვილი და ნათია მიხელიძე

საპარლამენტო არჩევნები მოდის და დროული ხომ არ არის, გავიხსენოთ, როგორ შესრულდა ქვემო და ზემო სვანეთში მცხოვრებთათვის "ქართული ოცნების" მიერ მიცემული დაპირებები?

„თქვენთან მოსასვლელი პირი არ გვექნება, აი პირდაპირ ვამბობ, თუ არ ავაშენეთ ლენტეხიდან მულახისკენ (მესტიის მუნიციპალიტეტი) მიმავალი გზა თავისი გვირაბებით", - პირველად დაპირება 2016 წელს ყოფილმა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა, გასცა საპარლამენტო არჩევნებამდე თვენახევრით ადრე.

ლენტეხში ჩასულებს გვითხრეს, ნაცნობი ამბავია, პირობა დაარღვია, ჰოდა, მის მერე აქ აღარც გამოჩენილა კვირიკაშვილი, კახეთში წავიდაო.

კვირიკაშვილს არც მომდევნო პრემიერები, მამუკა ბახტაძე, გიორგი გახარია და ირაკლი ღარიბაშვილი ჩამორჩნენ. სამივე მათგანმა გზის მშენებლობის

დაპირება სხვადასხვა წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გაიმეორა.

პროექტის საბოლოო ვერსია ასეთი იყო: გზა ლენტეხიდან უნდა დაწყებულიყო და მდ. ლასკადულას ხეობით წასულიყო მესტიისკენ. ლენტეხიდან 14.5 კილომეტრის გავლის შემდეგ მიადგებოდით 9-კილომეტრიან გვირაბს, ამის მერე, კვლავ 13 კილომეტრს ივლიდით მდ. ლაილაჭას ხეობის გაყოლებით და მოხვდებოდით მესტიაში ჩასასვლელ მთავარ საავტომობილო გზაზე.



საქმე დაპირებებზე შორსაც წავიდა - 4,7 მილიონი ლარიც დაიხარჯა და შემდეგ გადაწყდა, რომ პროექტს ვეღარ გააგრძელებდნენ. საეჭვო, რუსული წარმომავლობის კომპანიამ ფული იშოვა და ყველაფერი ამით დასრულდა. არადა, ლენტეხი-მესტიის დამაკავშირებელი ეს გზა იქნებოდა ყველაზე მოკლე და კომფორტული ადგილობრივებისთვის და მგზავრობის დროს, მინიმუმ, საათ-ნახევრით შეამცირებდა. ამასთანავე, მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად იმუშავებდა და ლენტეხიდან პირდაპირ მესტიას დაუკავშირდებოდა.

"ის გზა ზღაპარში დარჩა... სახელმწიფომ არ დააფინანსა და ჩვენ თუ დავაფინანსებთ ჩვენი ჯიბიდან, კი ბატონო", - გვითხრა მესტიაში ყოფნისას ადგილობრივმა.

მთლად პირობის გატეხვაში რომ არ ჩასთვლოდათ და ამომრჩეველი ბოლომდე არ მოემდურებინათ, მთავრობამ შეარემონტა ლენტეხი-უშგული-მესტიის ძველი გზა, რომელიც სეზონურად მუშაობს, ანუ ზამთარში იკეტება. ამ გზით ლენტეხიდან ჯერ უშგულში ჩადიხართ, შემდეგ კი მესტიაში.

რუსული ფული ხორვატიული სახელის უკან - IGH-ს მფლობელთა სქემა

2016 წელს საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფეისბუქ გვერდზე ვიდეო-რგოლი გამოაქვეყნეს, რომელიც ლენტეხი-მესტიის დამაკავშირებელ გზას აღწერდა. 6-კილომეტრიანი გვირაბისა და 38-კილომეტრიანი გზის მშენებლობის სავარაუდო ღირებულება 200 მილიონი დოლარი უნდა ყოფილიყო. პროექტის მომზადება 2016 წლის ოქტომბერში უნდა დაწყებულიყო, მშენებლობა კი 2018-დან 2020 წლამდე გაგრძელებულიყო.

პროექტის მოსამზადებლად სამინისტრომ ტენდერი 2016 წლის 5 აგვისტოს გამოაცხადა. ტენდერში ორი კომპანია მონაწილეობდა: ერთი თურქული და მეორე ხორვატიული. თურქულმა კომპანიამ დეპარტამენტს უფრო ნაკლები თანხა შესთავაზა, თუმცა დოკუმენტების შეუსაბამობის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო.

პროცესი უცნაურად წარიმართა. როგორც ტენდერების კვლევის 8-წლიანი გამოცდილება გვიჩვენებს, ნაკლები თანხის შემთავაზებელ კომპანიას ხარვეზების შესასწორებლად ეძლევა რამდენიმე დღიანი ვადა. თუ ის ამ ხარვეზებს ვერ გამოასწორებს და გამართულ დოკუმენტაციას არ ატვირთავს, მიიღებს დისკვალიფიკაციას. სწორედ ამის შემდეგ

იწყება მეორე პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციების განხილვის ეტაპი.

ამ კონკრეტულ ტენდერში, ორივე კომპანიამ ერთდროულად ატვირთა ტექნიკური დოკუმენტაციები. საბჭო ერთი და იმავე ოქმის საშუალებით, ერთსა და იმავე ეტაპზე გასცემდა რეკომენდაციებს ორივე მათგანისთვის.

ჩვენ თურქულ კომპანიასთან დაკავშირება ვცადეთ, ვკითხეთ, როგორ წარიმართა შესარჩევი პროცესი, რატომ აღარ შეასწორეს დოკუმენტაცია და რა იცოდნენ IGH-ს შესახებ. მათ კითხვები ელ. ფოსტის საშუალებით გავუგზავნეთ. თუმცა, გვითხრეს, რომ დიდი ხნის ამბავია და დეტალები არ ახსოვდათ.

დავუკავშირდით სხვა უცხოურ კომპანიას, რომელიც IGH-თან ერთად ადგილობრივ ტენდერებში მონაწილეობდა. მათ ჩვენ კითხვებს უპასუხეს, თუმცა გვთხოვეს, რომ კომპანიის სახელი არ გაგვემჟღავნებინა.

მათი თქმით, როცა მიხვდნენ, რომ საქართველოში ბიუროკრატიის დაძლევა შეუძლებელი იყო, შეწყვიტეს დროის, ფულისა და ძალისხმევის დახარჯვა იმ ტენდერებისთვის, რომელშიც მათთან ერთად კომპანია IGH-ც მონაწილეობდა. მათ ისიც ვკითხეთ, როგორ და რატომ მოხდა ერთდროულად ორ კანდიდატთან დოკუმენტაციის ხარვეზების გასწორება. გვითხრეს, რომ ასე ხდება ხოლმე, თუმცა, ძირითადად, პატარა ტენდერებში. ეს კი მსხვილ ტენდერად ითვლება, რადგან თანხა 5 მილიონ ლარს აღწევდა.

“მაშინ IGH-მ თითქმის ყველა ადგილობრივი ტენდერი მოიგო და ჩვენ შევწყვიტეთ ადგილობრივ ტენდერებში მონაწილეობა, რადგან მივხვდით, რომ მოგების შანსი არ გვაქვს და IGH გააგრძელებდა სხვა ტენდერების მოგებასაც”, - გვითხრა კომპანიის წარმომადგენელმა.

მათი ინფორმაციით, კომპანია IGH-მა საქართველოს გარდა იმ პერიოდში ვერც ერთ ქვეყანაში ვერ მოიგო ტენდერი. იციან, რომ ახლა IGH ჯერ კიდევ აქტიურია საქართველოში და ბალკანეთის ზოგიერთ ქვეყანაში, თუმცა ისე ძალიან აღარ, როგორც ადრე.

საბოლოოდ ხელშეკრულება გაფორმდა ხორვატიული წარმოშობის IGH-ს ქართულ ფილიალთან, რომლის სრული დასახელებაც ასე ჟღერს: სს “ინსტიტუტი იგჰ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში”, ფილიალი საქართველოში ლენტეხი-მესტიის გზის ტენდერის გამოცხადების შემდეგ, 2016 წლის 26 სექტემბერს დარეგისტრირდა.

კომპანია ხორვატიაში 1949 წლიდან არსებობს. საქართველოს გარდა IGH-ს ოპერირებს: ბოსნია და ჰერცეგოვინაში, კოსოვოში, იტალიაში, უნგრეთში, სომხეთში, მონტენეგროში, სერბეთში, ბულგარეთსა და ალბანეთში. კომპანია ასევე მუშაობდა უკრაინასა და რუსეთში. თუმცა 2022 წლის მარტში, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, დაეხურა თავისი რუსული ფილიალი.

ხორვატიული კომპანიის ძირითადი აქციონერი და 39-პროცენტიანი წილის მფლობელი, ჰონგ-კონგში დარეგისტრირებული ჩინური კომპანია Avenue Engineering and Construction Limited-ია. კომპანიამ წილი ყოფილი მფლობელის, სერგეი გლიადელკინისგან იყიდა. ის წარმოშობით რუსი ბიზნესმენია, რომელსაც ხორვატიის მოქალაქეობა აქვს. თუმცა, კომპანიის ნამდვილ მმართველად მაინც გლიადელკინი რჩება, რადგან ჩინური კომპანიის დირექტორიც თავადაა.

მეორე მსხვილი აქციონერი, რომელიც IGH-ს წილების 8.77 პროცენტს ფლობს Avenue Mehanizacija-აა, კომპანია, რომლის მფლობელიც ისევ რუსი ბიზნესმენი გლიადელკინია Fondovi.hr ინფორმაციით. გამოდის, რომ IGH-ს წილების 47.77 პროცენტს რუსი ბიზნესმენი მართავს.

საერთაშორისო მედიაში IGH-ს შესახებ რამდენიმე საინტერესო მასალას წავაწყდით. როგორც ხორვატიული საგამოძიებო მედია Indexhr წერს, ინსტიტუტი 2011 წელს გაკოტრების პირას იყო და ამ პროცესიდან ის რუსულმა ფულმა და კერძოდ, სერგეი გლიადელკინმა გამოიყვანა. ბიზნესის სტაბილურობისთვის მან IGH-ში 8 მლნ დოლარზე მეტი დააბანდა. ამ პროცესში მას ეხმარებოდა ივან პალადინი, თავისი კომპანია Delta Consulting-ით. პალადინი 2015-2017 წლებში გლიადელკინის

ბიზნესპარტნიორი იყო. ჯერ IGH-ის საბჭოს წევრი, შემდეგ კი საბჭოს პრეზიდენტი გახდა. პალადინი 2022-2023 წლებში ხორვატიის მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და სახელმწიფო ქონების მინისტრიც იყო.

ლენტეხის პროექტის გარდა, ამ ხორვატიულმა კომპანიამ საქართველოს მთავრობისგან მალევე მიიღო კიდევ ორი მსხვილი ხელშეკრულება ბაღდათი-აბასთუმნისა და საჩხერე-რაჭის გზების საპროექტო დოკუმენტების მომზადებისთვის - ჯამში 7.7 მილიონი ლარის. ეს ორივე ტენდერი კვლავ კონკურენტის დისკვალიფიკაციის ხარჯზე მოიგო. ამ პროექტებიდან მხოლოდ საჩხერე-რაჭის გზა გაიხსნა, ბაღდათი-აბასთუმანი კვლავ მშენებლობის ფაზაზეა.

სერგეი გლიადელკინი და ივან პალადინი

ხორვატიული კომპანიის მიერ მოგებულ ტენდერებთან დაკავშირებით კითხვები აქამდეც გაჩნდა. "ახალგაზარდა ადვოკატებმა" 2018 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების შემსრულებელი კომპანიების საქმიანობის სამართლებრივი ანალიზის დოკუმენტი გამოაქვეყნეს. ანალიზში ნახსენებია IGH-ც.

კვლევაში ნათქვამია, რომ ამ ხორვატიული კომპანიის ქართული ფილიალის დირექტორი პაატა აბუთიძე იყო, რომელმაც 2017 წლის ბოლოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში გადაინაცვლა 2018 წლის 1 იანვრიდან კი იმავე უწყების თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა. გამოდის, რომ აბუთიძემ ჯერ ტენდერები მოიგო, როგორც კომპანიის დირექტორმა, ხოლო შემდეგ კი იმავე სახელმწიფო უწყებაში დასაქმდა, რომელიც სამუშაოს უკვეთავდა.

აბუთიძეს სანამ გზების დეპარტამენტის თანამშრომელი გახდებოდა, იქ უკვე ჰქონდა კავშირები. ის საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის, გივი ჩოჩიას ბიზნესპარტნიორი იყო. 2018 წელს საგზაო დეპარტამენტის იმდროინდელმა თავმჯდომარემ, გიორგი სეთურიძემ "აიპრესს" უთხრა, რომ რადგან უკვე ჰქონდათ აბუთიძესთან ურთიერთობის გამოცდილება, შესაბამის კანდიდატურად სწორედ ის მიიჩნიეს.

ტენდერების მოგებიდან ერთ წელში IGH-ის საქართველოს ფილიალის დირექტორი რუსეთის ფედერაციის და სომხეთის ორმაგი მოქალაქე, რობერტ პეტროსიანი გახდა და დღემდე ამ პოსტს იკავებს. პარალელურად კი რუსეთის ფედერალური ავტონომიური ინსტიტუტის "ROSKAPSTROY" დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად მუშაობდა. მისი დანიშვნის ბრძანებას ხელი რუსეთის მშენებლობის მინისტრმა მოაწერა.

პროექტირება ფულის საშოვნელად თუ გზის ასაშენებლად?

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა IGH-ს ფილიალთან ხელშეკრულება 2016 წლის დეკემბერში 4.7 მილიონ ლარზე გააფორმა. ტენდერის მიხედვით, ხორვატიული კომპანიის ქართულ ფილიალს ევალებოდა გვირაბის დაპროექტება-მშენებლობის კონტრაქტისთვის წინასწარი პროექტის მომზადება. რაც გულისხმობს საწყისი საინჟინრო კვლევების ჩატარებას და იმის დადგენას, საერთოდ შესაძლებელი იყო გვირაბის გაკეთება, თუ არა.

ხორვატიულ კომპანიას, წესით, საქმე ერთ წელში უნდა დაესრულებინა, მაგრამ სამუშაოები 2019 წლის ბოლომდე გაიწელა. შემსრულებელ კომპანიასთან დადებულ ხელშეკრულებაში 15 ცვლილება შევიდა. ზოგი ვადის გადაწევას ეხებოდა და ზოგიც ტექნიკური საკითხების შესწორებას. ჩვენ გზების დეპარტამენტს ვკითხეთ, დაეკისრა თუ არა რაიმე სანქცია კომპანიას ვადაგადაცილების გამო.

გამოვითხოვეთ ხორვატიული კომპანიის მიერ ჩაბარებული საპროექტო დოკუმენტაციაც, რომელიც გზების დეპარტამენტმა არ მოგვცა.

"ჯერჯერობით მხოლოდ საპროექტო დოკუმენტაციაა დამუშავებული და სამშენებლო სამუშაოები არ დატენდერებულა. სანამ არ დატენდერდება სამუშაოები, პროექტს ვერ გავცემთ ვერანაირი საჯარო ინფორმაციით... ის შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას, რაც სამუშაოების გატენდერებამდე არ არის საჯარო", - გვითხრა გზების დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელმა პირმა.

2019 წელს პროექტთან ერთად ხორვატიულმა კომპანიამ წარმოადგინა გვირაბამდე მისასვლელი გზების გარემოზე ზემოქმედების ანგარიშიც. დოკუმენტი აფასებს უშუალოდ გზების გარემოზე ზეგავლენას, რადგან გვირაბისთვის იმ დროისთვის მხოლოდ კონცეპტუალური პროექტი იყო მომზადებული. წერდნენ, რომ დეტალური პროექტირების ეტაპზე იქნებოდა შესაძლებელი ცალკე გვირაბისთვის გზშ-ს მომზადება.

გზშ-ს მიხედვით, მშენებლობისთვის 3 წელზე მეტი იქნებოდა საჭირო და პროექტი მავნე ზეგავლენას გარემოზე არ მოახდენდა.

დოკუმენტში ისიც წერია, რომ გაითვალისწინეს დამკვეთის მოსაზრებები და სიტყვიერი რეკომენდაციები. თუმცა, მომზადებულ პროექტზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაასკვნა, რომ ხორვატიული კომპანიის მიერ წარმოდგენილი გზშ არაკვალიფიციურად იყო მომზადებული და გააუქმა.

2020 წლის თებერვალში გარემოს დაცვის სამინისტრომ გზების დეპარტამენტს წერილი მიწერა და უთხრა, რომ წარდგენილ გზშ-ს ანგარიშებში ხარვეზები იყო. მაგალითად, დაზუსტებას საჭიროებდა საპროექტო ალტერნატივები და შერჩეული გზის მარშრუტები. არ იყო წარდგენილი ხიდების განთავსების კოორდინატები. არ იყო მოცემული არსებული მისასვლელ გზებზე ინფორმაცია. რთული რელიეფური პირობების მიუხედავად, არ იყო განხილული ხიდების მშენებლობით გამოწვეული ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტებზე.

ვკითხულობთ, რომ გზშ-ის ანგარიშებში, საპროექტო დერეფნის რთული გეოლოგიური პირობების მიუხედავად, არ იყო წარმოდგენილი გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია.

კომპანიამ ეს ხარვეზები არ გაითვალისწინა და საბოლოოდ, 2021 წელს სკოპინგის დასკვნაზე გაცემული ბრძანება ძალადაკარგულად გამოცხადდა.

"მწვანე ალტერნატივა" არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2000 წლიდან არსებობს და საქართველოში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების გარემოზე ზემოქმედებას იკვლევს. ორგანიზაციის ანალიტიკოსს, ქეთი გუჯარაიძეს ვაჩვენეთ გზშ-ს დოკუმენტები და სამინისტროს წერილები. ვთხოვეთ, თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, შეეფასებინა პროცესი მხოლოდ ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით.

"როგორც ჩანს, იმდენად უხარისხო იყო, რომ სამინისტრომ ვერ გადაწყვიტა საბოლოო თანხმობა ეთქვა პროექტისთვის. ჩემი დასკვნით, ძალიან უხარისხო იყო გზშ, რადგან არ სცემდა კანონმდებლობით მოთხოვნილ კითხვებს პასუხებს", - აგვიხსნა ქეთი გუჯარაიძემ.

ჩვენ გზების დეპარტამენტსაც ვკითხეთ, რა გახდა სკოპინგის დასკვნის ძალადაკარგულად გამოცხადების მიზეზი, მათ კი ბრძანების ტექსტი გაგვიმეორეს. ეს პასუხი, გუჯარაიძის თქმით, მიზეზთან შეუსაბამო იყო.

"ეს არ არის ახსნა. აქ უნდა დაეწერათ ის, რომ ორი წელი ვერაფერი გავაკეთეთ, პროექტი ვერ დავხვეწეთ, ვერ გავაკეთეთ გზშ და ამიტომ ბრძანება ძალადაკარგულად ჩათვალეს. შენ რომ შეისწავლე რაღაცები და თქვი, რომ ასეთია სიტუაცია ამა და ამ ადგილზე, თუ შენ ამ 2 წელიწადში არ გააკეთე სრული გზშ, არ მიიღე ნებართვა და არ დაიწყე სრული პროექტი, მაშინ შენ ისევ ხელახლა უნდა შეისწავლო არსებული ვითარება, რადგან იქ მდგომარეობა შეიცვალა. ეს არ არის ახსნა იმის, რატომ არ გაგრძელდა პროცესი", - გვითხრა ქეთი გუჯარაიძემ.

ჩვენ IGH-ს დავუკავშირდით და ვკითხეთ, თუ ვინმეს პროექტის მართლა გაკეთება ჰქონდა

განზრახული, მაშინ რატომ არ გაითვალისწინეს ხარვეზები და არ გაასწორეს გზშ.

როგორც კომპანიის მთავარმა ინჟინერმა, მიშა კეჭაყმაძემ გვითხრა, პროექტის ჩაბარების შემდეგ არ ახსენდება გზშ-ში რაიმე ცვლილება შეეტანათ. ხოლო მანამდე, ზუსტად ვერ იხსენებს და ამბობს, "ალბათ, შევიტანდით თუ შესატანი იქნებოდა"-ო. არადა, იმ დროს კეჭაყმაძე პროექტის გუნდს ხელმძღვანელობდა. კითხვების ნაწილზე კი მან გზების დეპარტამენტთან გადაგვამისამართა.

გზშ-ს გაუქმებით, ამ პროექტზე საუბარი, თითქოს დასრულდა. მაგრამ ჩვენ ვიპოვეთ, რომ 2021 წელს გზების დეპარტამენტმა მოამზადა დოკუმენტი და შეაფასა გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ზემოქმედება „ზურმუხტის ქსელის" კანდიდატ უბანზე. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ იგი ეფუძნება სკოპინგისა და გზშ-ს ეტაპებს, სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული კვლევის შედეგებს, ასევე კონკრეტულად კანდიდატ უბანზე ზემოქმედების შეფასებისთვის 2019 წლის სექტემბრის თვეში დამატებით შესწავლას.

ამ დოკუმენტის მომზადების შემდეგ პროექტის შესახებ სიტყვა აღარავის დაუძრავს. ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 2024 წელს მხოლოდ ის თქვა, რომ პროექტის განხორციელება 800 მილიონი ლარი ჯდებოდა, რის გამოც, ეკონომიკურად არამიზანშეწონილად ჩაითვალა და მის ნაცვლად, ძველი, მძიმედ დაზიანებული გზის გარემონტება გადაწყდა.

წესით, დაახლოებით რა დაჯდებოდა დაპირებული ლენტეხი-მესტიის პროექტი, ეს ხელისუფლებას თავიდანვე უნდა სცოდნოდა და სამუშაოებიც შესაბამისად დაეგეგმა. და თუ თავიდან არ იცოდა და 2019 წელს გაიგო, მაშინ 2021 წელს რატომღა მოამზადეს დამატებითი კვლევა? გზების დეპარტამენტმა ამ კითხვებზე პასუხი არ გაგვცა, ინტერვიუზეც უარი გვითხრეს და არც წერილობით გვიპასუხეს.

"დასაწყისშივე ჩანს, წინასაპროექტო გადაწყვეტებს როდესაც იწყებ, მაშინვე ნათელია დაახლოებითი ფასი. გათვლა დაახლოებით შეუძლიათ სტანდარტულად, რომ 1 კმ გზა ჯდება ამდენი, 10 კმ დაჯდება ამდენი. ასეთი ტიპის გათვლა კვლევების გარეშეც კი შეუძლიათ. ეს გზები ხომ პირველად არ შენდება, იციან დაახლოებით განფასებები რა არის, ამა თუ იმ ლანდშაფტში რა შეიძლება დაჯდეს 1 კმ გზის გაყვანა", - გვითხრა "მწვანე ალტერნატივას" პოლიტიკის ანალიტიკოსმა ქეთი გუჯარაიძემ.

აღზეარნაგზიუღი გზა თუ

ასე გამოიყურებოდა ლენტეხი-მესტიის დამაკავშირებელი გზა აგვისტოში

ამომრჩევლის მოზყუების მცდელობა?

ვერაშენებული გვირაბისა და მოკლე გზის სანაცვლოდ მთავრობამ ლენტეხიდან მესტიაში მიმავალი გზის შეკეთება 2017 წლიდან დაიწყო. ანუ მაშინ, როცა ხორვატიული კომპანია გვირაბისა და მოკლე გზის საპროექტო დოკუმენტზე მუშაობდა. ამ ალტერნატიული გზის დასრულებას 2018 წელს ვარაუდობდნენ, თუმცა მთლიანად გაკეთებული ახლაც არაა.

ამ გზის სიგრძე 108 კმ-ია და ბეტონის საფარი სრულად არც აქაა დაგებული. აგვისტოში ამ გზაზე დაგვხვდა მონაკვეთები, რომლის გავლა მაღალი გამავლობის მანქანითაც კი გაგვიჭირდა. რამდენიმე მონაკვეთზე მუშებსაც შევხვდით, რომლებმაც გვითხრეს, რომ გასაკეთებელი მხოლოდ მცირე მონაკვეთიღა დარჩა და ამ შემოდგომაზე ბოლომდე დავასრულებთო.

გზების დეპარტამენტმა გვითხრა, ამ წლის ბოლომდე მოვრჩებითო. ამ გზის შეკეთებისთვის, ჯამში, 100 მილიონი ლარია გამოყოფილი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საიტზე ამ გზის მოსაწყობად გამოცხადებული ყველა შესყიდვა ვნახეთ. ამ ეტაპზე, 10 ოქტომბრის მონაცემებით დახარჯულია 88.3 მილიონი ლარი. ადგილზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახლა შპს "პალადა" ასრულებს. კომპანია 2006 წელს დაარსდა, მათი ძირითადი საქმიანობა გზების და ავტობანების მშენებლობა, საინჟინრო, სარემონტო მომსახურება და ლიფტების, ესკალატორების, მოძრავი ბილიკების და სხვადასხვა ამწე მექანიზმების მონტაჟი და ექსპულატაციაა. კომპანია სახელმწიფო შესყიდვებში 2011 წლიდან მონაწილეობს.

მთავრობამ იფიქრა, რომ ადგილობრივებს ამ გზით მოიმადლიერებდა, მაგრამ ლენტეხშიც და მესტიაშიც ერთ აზრზე არიან, რომ დაპირებული გვირაბი და მოკლე გზა სჯობდა.

"ეს გზა (ლენტეხი-უშგული-მესტია) 3-4 თვე მუშაობს. ზამთარში იმხელა ზვავები ჩამოდის, რომ კოშკის სიმაღლის. იმას რაც არ უნდა ტექნიკა გყავდეს, ვერ გაჭრი", - გვითხრა მესტიაში ადგილობრივმა, რომელიც ტურისტებთან ერთად ამ გზას ხშირად, დღეში რამდენჯერმეც გადის.

"გზას, რომელიც 6 თვე მუშაობს, გზა ნაკლებად ჰქვია", - გვეუბნება სვანეთში მცხოვრები ლევან დადვანი.

"ეს გზა ზამთარში უმოქმედოა. სეზონური გზაა. ძალიან ძნელია ამ გზის შენარჩუნება. ზამთარში ჩიტი ვერ გადმოფრინდება აქ", - ასევე დაადასტურა გზის დარჩენილ მონაკვეთზე მომუშავე ზედამხედველმა.

გზების დეპარტამენტში შეხვედრასა და პირისპირ ინტერვიუზე უარი გვითხრეს, დასავლეთში დიდი ღონისძიება გვაქვს, ხელმძღვანელობაც იქაა წასულიაო და არ იქნებიან თბილისშიო. ჩვენ სატელეფონო ინტერვიუც შევთავაზეთ, თუმცა ამაზეც ვერ დავითანხმეთ. ბოლოს, კითხვები წერილობითაც გავუგზავნეთ, სტატიის გამოქვეყნებამდე მათ არც ამაზე უპასუხიათ.

კვლევის პროცესში ნაპოვნი ფაქტები და გარემოებები გვიჩვენებს, რომ ხორვატიულმა, საეჭვო კავშირების კომპანიამ, რომლის უკანაც რუსული კვალი ჩანს, მილიონები იშოვა იმ პროექტის წყალობით, რომელიც არავის გამოადგა. ამ ამბავს კი ჩვენი ჯიბიდან 5 მილიონი ლარამდე შეეწირა.

როგორ წაართვა არასწორად დაგეგმილმა პროექტებმა ბავშვებს სკოლები

ავტორები: თამუნა ქიმაძე და შორენა ლაღაძე

წყალაფორეთი, სადაც მხოლოდ 30 ბავშვიღაა დარჩენილი, პატარა სოფელია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. ამ პატარა სოფლიდან ბავშვები ყოველ დღე 14 კმ-ს გადიან წინ და უკან, რომ მეზობელი სოფლის სკოლაში მივიდნენ. არადა, წყალაფორეთში ოთხი წლის წინ სკოლა ჰქონდათ. 2020 წელს მთავრობამ მისი გარემონტება გადაწყვიტა. ხალხს დაჰპირდნენ, რომ ახალი სკოლის, 289 ბავშვზე გათვლილი, ორსართულიანი შენობა ექნებოდათ.

მთავრობა რომ დაპირებას ვერ ასრულებს, ეს საქართველოში ვიღას უკვირს? აქ ამაზე არ გიყვებით. ჩვენ კიდევ რამდენიმე სოფლის სკოლა ვიპოვეთ, რომლის რემონტიც, წყალაფორეთის არ იყოს, დაიწყეს და ვეღარ დაასრულეს, ან სამუშაოები ძალიან დიდხანს გაჭიანურდა. ყველა ამ სკოლის გაწელილი რეაბილიტაციის მიზეზი ისაა, რომ მთავრობა არასდროს სთხოვს პასუხს შპს "ინდუსტრიას." ჩვენმა ხუთთვიანმა გამოძიებამ გვიჩვენა, რომ სისტემა თვალს ხუჭავს

წყალაფორეთის სკოლის ნანგრევები

კერძო კომპანიების არაპროფესიონალურად შესრულებულ სამუშაოზე, მაშინაც კი, როცა საქმე ბავშვების უსაფრთხოებას და კეთილდღეობას ეხება.

რას ერჩოდნენ წყალაფორეთის სკოლას?

წყალაფორეთში ძველი სკოლის ადგილზე ნანგრევები დაგვხვდა. სამუშაოები შეჩერებულია და არავინ იცის, განახლდება თუ არა და როდის.

რიტა ხიჯაკაძე ხარაგაულის სოფელ წყალაფორეთში ცხოვრობს. სამი შვილი ჰყავს. უმცროსი სპეციალური საჭიროებების მქონეა. მისი შვილები იმავე სოფლის სკოლაში დადიოდნენ მანამ, სანამ 2020 წელს სკოლის შენობის რემონტი არ დაიწყეს.
რიტას უფროსი შვილი მეხუთე კლასშია, შუათანა მესამეში, ნაბოლარა კი - პირველში. უმცროსი ბიჭი სპეციალური საჭიროებების მქონეა. ორი წლის ასაკში სმენა დაკარგა. ბიჭუნა კვირაში ორჯერ სოფლიდან ქუთაისში, ლოგოპედთან დადის. ყველაზე მეტად რიტა მასზე წუხს, სკოლა შორს რომაა. ბავშვს რამე რომ დასჭირდეს, მიშველება გამიჭირდებაო.

“10-ის 10 წუთზე მოდის მარშუტკა, 10-ზე ეწყებათ სწავლა. 3-ის ნახევრიდან სამამდე მოდიან ხოლმე უკან. ნახევარი საათი მაინც სჭირდებათ გზაში. პატარას უჭირს ძალიან, იღლება, 5 ოპერაცია აქვს გაკეთებული.
აქ რასაც ხედავთ, ყველაფერი პატარასია (მიგვითითებს მაგიდაზე დაწყობილ რამდენიმე აპარატზე). რაღაცა რომ გაუჭირდეს, მე იქ ვერ მივალ. დილით რომ გავუკეთებ აპარატს, შეიძლება დაუჯდეს, ან დაეცეს და რაღაცა ზიანი მიიღოს. აქეთ თირკმლის პრობლემა აქვს, რაღაცა რომ გაუჭირდეს ბავშვს, მე ხომ უნდა მიმიწვდებოდეს ხელი, რომ მივიდე?” - გვიზიარებს რიტა თავის ყოველდღიურობას.

რიტა იმაზეც წუხს, რომ ბავშვებს საშუალება არ აქვთ სკოლის გარდა სადმე წრეზე იარონ. მათთვის მიუწვდომელია სპორტი, მუსიკა და ცეკვა. გვეუბნება, რომ კილომეტრებით შორს სკოლაში სიარულის გამო, დროში ვერ ეწყობა და ბავშვები წრეებზე ვერ დაყავს. არადა, უფროს გოგონას პიანინოზე

როგორი უნდა ყოფილიყო წყალაფორეთის სკოლა პროექტის მიხედვით

სწავლა მოუნდომებია. ტელეფონში უყურებს ვიდეოგაკვეთილებს და ისე მეცადინეობსო.

“არაფერი არ ქონდა იმ სკოლას დასანგრევი. 4 წელიწადი მივჩერებოდი, ათოვდა, კედლები იყო და არ დანგრეულა. ბლოკი გაიყიდა, ჩვენც კი ვიყიდეთ და არაფერი არ აქვს გაფუჭებული. რისთვის დაანგრიეს? აქამდე მაინც ესწავლათ. არ იყო იმდენი ბავშვი, რომ არიქა, ორსართულიანი სკოლა ყოფილიყო საჭირო, ყოფილიყო 30 ბავშვზე, რაღაცა შეერემონტებინათ”, - ამბობს რიტა ჩვენთან საუბრისას.

წყალაფორეთის სკოლა 1965 წელს აშენებული ორსართულიანი შენობა იყო. სატენდერო დოკუმენტების მიხედვით, 2020 წელს სკოლას ასე აღწერდნენ: შენობის საძირკვლები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მაგრამ ცუდ მდგომარეობაშია და გამოსაცვლელია ხის და მეტლახის ფილებით მოპირკეთებული იატაკი; მეტალო-პლასტმასის და ხის ფანჯრები; ასევე თუნუქის ფენილიანი სახურავი და ცენტრალური ჭიშკარი.

უსკოლობა წყალაფორეთში ყველას აწუხებს. ადგილობრივები განიცდიან, რომ სოფელი ამის გამო ნელ-ნელა იცლება.

“კარგა ხანს იქნება, ალბათ, ნანგრევები. ერთი წლის წინ უნდა დაწყებულიყო მაგის მშენებლობა. ვისაც ჰყავდა ბავშვი მანდ, ყველამ გადაიყვანა, დაიცალა სოფელი. გზა იგება ჩემს უბანში. რად მინდა მე გზა რომ დამიგონ დღეს, ჩემმა შვილიშვილმა თუ აქ ვერ ისწავლა?” - გვითხრა მერაბ გიგაშვილმა.

წყალაფორეთელ ბავშვებს რომ სკოლა არ აქვთ, გრძელი ამბის ბოლოა. თავი კი შპს “ინდუსტრიასთან” უნდა ვეძებოთ. სწორედ მათ დაუკვეთა მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2019 წელს წყალაფორეთის სკოლის საპროექტო დოკუმენტაცია.

საპროექტო დოკუმენტაცია იქმნება მაშინ, როცა შენობის ან ინფრასტრუქტურული ობიექტის შეკეთება თუ თავიდან აშენებაა საჭირო. საპროექტო დოკუმენტაციას მთავრობა, როგორც წესი, კერძო კომპანიებს უკვეთავს ხოლმე და მათ თხოვენ, შეაფასონ, რა ტიპის სამუშაოა ჩასატარებელი, დეტალურად აღწერონ ეს პროცესი, განსაზღვრონ ვადები და საჭირო ფინანსები. საპროექტო დოკუმენტების მიღების შემდეგ კი მთავრობა უკვე უშუალოდ სამუშაოების ჩასატარებლად აცხადებს ხოლმე ტენდერს.

წყალაფორეთის სკოლის საპროექტო დოკუმენტაციაში შპს “ინდუსტრიამ” ჩაწერა, რომ სკოლის შენობის საძირკვლები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშიაო, ხოლო იატაკი, ფანჯრები და სახურავი გამოსაცვლელიო. ერთადერთი, რის დანგრევასაც შპს “ინდუსტრია” მიზანშეწონილად მიიჩნევდა, სკოლის გარეთ მდებარე ტუალეტისა და ავტოფარეხის შენობები იყო.

სკოლაც რომ დასანგრევი იყო და მისი გარემონტება არ გამოდიოდა, ეს მშენებელმა კომპანია სს “იმერეთმა” მას შემდეგ აღმოაჩინა, რაც მუშაობა ადგილზე დაიწყო.

მშენებელი კომპანია 2020 წლის ნოემბრიდან მუნიციპალური განვითარების ფონდს, რომელმაც სკოლის რეაბილიტაცია გადაწყვიტა, წერილებს უგზავნიდა. სს “იმერეთი” ჩიოდა, რომ წყალაფორეთის სკოლა ავარიულ მდგომარეობაში იყო და ეჭვს იწვევდა სკოლის რეაბილიტაციის მიზანშეწონილობა.

ეჭვების დასადასტურებლად სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროც მიიწვიეს. სამხარაულმაც დაადასტურა, რომ სკოლის შენობის შერემონტება არ შეიძლებოდა, ის უნდა დაენგრიათ და 2023 წელს დაანგრიეს კიდეც.

კომპანია “იმერეთის” ხელმძღვანელს, რუბენ ჩინჩალაძეს დავურეკეთ. გვაინტერესებდა, რას ფიქრობდა იმაზე, რომ ადგილზე პროექტისგან განსხვავებული სურათი დახვდათ. მხოლოდ ის გვითხრა, ხდება ხოლმე ასე ხშირად, რომ პროექტი არ ამართლებსო.

წყალაფორეთის სკოლისთვის ახალი ტენდერი 2023 წლის აგვისტოში გამოცხადდა. ამჯერად შემსყიდველი არა მუნიციპალური განვითარების ფონდი, არამედ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო იყო. 3.4 მილიონ ლარად 60 ბავშვზე გათვლილი ორსართულიანი შენობა უნდა

აეშენებინათ, მანამდე კი პროექტი უნდა მოემზადებინათ. ანუ, "ინდუსტრიას" მიერ მომზადებულ პროექტს აღარ იყენებდნენ. თუმცა ეს ტენდერი არ შედგა. ამ ამბიდან წელიწადზე მეტი გავიდა და მას შემდეგ ახალი შესყიდვა არავის გამოუცხადებია.

ამ სკოლის ბედი ისევ მუნიციპალური განვითარების ფონდთან მოვიკითხეთ. ივნისში მივწერეთ, იმის გასაგებად, თუ რა გეგმები აქვთ და აპირებენ თუ არა საერთოდ რამეს. წერილზე ზედაპირულად გვიპასუხეს. მხოლოდ ის გვითხრეს, რაც ისედაც ვიცოდით - სკოლის შენობა სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დაინგრაო.

"ინდუსტრიას" პროექტები სხვა სკოლებისთვის

წყალაფორეთის სკოლის გარდა შპს "ინდუსტრიამ" მოამზადა კიდევ 18 სკოლის პროექტი მხოლოდ იმერეთის რეგიონში. ამ სკოლებიდან ათის შეკეთება ან დროში გაჭიანურდა, ან შენობა დასანგრევი აღმოჩნდა.

ქუთაისის მე-9 სკოლის ამბავი

მაგალითად, ქუთაისის მე-9 სკოლის რეაბილიტაცია კი დასრულდა, მაგრამ სამუშაოები ორი წლით გაჭიანურდა. მშენებელი კომპანია სამუშაოს დაწყებისთანავე შეფერხდა. ადგილზე "სიურპრიზი" დახვდათ – დეფორმირებული და დასანგრევი კედელი. მუნიციპალური განვითარების ფონდმა მშენებლობა შეაჩერა, კედლის დემონტაჟი-მონტაჟისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებამდე. საბოლოოდ, ამ კედლის სრულად დანგრევა და ახლის აგება გადაწყდა, რის გამოც "დამბას" სამუშაოების ვადა რვა თვით გადაუწიეს. არადა, დეფორმირებულ კედლებზე საპროექტო დოკუმენტებში შპს "ინდუსტრიას" არაფერი ეწერა.

მოგვიანებით, მშენებელი კომპანია "დამბა" კიდევ რამდენიმე პრობლემას წააწყდა, რაც საპროექტო დოკუმენტებში ნახსენებიც არ იყო. მშენებელი კომპანიის დირექტორს, გიორგი ჯაბიძეს ჩვენ ტელეფონით ვესაუბრეთ.

"სამუშაო პროცესში უკანა მხარის შუა კედლები ჩამოიშალა და აღვადგინეთ. მერე თითქმის ბოლომდე მივიყვანეთ სკოლა და მარჯვენა ფლიგელში შევამჩნიეთ ბზარები. გადავწყვიტეთ, დამატებით გამაგრებულიყო შენობა [გარედან რკინის კონსტრუქციებით]. ბავშვები არიან, მაინც აუცილებელია, რომ თავი დაგვეზღვია. სპორტული ფლიგელიც დავანგრიეთ, მეორე ფლიგელიც დავანგრიეთ, არ შეიძლებოდა იმის აღდგენა", - გვითხრა ჯაბიძემ.

ქუთაისის მე-9 საჯარო სკოლა

სამტრედიის მე-4 სკოლის ადგილზე ახლა დაჭაობებული გუბე დგას

სამტრედიის სკოლის ამბავი

2024 წლის 1 მარტს სამტრედიაში მეოთხე საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლებმა აქცია გამართეს და მათი სკოლის მშენებლობის დროულად დასრულებას ითხოვდნენ. მუნიციპალური განვითარების ფონდმა და სამტრედიის მერმა მშობლები დააიმედეს, ახალი სკოლა მალე აიგებაო.

ამ სკოლის საქმე ოდნავ სხვაგვარად იყო - რეაბილიტაცია 2020 წელს დაიწყო, მუშაობის დროს აღმოაჩინეს რომ რემონტს არ ექვემდებარებოდა და 2022 წელს დაანგრიეს კიდეც. ამ სკოლის საპროექტო დოკუმენტაცია შპს "ინდუსტრიამ" 33 736 ლარად მოამზადა და დაადგინა, რომ შენობას გარემონტება სჭირდებოდა, თუმცა საძირკველი აქაც მყარად მიიჩნია. მათ მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით, გასაკეთებელი იყო გათბობა, ვენტილაცია, საკლასო ოთახების რემონტი, სველი წერტილები უნდა მოეწესრიგებინათ და კეთილმოეწყოთ სკოლის გარე ტერიტორიაც.

"ინდუსტრიას" მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2020 წელს მშენებელი კომპანია, შპს "გერმანული სამშენებლო კომპანიაც" დაიქირავა. სამუშაოებისთვის მაშინ 2.2 მილიონი ლარი იყო გათვლილი.

2021 წელს აღმოჩნდა, რომ სატრედიაშიც წყალაფორეთის მსგავსი სცენარი გათამაშდა: სარემონტო სამუშაოების დასრულებისას გამოიკვეთა ფუნდამენტისა და მზიდი კედლების ავარიულობა, რაც ხელშეკრულებასა და პროექტში არ იყო გათვალისწინებული. მშენებელმა კომპანიამ ამ შემთხვევაშიც სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა წარმოადგინა, სადაც ეწერა, არსებულ შენობა-ნაგებობაზე გამაგრება/რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელება ტყუილი ხარჯიაო.

2022 წელს შპს "გერმანულ სამშენებლო კომპანიას" მხოლოდ სარემონტო სამუშაოებისა და სკოლის დემონტაჟის თანხა, 378 042 ლარი გადაუხადეს და დაემშვიდობნენ. დადგა დრო ახალი პროექტის შემუშავების და სკოლის შენობის აგებისა.

მუნიციპალური განვითარების ფონდმა (მგფ) 2022 წელს 450 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის მშენებლობისათვის ახალი ტენდერი გამოაცხადა. ამჯერად პროექტის თავიდან შედგენისა და შემდეგ სკოლის აშენებისთვის 7.2 მილიონი ლარია გამოყოფილი.
მგფ-მ ტენდერში გამარჯვებულებიც შეარჩია, ხელშეკრულებაც შარშან გაუფორმა და სამუშაოების დასასრულებლად 2 წელი მისცა. ამ ეტაპზე სამტრედიაში სამუშაოები განახლებულია. თუმცა, მეოთხე საჯარო სკოლის 400-მდე მოსწავლე

ამ სასწავლო წელსაც სამტრედიის სხვა სკოლებში, მეორე ცვლაში ატარებს.

გორდის სკოლის ამბავი

არასრულყოფილი პროექტისა და ზედაპირულად ჩატარებული კვლევების გამო, გაჭიანურდა გორდის სკოლის რეაბილიტაციაც. მუნიციპალური განვითარების ფონდმა ხონის ამ სოფლის სკოლის გასარემონტებლად ტენდერი 2020 წელს გამოაცხადა. სამუშაოებზე მაშინ 4 მილიონ ლარზე მეტი იყო გამოყოფილი. მშენებელ კომპანიას, "სპეცმონტაჟს" ევალებოდა სამსართულიანი სკოლის რეაბილიტაცია, სასწავლო ოთახების რემონტი, ლაბორატორიული ოთახისა და საპირფარეშოების მოწყობა, გარე საინჟინრო ქსელების რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობა.

"სპეცმონტაჟმა" სკოლის რეაბილიტაცია 2020 წლის ნოემბერში დაიწყო. ხელშეკრულება 2022 წელს მუნიციპალურმა განვითარების ფონდმა შეწყვიტა - კომპანიამ სამოუშაოები დროულად ვერ დაასრულაო. თუმცა, დოკუმენტების მიხედვით, სამუშაოების დაწყებისას უკვე პრობლემები გაჩნდა - აღმოჩნდა, რომ ტერიტორია მეწყერსაშიშ ზონაში იყო, რის გამოც შენობის ფლიგელს ჰქონდა ნაპრალები. ამიტომ, მას დამატებითი გამაგრებითი სამუშაოები დასჭირდებოდა. ამის შესახებ კომპანიამ მუნიციპალური განვითარების ფონდს არაერთი წერილი გაუგზავნა და მოითხოვა პროექტის დაკორექტირება აღმოჩენილი პრობლემების მიხედვით.

არადა, პროექტის ავტორი "ინდუსტრია" აქაც წერდა, საძირკველი დამაკმაყოფილებელ მდომაგრეობაშიაო და არც მეწყრული პროცესები მიმდინარეობსო: "როგორც გამოკვლეულ უბანზე, ისე მის მიმდებარე ტერიტორიაზე რაიმე უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ აღინიშნება".

2019 წელს მომზადებულ გეოლოგიურ კვლევაში, ერთ დოკუმენტში, "ინდუსტრიას" გორდი ერთ გვერდზე ზესტაფონის სოფლად აქვს მოხსენიებული, მეორე გვერდზე ვანის და მესამეზე - ზუგდიდის.

ფაქტია, რომ ინდუსტრიას სკოლის ტერიტორია საფუძვლიანად არ შეუსწავლია. 2018 წელს, ვიდრე "ინდუსტრია" პროექტის მომზადებას დაიწყებდა, უკვე ცნობილი იყო, რომ გორდში ჩამოწოლილი მეწყრის გამო, სკოლა ავარიულ მდგომარეობაში იყო. მაშინ ეზო და მიმდებარე ტერიტორია დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტმა და "დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტმა"

სოფელ გორდის საჯარო სკოლა

შეისწავლა.
2022 წლის დეკემბერში მგფ-მა "სპეცმონტაჟთან" ხელშეკრულება გაწყვიტა, რადგან კომპანია ვალდებულებებს დროულად არ ასრულებდა. შემდეგ კი ახალი ტენდერი გამოაცხადა. ახალი ხელშეკრულება შპს "სათავე +"თან 2023 წლის 3 აპრილს დაიდო. სკოლის სრული რეაბილიტაციისათვის კომპანიას 2.9 მილიონი ლარი გადაუხადეს.

სკოლის რეაბილიტაციისთვის ამჯერადაც "ინდუსტრიას" მიერ შექმნილი პროექტი გამოიყენეს. თუმცა, შესასრულებელი სამუშაოების ნუსხას გამაგრებითი სამუშაოებიც დაამატეს. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ "ინდუსტრიამ", თავიდან, პროექტის შედგენის დროს, სწორად ვერ განსაზღვრა შესასრულებელი სამუშაო. ამას კი სამუშაოების წლობით გაჭიანურება და დამატებითი ხარჯები მოჰყვა.

ვინ ფლობს შპს "ინდუსტრიას''?

კომპანია "სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია" 1999 წელს დაარსდა. მაშინ მისი დირექტორიც და მფლობელიც ლევან მახვილაძე იყო, ახლა კი კომპანიის წილებს კახა მახვილაძე, ლევან ფაშიაშვილი და ლევან მახვილაძე ინაწილებენ.

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა კომპანიამ 2017 წელს დაიწყო, თუმცა მგფ-თან მისი თანამშრომლობა 2019 წლიდან იწყება. 2017 წლიდან დღემდე "ინდუსტრიას" 31 ტენდერი აქვს მოგებული, მათგან 22 კი მგფ-ს გამოცხადებული იყო. ბოლო შვიდ წელში კომპანიამ 25 მილიონი მიიღო ტენდერებიდან, აქედან 22.2 მილიონი კი მგფ-სგან.

სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს ვებ გვერდზე "ინდუსტრიას" ნომერი ვიპოვეთ. მათგან გვინდოდა გაგვეგო, რატომ ვერ შეისწავლეს საფუძვლიანად სოფელ გორდის სკოლის ტერიტორია, როგორ მოხდა რომ მეწყერი გამორჩათ, რატომ იყო პროექტში არეული სოფლის მისამართი და თვლიან თუ არა, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ობიექტებზე მათი პროექტის გამო გაჭიანურდა სამუშაოები.

ზარზე კი გვიპასუხეს, მაგრამ რესპონდენტმა სახელი და გვარი არ გაგვიმხილა. გვითხრა, რომ დეტალური ინფორმაციისთვის, შეგვეძლო, მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის მიგვემართა. თავად კი გამორიცხავენ, რომ მშენებლობები მათი არასრულყოფილი პროექტის გამო შიეძლებოდა გაჭიანურებულიყო.

"თქვენ ბოლომდე სწორი ინფორმაცია არ გაქვთ. არ არსებობს შენობა და ნაგებობა, რისი გამაგრებაც შეუძლებელია, ამიტომ რა გადაწყვეტილება მიიღო დამკვეთმა, ის დაენგრია, გაემაგრებინა თუ ა.შ. მაგას ჩვენ ვერ გეტყვით. ჩემი რეკომენდაციაა უფრო მეტი სიზუსტისთვის, რაიმე რომ არ გამოგვეპაროს, უკეთესი იქნება მიმართოთ დამკვეთს. ჩვენ საკმაოდ კომპეტენტურად ვასრულებთ პროექტებს, ეს არის მშენებელი კომპანიის პრობლემა", - გვითხრეს "ინდუსტრიაში"

მუნიციპალური განვითარების ფონდს, რასაკვირველია, მივმართეთ. მათ ვკითხეთ რა პოზიცია ჰქონდათ "ინდუსტრიას" მიერ მომზადებულ პროექტებზე, მისცეს თუ არა კომპანიას გაფრთხილება ან ჯარიმა და რატომ არ შეიყვანეს შავ სიაში. ეს კითხვა მგფ-მ უპასუხოდ დაგვიტოვა და მხოლოდ ერთ სკოლაზე, წყალაფორთზე გვითხრეს, სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დაინგრაო.

ამასობაში კი მეოთხე ზამთარი გადის და წყალაფორეთელ ბავშვებსა და მასწავლებლებს ისევ კილომეტრების დაშორებით უწევთ სიარული. ამ მხრივ არც სამტრედიელი ბავშვები არიან დალხინებული, სამუშაოები მიმდინარეა და სკოლის მშენებლობა ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

სკოლების დანგრევა ან გაჭიანურებული მშენებლობა მხოლოდ იმერეთის სკოლების პრობლემა არ არის. ქვეყნის მასშტაბით, დედაქალაქშიც კი, ხშირია შემთხვევები, როცა რემონტი იწყება, მაგრამ დასრულებას პირი არ უჩანს. პრობლემის მოგვარებას თავად მშობლები ცდილობენ და სოციალურ ქსელში სპეციალური ჯგუფი შექმენს - "სკოლის დანგრევით დაზარალებულ მოსწავლეთა მშობლები". აქ იკრიბება ყველა და გეგმავენ, რომ სამართლებრივადაც იბრძოლონ. რახან მთავრობა თავად არ ზრუნავს იმაზე, რომ ინფრასტრუქტურულად გამართულ შენობებში მისცენ განათლება ბავშვებს, ალბათ, თავად საზოგადოების მხრიდან აქტიურობაა გამოსავალი.

WWW.BLACKBOOK.GE

როგორ გადაუხადა "ოცნებამ" ვაღი დავით ხიდაშელს: კუროროგები შელავათიან ფასად

ავტორი: ია ასათიანი

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ "ქართული ოცნების" კამპანია, ძირითადად, დავით გარეჯზე იყო აგებული. მმართველი პარტია ამტკიცებდა, რომ "გარეჯი საქართველოა", რაც სადავო არც არასდროს ყოფილა. პროპაგანდის მიმართ მოწყვლადი ემოციური ქართველები კი ამ მესიჯმა ანკესზე კარგად წამოაგო.

"გარეჯი საქართველოას" კამპანიას მოჰყვა ის, რომ სამსახურიდან გაათავისუფლეს ორი გამოცდილი კარტოგრაფი და მეტიც, მათ წინააღმდეგ გამოძიებაც დაიწყეს. "ქართული ოცნება" ნატალია ილიჩოვასა და ივერი მელაშვილს საქართველოს ინტერესების საზიანოდ რუკების დამალვას ედავებოდა. ილიჩოვა და მელაშვილი არჩევნებამდე დააკავეს და მათ საქმეზე სასამართლო სხდომებიც დაიწყო. არჩევნების შემდეგ, სამ თვეში, დაკავებულები გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, თუმცა ოთხი წელი გავიდა და მათ საქმეზე საქალაქო სასამართლოსაც კი არ დაუსრულებია მსჯელობა.

გარეჯის საქმეში ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი, ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული ბიზნესმენი დავით ხიდაშელი იყო. როგორც თავად ამბობს, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთი სატელეფონო საუბრისას სთხოვა, გაურკვევლობა გვაქვს დავით გარეჯის მონასტრის ირგვლივ და თუ შეგიძლია, დახმარება გაგვიწიე, მოგვიძიე სხვადასხვა რუკაო. ხიდაშელი რუკების კოლექციას რვა თვე აგროვებდა და საბოლოოდ, ივანიშვილის თხოვნით, საქართველოს საზღვრის რუკები რუსეთიდან ჩამოიტანა. მმართველი პარტია სწორედ ამ რუკებზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ "ნაციონალურმა მოძრაობამ" ხელისუფლებაში ყოფნის დროს აზერბაიჯანს მიწები დაუთმო. ილიჩოვას და მელაშვილს კი იმას ედავებოდნენ, რომ მათ აზერბაიჯანთან საზღვრის შეთანხმებისას სახელმძღვანელოდ არ გამოიყენეს 1937-38 წელს შექმნილი და ხიდაშელის მიერ ჩამოტანილი რუკა. გამოძიების ვერსიით, ამ რუკის გამოყენების შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიის მეტი ნაწილი დარჩებოდა.

ხიდაშელის მიერ ჩამოტანილი რუკა რომ სანდო და გამოსადეგი არ იყო, ეს სამი წლის წინ გამოვიკვლიეთ და გამოძიებას სრულად ქვემოთ მოცემულ ბმულზე იხილავთ. აქ კი სხვა ამბავი გვინდა გიამბოთ - ამბავი იმისა, თუ როგორ არ დარჩა ვალში "ქართული ოცნება" და ბიძინა ივანიშვილი ხიდაშელს.

„ნამდვილი პატრიოტი", "ქველმოქმედი", "ჭეშმარიტი გმირი", "ძალიან საყვარელი ადამიანი" - ამ სიტყვებით ახასიათებდა 2021 წელს ბიძინა ივანიშვილი დავით ხიდაშელს. მაშინ ოლიგარქმა ისიც თქვა, ბევრი მადლობა კი გადავუხადე, მაგრამ "მისი ვალი მიმყვებაო".

ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ამ ვალიდან ამოსვლის რა გითხრათ, მაგრამ დავით გარეჯის ამბების შემდეგ განვითარებული მოვლენები აჩენს ლოგიკურ ეჭვს, რომ ხიდაშელს "ვალი" "ქართულმა ოცნების" ხელისუფლებამ დაუბრუნა - სახელმწიფო ქონების ხარჯზე.

რუსული კავშირების მქონე ბიზნესმენმა 2018-2024 წლებში 16 მილიონ ლარად იყიდა 280 000 კვ.მ მიწა საქართველოს სხვადასხვა მხარეში, 1.1 მილიონ ლარად კი 97 000 ჰა 49-წლიანი იჯარით აიღო, თავისი სამონადირეო ლიცენზიით. ამ უძრავ ქონებებში შედის გამწვანებული, რეკრეაციული ზონები, კულტურული მემკვიდრეობა, უნიკალური კურორტები, შენობა-ნაგებობები და მოწყობილი ინფრასტრუქტურა.

მეგობრობს და 30 წელზე მეტია იცნობს პუტინთან დაახლოებულ ოლიგარქ ვლადიმირ ევტუშენკოს. ხიდაშელი აქლერებს საქართველოსთან დაკავშირებულ იმ თემებს, რაც, სავარაუდოდ, რუსეთის ინტერესშია. მაგალითად, აფხაზეთის კონფედერაციის შექმნა, აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა, საქართველოს მთავრობის პირადი ურთიერთობა აფხაზეთის მარიონეტულ რეჟიმთან და ა.შ.

2024 წელს გავიგეთ, რომ რუსეთთან ასე დაახლოებული ხიდაშელი საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველიც ყოფილა.

უკრაინის მთავრობამ ხიდაშელის, რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული სრულმასშტაბიანი ომის მხარდაჭერის გამო, დასანქცირება მოითხოვა. ამ დროს, ხიდაშელი ჩვენი თავდაცვის მინისტრის მრჩეველია.

2022 წელს დავით ხიდაშელი ყოფილ პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს იორდანიაში, ოფიციალურ ვიზიტზეც ახლდა. რა ვიცით ხიდაშელზე?

დავით ხიდაშელი თბილისში, 1965 წელს დაიბადა. განათლებაც საბჭოთა საქართველოში მიიღო. 1980-იან წლებში საცხოვრებლად რუსეთში გადავიდა. როგორც თავად ამბობს, ის მხოლოდ საქართველოს მოქალაქეა და ბიზნესს ფლობს მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში. ჩვენ მისი კომპანიები მხოლოდ 8 ქვეყანაში ვიპოვეთ. როგორც ჩანს, სხვა ოლიგარქების მსგავსად, მასაც ძალიან უყვარს ოფშორული ზონები, სადაც ბიზნესის შესახებ ინფორმაცია დამალულია ხოლმე.
მისი ბიოგრაფიიდან ვიგებთ, რომ განათლების მიღება რუსეთში გააგრძელა და მოსკოვში, ტექნოლოგიური უნივერსიტეტი დაასრულა. 1988-1993 წლებში კი რუსეთსა და დსთ-ს ქვეყნებში ტექნოლოგიურ ბიზნესს უძღვებოდა. ამის შემდეგ ხიდაშელი შვეიცარიაში გადავიდა და ხელმძღვანელ თანამდებობას იკავებდა საერთაშორისო ორგანიზაციებში, მაგალითად, იყო პლანეტარული მონიტორინგისა და მიწისძვრის რისკის შემცირების მსოფლიო სააგენტოს პროგრამების აღმასრულებელი დირექტორი. 2004 წელს ისევ რუსეთში დაბრუნდა და 2009 წლამდე იუნესკოს მსოფლიო ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ვიცეპრეზიდენტის თანამდებობას იკავებდა. 2004 წლიდან გახდა - informap group-ის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე (chief technology architect).
2007 წელს ამერიკული კომპანიის, CALYPTE BIOMEDICAL CORP-ის 30 მილიონი აქცია 1.6 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა ისე, რომ ამ შენაძენისთვის არც ბანკი დასჭირვებია და არც სხვა სახით ქონების უზრუნველყოფა. კომპანია სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების სადიაგნოსტიკო ტესტებს ქმნის და ყიდის. ხიდაშელი ახლა ამ კომპანიის აქციონერთა სიის ოთხეულშია.

2007 წელს, ამერიკული კომპანიის აქციების შეძენამდე, ხიდაშელი აშშ-ს მთავრობამ შეამოწმა და თქვა, რომ ის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, კრიმინალურ საქმიანობაში გარეული არ ყოფილა.

2007 წელს ხიდაშელი რუსული კომპანიის "სისტემას" აღმასრულებელი ვიცეპრეზიდენტი გახდა და ამ კომპანიაში 2014 წლამდე რჩება. **2022 წლიდან მოყოლებული, დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მ და ევროპის რამდენიმე ქვეყანამ "სისტემას" სანქციები დაუწესა,** უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი ომის ფინანსური მხარდაჭერის გამო.

კომპანიას "სისტემას" და მის შვილობილ კომპანიებს კონტრაქტები აქვს, რუსეთის უსაფრთხოების სამსახურთან და თავდაცვის სამინისტროსთან, რომელსაც კავშირგაბმულობის საშუალებებს და საბრძოლო დრონებს აწვდის. "სისტემა" რუსეთში 20 ყველაზე დიდი კომპანიის სიაში შედის და ტელეკომუნიკაციების სფეროში ლიდერია. თუმცა, მხოლოდ ტელეკომუნიკაციის ბიზნესით არ შემოიფარგლება, შემოსავალი აქვს ნავთობის, უძრავი ქონებისა და ტურიზმის მიმართულებებიდანაც.

"სისტემა" 1993 წელს შეიქმნა და მისი მმართველი საბჭოს თავმჯდომარე და საკონტროლო პაკეტის მფლობელი 2022 წლის სანქციებამდე იყო პუტინის მეგობარი, ოლიგარქი ვლადიმერ ევტუშენკოვი. სანქციების დაწესების დღეს კი მისი კომპანიიდან წილი შვილს გადასცა და დირექტორთა საბჭოც დატოვა. ევტუშენკოვი ომის მხარდაჭერის გამო სანქცირებულია ბრიტანეთის მიერ. როგორც თავად დავით ხიდაშელი ამბობს, ევტუშენკოვს 30 წელზე მეტია იცნობს და მეტიც, ის მისი მეგობარიცაა. ევტუშენკოვი უკრაინაში მიმდინარე საპროტესტო აქციებისას, რომელიც მეიდნის სახელითაა ცნობილი, პრეზიდენტ იანუკოვიჩს ფინანსურად ეხმარებოდა.

2009-2014 (მინიმუმ) წლებში ხიდაშელი **ბერძნულ საკომუნიკაციო კომპანია " Intracom Telecom-ის" ბორდის თავმჯდომარედ მუშაობდა.** "Intracom" 2006 დან 2014 წლის დეკემბრამდე „სისტემას" ნაწილი იყო. 2020 წელს "რუსთავი 2"-ისთვის მიცემული ინტერვიუში ხიდაშელი თავს ისევ "Intracom"-ის ბორდის ხელმძღვანელად და მის მეწილედ გვაცნობდა, თუმცა 2024 წელს ამერიკის ხმას "Intracom Telecom-დან" მისწერა რომ დავით ხიდაშელს კომპანიასთან ბოლო რამდენიმე წელია ურთიერთობა არ აქვს და არც ის იციან, ახლა რას საქმიანობს.

Wikileaks_ის ინფორმაციით "Intracom" შემჩნეულია ტერორისტებთან და სანქცირებულ ქვეყნებთან თანამშრომლობაში, მაგალითად, კადაფთან, რომელმაც საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენა. "Intracom" 2011 წლიდან კადაფის რეჟიმს სატელეკომუნიკაციო სისტემებით ამარაგებდა.

ხიდაშელი აგრძელებს სხვადასხვა კომპანიის

ხელმძღვანელობას, მათ შორისაა "Sitronics JSC", რომელიც "სისტემას"(უმსხვილესი რუსული კორპორაცია) ნაწილია და "Informap group". ეს უკანასკნელი მომხმარებელს რუკების დამუშავების, გეოგრაფიულ ინფორმაციულ სისტემებსა და ამ დარგთან დაკავშირებულ სატელეკომუნიკაციო მომსახურებას სთავაზობს. Informap-ის გვერდზე მითითებულია, რომ ეს კომპანია თბილისშიც საქმიანობს, თუმცა რას, დაკონკრეტებული არაა. რუკიდან, სადაც მსოფლიოს მასშტაბით ამ კომპანიის რამდენიმე მისამართია მონიშნული, მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ თბილისშიც უნდა ჰქონდეთ მისამართი. ქართულ ბიზნესრეესტრში მსგავსი კომპანიის არსებობის შესახებ ინფორმაცია არ იძებნება.

როგორც თავად ამბობს, ის ბოლო 20 წელიწადია ხელმძღვანელობს ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას შვეიცარიაში, რომელიც მუშაობს მიწისძვრის შემდეგ სამოქმედო გეგმის სპეციალური პროგრამების შემქნაზე და რუკებზე.

სწორედ რუკების გამო გამოჩნდა ხიდაშელი ქართულ მედიაში 2020 წელს და ირიბად დაეხმარა "ქართული ოცნების" წინასაარჩევნო კამპანიას - "გარეჯი საქართველოა". ყოფილმა პრემიერმინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა ერთხელ თქვა, რომ მას ქვეყნის გაძლიერებისთვის გაწეული საქმისთვის მადლობა გადაუხადეს და თავდაცვის სამინისტროში მინისტრის მრჩევლად სიმბოლურად დანიშნეს. ხიდაშელი ამ პოსტს 2024 წლის 9 თებერვლამდე იკავებდა და მისი ხელფასი 1 000 ლარი იყო.**

"რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მას საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვება არ ჰქონია. სხვას ვერ გეტყვით, რაც მე ვარ თავდაცვის მინისტრი, ის არ არის ჩემი მრჩეველი. რა ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა, ვერ გეტყვით", - განუცხადა მედიას ამჟამინდელმა თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ჩიქოვანმა.

როგორ გაღაუხადა მთავრობამ ვაღი ხიდაშელს?

საქართველოს მთავრობისთვის ხიდაშელის პერსონა გარეჯის ამბამდე უკვე კარგად ნაცნობი იყო. ხიდაშელის ოფშორულმა კომპანიამ პირველი საქმიანი გარიგება ეკონომიკის სამინისტროსთან 2018 წლის მარტში გააფორმა, როცა მათგან თბილისში, ელბაქიძის ქუჩაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობა იყიდა.

- 2018 წლის აპრილში იყიდა სანატორიუმი ლიბანი;
- 2018 წლის ივნისში იყიდა სამკურნალო კურორტი ახტალა;
- 2021 წლის იანვარში იჯარით აიღო 104 000 ჰა ტყე რაჭაში (საბოლოოდ 97 000 ჰა);
- 2021 წლის ოქტომბერში იყიდა 5.5 ჰა მიწა ფოთში, მალთაყვაში;
- 2022 წლის მარტში იყიდა 1.5 ჰა მიწა და მასზე განთავსებული 9 172 კვ.მ. შენობა- ე.წ "რიყის დოქები" თბილისში.

ამ ქონების უმრავლესობას საერთო ის აქვს, რომ ხიდაშელმა ისინი შეღავათიან ფასად მიიღო იმ პირობით, რომ ამ ადგილებში ინვესტიციას ჩადებდა. თუმცა, პირობა არც ერთ შემთხვევაში შეუსრულებია და დღემდე ეს ობიექტები ისევ ისე გამოიყურება ან უარესად, როგორც ხიდაშელის ხელში გადასვლამდე. სახელმწიფო კი ხიდაშელის მიერ პირობების დარღვევებზე დუმს და მორჩილად უგრძელებს ვალდებულებების შესრულების ვადებს.

თბილისი

პირველი ქონება, რომელიც ხიდაშელის კომპანია შპს "გლობალ ვიქთორი ჯეორჯიამ" სახელმწიფოსგან უპირობო აუქციონით მიიღო თბილისში, ე.წ. ელბაქიძის აღმართზე, ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე მდებარეობს. 2018 წელს ეკონომიკის სამინისტრომ აუქციონზე გამოიტანა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ღვინის ქარხნის სარდაფი და პირველი სართული, ჯამში 523 კვ.მ. ხიდაშელმა ქონება 1.6 მილიონ ლარად იყიდა. თუმცა, მისი უკან დაბრუნება მოუწია. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ სახელმწიფომ აუქციონზე

სხვისი, კერძო მესაკუთრის ქონება გამოიტანა. შპს "ვერე უძრავი ქონებამ" ამ საქმეზე იჩივლა და სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქონება 2022 წელს უკან დაიბრუნა.
დავით ხიდაშელი მედიასთან თვითონვე ამბობს, რომ საქართველოში 47 პროექტი აქვს დაგეგმილი და ყველა მათგანს დაასრულებს, რაც არ უნდა ხელი შეუშალონ. თუმცა, ყველა ის პროექტი, რომელზეც სტატიაში გიყვებით, ბოლომდე მიყვანილი არ არის.

კურორტი ახტალა

კურორტი ახტალა გურჯანიის მუნიციპალიტეტში მდებარეობს და თავისი მახასიათებლებით უნიკალურია მთელ კავკასიაში. აქ ბუნებრივად, მზის გულზე ადუღებული ტალახის აბაზანებით მკურნალობენ ცერებრულ დამბლას, სახსრებისა და ძვლების პრობლემებს, კუნთების მოდუნებასა და ატროფიას, ანთებით პროცესებს, გინეკოლოგიურ და დერმატოლოგიურ პრობლემებს.

კურორტი ახტალა გაშენებულია 20 ჰა ტერიტორიაზე. კურორტზე შეგხვდებათ საცხოვრებელი კორპუსები, საპროცედურო შენობა, მოთუხთუხე ტალახი, სკვერი, უნიკალური მინერალური წყალი და გასართობი სივრცეები. ამ ტერიტორიის დიდი ნაწილი, 16 ჰა, სს "კურორტ ახტალას" ეკუთვნის. ამ კომპანიის მფლობელი კი 2018 წლიდან შპს "გლობალ ვიქტორი ჯეორჯიაა."

ხიდაშელი ამ უკანასკნელს არაბული კომპანიის მეშვეობით ფლობს. სწორედ ამიტომ ფიქრობენ გურჯაანელები, რომ ახტალა ახლა არაბების ხელშია. სინამდვილეში, მისი მფლობელი დავით ხიდაშელია, რომელმაც 16 ჰა-მდე მიწაზე აწყობილი საკურორტო ინფრასტრუქტურა 3.7 მილიონ ლარად, ანუ ერთი კვადრატული სულ რაღაც 23,5 ლარად იყიდა.

2018 წელს სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ახტალა აუქციონზე გამოიტანა და თან პირობებიც მოაყოლა. ახალი მეპატრონე ვალდებული იყო, 4 წელში ახტალას ტერიტორიაზე 12 მილიონი ლარის ინვესტიცია განეხორციელებინა. იმის გარანტად, რომ ამ პირობის შესრულება ნამდვილად შეეძლო, კომპანიამ წარადგინა 1.2 მილიონი ლარის საბანკო გარანტია, რომლის გამოთხოვის უფლება სახელმწიფოს იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ გარიგებით ნაკისრი ვალდებულებები არ შესრულდებოდა.

ხიდაშელის კომპანიას ახტალაში 120-ნომრიანი სასტუმრო უნდა აეშენებინა, ტერიტორიაზე უნდა მოეწყო ღია და დახურული აუზები, კვების ობიექტები და დასასვენებლი სივრცეები. სასტუმრო კომპლექსში კი მინიმუმ ორი წლის ვადით 50-მდე ადამიანი უნდა დაესაქმებინა. გამოდის, რომ ახლა ახტალაში თანამედროვე ტიპის კურორტი უნდა იყოს და ადგილობრივებს სამუშაო ადგილებიც ჰქონდეთ.

ახტალაში 2024 წლის აგვისტოში ვიყავი. მინდოდა, მენახა რა გააკეთა ხიდაშელმა კურორტზე. იქ დაწყებული ან დასრულებული მშენებლობა არსად მინახავს. მხოლოდ ერთ ადგილას იყო ამოჭრილი საძირკველი, ისიც იმდენი ხნის მიტოვებული, რომ იქ უკვე ბალახი და პატარა ხეებიც კი იყო ამოსული. იქვე მცხოვრებმა ადგილობრივებმაც დამიდასტურეს, რომ ამ ტერიტორიაზე ბოლო 6 წელში არაფერი გაკეთებულა.

ასე გამოიყურება კურორტი ახტალა ახლა

მერე ახტალას სარეაბილიტაციო ცენტრის დირექტორის მოადგილეს, თედო შუხოშვილს ვკითხე, ხომ არ იცის, რა ისმის ინვესტორის დაპირებებზე. მისი თქმით, კომპანიისთვის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი ის იყო, რომ მერიასთან ვერ შეთანხმდა კურორტის ცენტრში მდებარე ნაკვეთის მიღებაზე. ამ ტერიტორიაზე

ქალაქ გურჯაანის მთავარი სკვერია მოწყობილი და ადგილობრივებისთვის მიმზიდველი დასასვენებელი სივრცეა.

არადა, ხიდაშელმა "კურორტ ახტალას" ყიდვისას ზუსტად იცოდა, რომ კურორტის შუაგულში ეს გამწვანებული ტერიტორია სახელმწიფოს ეკუთვნოდა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია განკარგავდა.

ერთადერთი, რაც ინვესტორმა ხიდაშელმა ამ კურორტზე გააკეთა, მცირე კოსმეტიკური რემონტია. კურორტის შესასვლელში ორსართულიანი შენობა დგას, რომლის პირველი სართული ადმინისტრაციას უჭირავს, მეორეზე კი მცირე ზომის სასტუმროა მოწყობილი. ხიდაშელის კომპანიამ ეს შენობა მხოლოდ გარედან შეღება და სველი წერტილების ნაწილი გაარემონტა. 2019 წელსვე მოასუფთავა ადგილი, სავარაუდოდ, იქაც სასტუმროსთვის, თუმცა მშენებლობა აღარავის დაუწყია.

ხიდაშელის კომპანიამ ამ ადგილზე ძველი შენობა დაანგრია და საძირკველი დატოვა

"აქამდე უნდა აშენებულიყო, რა გითხრათ აბა? რამდენ ხანში აშენდება, ეგ კაცმა არ იცის ჯერ... გადაცემულია მერიაში უკვე პროექტი, რაც უნდა გაკეთდეს. რა იქნება, ვნახოთ, შემოდგომაზე დავიწყებთო და ალბათ, არჩევნებს ჩაატარებენ და დაიწყებენ...", - გვითხრა კურორტ ახტალას დირექტორის მოადგილემ, თედო შუხოშვილმა.

ახტალაში სეზონი აპრილში იწყება და დეკემბრამდე გრძელდება. ახლა, სეზონზე პროცედურას 600-700 ადამიანს უტარებენ. ადრე კი, როცა ახტალა სრულად ფუნქციონირებდა, დღეში 500 პროცედურამდე კეთდებოდა. შუხოშვილის თქმით, ახლა კურორტს ყველაზე მეტად ადამიანების განთავსება უჭირს, რადგან სველი წერტილები ყველგან არ აქვთ და 60 ადამიანზე მეტის მიღება ფიზიკურად უჭირთ. ხიდაშელის დაპირებული სასტუმრო კი ამ პრობლემას გადაჭრიდა და კურორტის გამტარუნარიანობაც გაიზრდებოდა.

გურჯაანის მერიას ვკითხეთ, რა მდგომარეობაში იყო კურორტი ახლა, რა კომუნიკაცია ჰქონდათ ინვესტორთან, როდემდე გადაიწია მშენებლობის ვადამ და რას აპირებს მერია და ინვესტორიც. ასევე ვთხოვეთ, მერიასა და ინვესტორს შორის არსებული ოფიციალური მიმოწერის გაზიარებაც. დოკუმენტები არ მოგვაწოდეს, თუმცა მოგვწერეს, რომ კომპანიამ მათ ახლახან, 2024 წლის თებერვლის ბოლოს მიმართა სამშენებლო ნებართვაში სასტუმროს დიზაინის ცვლილების მოთხოვნით, რაზეც უარი უთხრეს. არადა, 2024 წლის ზაფხულზე აქ უკვე მრავალსართულიანი სასტუმრო უკვე აშენებულიც და ამოქმედებულიც უნდა ყოფილიყო. მერიამ ისიც დაგვიზუსტა, რომ პროექტის ცვლილებისთვის წარდგენილი დოკუმენტაციები არასრულყოფილი იყო, კომპანიას წინასაპროექტო კვლევაც კი არ ჰქონდა მომზადებულიო.

როგორც უკვე გითხარით, მშენებლობისთვის კომპანიას 6 წელი ჰქონდა და პირობა რომ კეთილსინდისიერად შეესრულებინა, ახლა კურორტს "ახალი სიცოცხლე" ექნებოდა.

შეუსრულებელი დაპირებების გამო, წესით, ეკონომიკის სამინისტრო ინვესტორს ქონების უკან დაბრუნებას უნდა სთხოვდეს. ფაქტია, ეს არ მომხდარა. ამას ისიც ადასტურებს, რომ საჯარო რეესტრის მიხედვით, ეს ტერიტორიაც და სს "კურორტი ახტალა" ისევ დავით ხიდაშელის კომპანიის ხელშია.
ქონების ეროვნულ სააგენტოს ინტერვიუსთვის დავუკავშირდით, რომ მათგან მოგვესმინა, რას გეგმავენ ამ კურორტთან დაკავშირებით, აპირებენ

კურორტ ახტალას ეზო, 2024 წლის აგვისტო

კურორტ ახტალას ეზო, 2024 წლის აგვისტო

თუ არა დაიბრუნონ სახელმწიფო საკუთრება
და დააჯარიმონ უპასუხისმგებლო ინვესტორი,
რომელმაც კურორტის განვითარება შეაფერხა.
სამწუხაროდ, სააგენტომ ჩვენთან ინტერვიუზე უარი
განაცხადა. ამბის გარკვევა საჯარო ინფორმაციის
გამოთხოვით მანამდეც და მერეც ვცადეთ. ჩვენს
წერილებზე პასუხისთვის კანონით დადგენილი
ვადები ამოიწურა, თუმცა რეაგირება ისევ არ ჩანს.

სანატორიუმი ლიბანი

2018 წელს ხიდაშელმა სახელმწიფოსგან კიდევ
ერთი საკურორტო ადგილი იყიდა. ამჯერად,
ბორჯომიდან 10 კმ-ში მდებარე სანატორიუმი
ლიბანი.

ეს ადგილი ზღვის დონიდან 1 370 მეტრზე
მდებარეობს და მისი ჰაერის შემადგენლობის გამო
მეორე აბასთუმანსაც უწოდებენ. მეოცე საუკუნის
პირველ ნახევარში სწორედ ტუბერკულოზისა და
ფილტვის დაავადების სამკურნალოდ აშენდა აქ
სანატორიუმი და მომსახურე პერსონალისთვის
სოფელიც გაშენდა. სანატორიუმი 90-ან წლებამდე
ფუნქციონირებდა, შემდეგ დაიკეტა, გაიძარცვა და
სახურავიც გადაძვრა.

სამსართულიანი შენობის მთავარი კორპუსი
სიგრძეში 153 მეტრია, ზედხედში კი ფრთაგაშლილი
არწივის ფორმას წაგავს. ნაგებობის მეორე
სართულზე 80 ოთახია. ამ შენობას 2017 წლის
30 ივნისს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის
სტატუსიც მიენიჭა.

სანატორიუმის მთლიანი ინფრასტრუქტურა 5.2
ჰა ტერიტორიაზეა განლაგებული. უძრავი ქონება
ხიდაშელის კომპანია "ჯიენდიმ" მთავრობისგან 1
მილიონ ლარად იყიდა, ანუ კვადრატული მეტრი
სულ რაღაც 19 ლარად.

სახელმწიფომ ახალ მფლობელს სანატორიუმის
ძველი შენობის რეაბილიტაცია, 70-ნომრიანი
სასტუმროს გახსნა და მასში 8 მილიონი ლარის
ინვესტირება მოსთხოვა. ხელშეკრულება 2018
წელს გაფორმდა და ხიდაშელს ვალდებულებების
შესასრულებლად 4 წელი მისცეს.

2024 წლის აგვისტოში ლიბანში ჩასულს
კულტურული მემკვიდრეობის ეს ძეგლი ცხენების
სადგომად ქცეული დამხვდა. იქ 4 საათი გავატარე
და ამ დროშიც კი ტურისტების 6 ჯგუფი მოვიდა
გაძარცვული, მიტოვებული შენობის სანახავად.

აქაც ახალი გაკეთებული არაფერი ჩანს, გარდა,
დაახლოებით, 15-მეტრიანი ღობისა, რომელიც
უმისამართოდ დგას, და, გაურკვეველია რას იცავს
ან რისგან. ადგილობრივებს ვკითხეთ, რას ნიშნავდა
ეს ღობე. როგორც გვითხრეს, მათი ინფორმაციით,
ინვესტორს იმ გზის მითვისებაც უნდოდა, რომელიც
სოფელს ბორჯომთან აკავშირებს. ამას სოფელმა
წინააღმდეგობა გაუწია და ინვესტორიც დანებდა.
სწორედ ამის შემდეგ ააგო ეს ღობე სანატორიუმსა და
გზას შორის. არადა, ხიდაშელისთვის ახალი ამბავი არ
უნდა ყოფილიყო ის ფაქტი, რომ ქონებას, რომელსაც
ყიდულობდა მოჰყვებოდა სერვიტუტით დატვირთული
გზის ნაწილიც. ეს კი ნიშნავს, რომ მოსახლეობას ამ
გზით სარგებლობის უფლება აქვს. ეს ყველაფერი
ნასყიდობის ხელშეკრულებაშია განმარტებული.

სანატორიუმის მიმდებარედ, სოფელ ლიბანში გვითხრეს, ინვესტორის წარმომადგენელი აქ სულ ორჯერ ვნახეთ, რუსულად საუბრობდა და გვიყვებოდა, რომ შეფერხდნენ, რადგან კიდევ ერთი სართულის დაშენება უნდოდათ სანატორიუმზე და ამის უფლებას არ გვაძლევენო.

სოფელში ახლა 15 ოჯახია დარჩენილი. ნატალია მოწელიძე ლიბანში დაიბადა, მისი დედა და ბებია სანატორიუმში მუშაობდნენ. "ახლა რომ გაიყიდა, გვეგონა გაკეთდებოდა, ეს ადგილობრივებსაც დაგვეხმარებოდა, მაგრამ აქ მომუშავე არავინ მინახავს", - გვითხრა ნატალიამ, რომელსაც გზად გადავაწყდით.

ნატალია, ახლა, ძირითადად, რუსთავში ცხოვრობს, თუმცა ლიბანში დაბრუნება უნდა. დაბრუნებისთვის სჭირდება, რომ სოფელი განვითარდეს და ტურისტულად უფრო მიმზიდველი გახდეს. სანატორიუმის შენობასთან ახლოს, გზაზე, მიწის ნაკვეთიც აქვს. თუ ოდესმე სანატორიუმი სასტუმროდ გადაიქცევა, უნდა რომ ამ მიწის ნაკვეთზე თონე მოაწყოს. "აქ ჩავდგამ თონეს, ტურისტებს გავუმასპინძლდები და დავბრუნდები ჩემს მშობლიურ კერაში", - გვიმხელს ნატალია თავის სამომავლო ჩანაფიქრს და თან ახლადდაკრეფილ მაყვალს გვთავაზობს.

სანატორიუმში მუშაობდნენ კიდევ ერთი ადგილობრივის ოჯახის წევრებიც. ისიც ნატალიას მსგავსად სხვა ქალაქში ცხოვრობს, მაგრამ ლიბანშიც ხშირად ჩადის. მასაც იმედი ჰქონდა, რომ სანატორიუმი განახლდებოდა და ხალხი ამ ტერიტორიით მეტად დაინტერესდებოდა. "ახლა აქ ისევ დაბინძურებულია ყველაფერი, იქ შიგნით ვიღაცის საქონელიც მოკვდა, საშინელი სუნი იყო. თან რამდენი დაავადების გადამტანი შეიძლება იყოს. არადა, როცა მოვიდნენ, დაასუფთავეს, დაგვპირდნენ გავაკეთებთო, ადგილობრივებს დავასაქმებთო და სასტუმროს ავაშენებთო. იმედი გაჩნდა, რომ სოფელში ხალხიც დაბრუნდებოდა. მერე გაჩერდნენ და წარმოიდგინეთ, თქვენ და თანამდებობაზე მყოფმა ხალმა არ იცის, რატომ გაჩერდნენ და ჩვენ უბრალო ხალხს ვინ რას გვეტყვის?"

ხელშეკრულების მიხედვით, ხიდაშელს ნაკისრი ვალდებულებები 2022 წლის აპრილამდე უნდა შეესრულებინა, თუმცა ასე არ მოქცეულა. ვადა ისე ამოიწურა, რომ ინვესტორმა ლიბანის სანატორიუმს აუზი, რესტორანი, ავტოსადგომი და კეთილმოწყობილი ეზო კი არა, ახალი კარ-ფანჯარა და სახურავიც ვერ მოუწყო. პირობის დამრღვევმა კომპანიამ ვალდებულებების შესასრულებლად ვადის გახანგრძლივება კიდევ ორი წლით, ანუ 2024 წლის აპრილამდე ითხოვა და ამაზე ქონების ეროვნული სააგენტოც დათანხმდა.

ვალდებულები ისევ შეუსრულებელია. როგორც უკვე მოგიყევით, 2024 წლის 14 აგვისტოს ლიბანის სანატორიუმი ჩვენი თვალით დავათვალიერეთ და იქ 8 მილიონი ლარის ინვესტირების კვალი არაფერს ეტყობოდა.

ახტალისგან განსხვავებით, მთავრობამ 2024 წლის 19 აგვისტოს ხიდაშელის კომპანიას ნასყიდობის ხელშეკრულება გაუწყვიტა და ლიბანის სანატორიუმი ჩამოართვა.

რატომ დაიბრუნა სახელმწიფომ ლიბანის სანატორიუმი და თვალი აქვს დახუჭული ახტალის უძრავ ქონებაზე? ეკონომიკის სამინისტრომ ხიდაშელს ეს ორივე ქონება ხომ ერთი და იგივე წელს მიჰყიდა და პირობების შესასრულებლადაც ორივე მათგანზე იდენტური ვადა, 4-4 წელი მისცა.

ქონების ეროვნული სააგენტოს მხრიდან ერთ შემთხვევაში გამოჩენილი სიმკაცრე და მეორე შემთხვევაში პირობების დარღვევის უგულებელყოფა ბადებს ეჭვს, რომ ქონება დავით ხიდაშელის კომპანიას იმიტომ კი არ ჩამოართვეს, რომ ვალდებულებები არ შეასრულა, არამედ ეს თავად ინვესტორის სურვილი იყო.

როცა დავით ხიდაშელს ინტერვიუს შესათანხმებლად "ვოთსაფში" ვეკონტაქტებოდით, გამოგვიგზავნა წერილი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის აქვს გაგზავნილი. ამ წერილის მიხედვით, ის სააგენტოს სთხოვს, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების ნებართვის მოსაპოვებლად, ამ ძეგლის შესახებ დასკვნა მისცენ. წერილი შპს "ჯიდიენმა" სააგენტოში 2024 წლის 2 აპრილს გაგზავნა. არადა, აქ 70-ნომრიანი სასტუმრო 30 აპრილს უკვე ექსპლუატაციაში შესული უნდა ყოფილიყო. საინტერესოა, როგორ აპირებდა კომპანია სამუშაოების დასრულებას სულ რაღაც 28 დღეში.

სანაჯორიუმი ღიბანი.
ფოჯო გადაღებულია 2024 წლის
აგვისტოში

რაჭის ტყეები

2023 წლის ივლისში "მთის ამბებმა" გამოაქვეყნა სტატია იმაზე, თუ როგორ გადასცა მთავრობამ დავით ხიდაშელის კომპანიას რაჭაში 104 000 ჰა ტყე 49-წლიანი იჯარით. ამ ამბავზე, გადაცემისას, დანარჩენმა საქართველომ კი არა, თავად რაჭველებმაც კი არაფერი იცოდნენ.

მთავრობამ ტერიტორიის გადაცემის სანაცვლოდ შპს "ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკას" ვალდებულებად დააკისრა 5 წლის განმავლობაში 5 მილიონი ლარის ინვესტირება, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, სამონადირეო მეურნეობის მოწყობა, ცხოველების მონიტორინგი და ტყის მოვლა. მოსახლეობის აქტიური პროტესტის შემდეგ, გარემოს დაცვის სამინისტრომ ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების გამო ლიცენზია შეუჩერა.

შპს "ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა" დავით ხიდაშელის კომპანიაა. მასაც ოფშორული კომპანიის დახმარებით ფლობს. აქაც სწორედ ისე არ შეასრულა ვალებულებები, როგორც წინა ორ შემთხვევაში. ვადებში ვერ ჩაჯდა და რეალური ქმედებები, რითაც დაამტკიცებდა რომ შესრულებას აპირებდა არც კი დაუწყია.

ხიდაშელთან ინტერვიუს მცდელობისას, მან რამდენიმე დოკუმენტი გამოგვიგზავნა, ერთ-ერთი იყო წერილი გარემოს დაცვის მინისტრისთვის. წერილში კომპანიის დირექტორი წერს, რომ ტელევიზიით სამინისტროს წარმომადგენლის ინტერვიუდან გაიგო, რომ ლიცენზიით განსაზღვული ტყის ფართობის კომპანიისთვის გადაბარების პროცესი შეჩერებულია, ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო. არადა ამ წერილიდან ირკვევა, რომ ფართობის გადაბარების პროცესი საერთოდ არ ყოფილა დაწყებული. შესაბამისად, არც მას დაუწყია სალიცენზიო ვალდებულებების შესრულება და სამინისტროს გადაწყვეტილებას, გადაცემის პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით უსამართლოდ მიიჩნევს.

წერილში იმასაც ვკითხულობთ, რომ სამინისტრომ გასცა სამონადიორეო მეურნეობის ახალი ლიცენზია, რომელშიც ფართობი დაკორექტირდა და 104 000 ჰა-ის ნაცვლად 97 000 ჰა-მდე შემცირდა. ეს კიდევ ერთი მიზეზი იყო კომპანიისთვის პროცესის გაჭიანურების. ხალხის პროტესტზე გაბრაზებულმა ხიდაშელმა განაცხადა, ლიცენზია და კომპანია გავასხვისე და ახლა ამას ესპანეთის სამონადირეო მეურნეობასთან დაკავშირებული კომპანია და ქართული კომპანია გააკეთებენო. ამ ამბიდან თითქმის 1 წელი გავიდა, თუმცა საჯარო რეესტრში არც კომპანიის მეწილეებიის ცვლილება ფიქსირდება და არც მეურნეობის ლიცენზია გასხვისებულა, რადგან სამინისტრომ ის უბრალოდ გააუქმა.

ფოთის მიწა

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ბოლო წლებია ხედავს, რომ ხიდაშელის კომპანიები ვალდებულებებს არ ასრულებენ. ამის მიუხედავად მთავრობა ბიზნესმენთან საქმიან გარიგებებს მაინც აგრძელებს. მორიგი ქონება, რომელიც ხიდაშელის კომპანიას შპს "გლობალ ვიქტორი ჯეორჯიას" 2021 წელს, 1.2 მილიონ ლარად გადასცა 5.5 ჰა მიწა მალთაყვაში, ფოთში, ზღვის სანაპიროსთან ახლოს, საკურორტო-სარეკრეაციო ზონაში. ხიდაშელმა ზღვის სანაპიროზე 1 კვ.მ მიწაში 23 ლარამდე გადაიხადა.

ამ შემთხვევაში სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მყიდველისთვის პირობებიც კი არ დაუწესებია. არადა, 2020 წლის დასაწყისში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო იგივე

ნაკვეთის გასხვისებას აუქციონის საშუალებით ცდილობდა. მაშინ აუქციონი ჩაიშალა. თუმცა, საინტერესო ისაა, რომ მაშინ ნაკვეთის ფასი 2.5 მილიონი ლარი იყო და მყიდველს პირობებსაც უწესებდნენ: 3.5 წელში უნდა აეშენებინა სასტუმრო და აემოქმედებინა კიდეც. მომდევნო აუქციონი 2021 წლის აპრილში გამოაცხადეს. ამჯერად ფასი უკვე განახევრებული იყო და სასტუმროს აშენების პირობაც არ ახლდა თან. ეს აუქციონიც ჩაიშალა.

შემდეგი აუქციონი, რომლითაც მიწა ხიდაშელის კომპანიამ იყიდა, 2021 წლის აგვისტოში გამოცხადდა და მყიდველისთვის რაიმე პირობა არც აქ ყოფილა წაყენებული. აუქციონის გვერდზე მითითებულია, რომ ნაკვეთის სამომავლოდ განვითარების პროფილი, შესაძლოა, იყოს სასტუმრო. რაში აპირებს ხიდაშელის კომპანია ამ ნაკვეთის გამოყენებას, უცნობია. ამ დრომდე იქ არაფერი აშენებულა.

თბილისი - რიყის დოქები

2022 წლის მარტში ხიდაშელის ოფშორულმა კომპანიამ, "გლობალ ვიქთორი თრასთმა" ეკონომიკის სამინისტროსგან თბილისში, რიყის პარკში მდებარე ე.წ. დოქები 10 მილიონ ლარად შეიძინა. დოქები სააკაშვილის მმართველობის დროს აშენდა და მის მიმართ "ქართული ოცნების" წევრებს კრიტიკა არაერთხელ გაუჟღერებიათ.
ეს 9173 კვ.მ ნაგებობა რიყეზე 1.5 ჰა-მდე მიწაზეა დადგმული და თავიდან ჩანაფიქრი იყო, რომ აქ საკონცერტო დარბაზი მოწყობილიყო. "ქართული ოცნების" მთავრობაში მოსვლის შემდეგ, ეკონომიკის სამინისტრო ამ ქონების გასხვისებას 2 წლის განმავლობაში ცდილობდა და თავდაპირველად მისი გაყიდვა 95 მილიონ ლარად უნდოდა.

ხიდაშელის კომპანიამ დოქების დაბალ ფასად ყიდვის სანაცვლოდ, ვალდებულებაც აიღო: მომდევნო სამი წლის განმავლობაში ამ შენობაში 20 მილიონი ლარი უნდა დაებანდებინა და იქ ღვინის, ციფრული ხელოვნების და ტექნოლოგიების მუზეუმი მოეწყო.
ამ შენობაზე მანამდე აქუციონი რამდენჯერმე ჩატარდა, თუმცა ყველა ჯერზე ჩაიშალა. შენობას ყიდვის მსურველი არ გამოუჩდნა.
იქამდე, სანამ რიყის დოქები ხიდაშელის კომპანიის საკუთრება გახდებოდა მოთხოვნებსა და ვალდებულებებში არსად იყო დაკოკრეტებული რა უნდა ყოფილიყო აქ. მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია რომ მრავალფუნქციური კომპლექსი უნდა ყოფილიყო საგამოფენო სივრცეებით ან სასტუმრო.

ეკონომიკის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა 2022 წლის თებერვალში, რიყის დოქების კიდევ ერთი, ახალი აუქციონის გამოცხადებამდე განაცხადა, რომ არსებობდა რიყის დოქებით დაინტერესებული პირები, რომელთა მომართვის საფუძველზეც ცვლილება შევიდა აუქციონის პირობებში. მინისტრმა თქვა, რომ მთავრობის სურვილია ამ ტერიტორიაზე გაჩნდეს ტურისტული მიზიდულობის ცენტრი. სწორედ ამ აუქციონზე შეიძინა დავით ხიდაშელის უცხოურმა კომპანიამ GLOBAL VICTORY TRUST-მა რიყის დოქები . ბრძანება კი აუქციონის პირობების ცვლილებაზე 2021 წლის 28 დეკემბერს გამოსცა. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის გვინდოდა გვეკითხა, რატომ მისცეს ინვესტორს მათ კომპეტენციაში ჩარევის უფლება, თუმცა როგორც უკვე გითხარით, მათ ყველანაირი სახის ინტერვიუზე უარი გვითხრეს.

"დოქების" შენობა ისევ ცარიელია და კვლავ ისე გამოიყურება, როგორც გაყიდვამდე. აქ არც მუზეუმი მოწყობილა და ხიდაშელის მიერ აღებული სხვა ვალდებულებების მსგავსად, ამის შესრულების ბედიც გაურკვეველია. სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და თბილისის მერიას სექტემბრში ვკითხეთ, რა ბედი ელის რიყის დოქებს, ამოწმებდნენ თუ არა პროექტის პროგრესს და რას აპირებს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო იმ ფონზე, როდესაც ინვესტორი ვალდებულებებს არ ასრულებს. პასუხისთვის მერიამ წერილი სააგენტოს გადაუგზავნა, მათ კი აქამდე არაფერი უპასუხიათ.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, დავით ხიდაშელის სამივე კომპანიას - "ჯიენდი", "გლობალ ვიქტორი ჯეორჯია" და "ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა" მცირე ბიზნესის სტატუსი აქვს. ეს ნიშნავს, რომ მათი წლიური ბრუნვა 500 000 ლარს არ აღემატება. მსგავსი სურათია რეპორტალზეც - "გლობალ ვიქტორი ჯეორჯიას" ანგარიშში ვკითხულობთ, რომ მისი ძირითადი შემოსავალი დამფუძნებლების მიერ შეტანილი თანხაა. ბუნებრივია, გვიჩნდება კითხვა, როგორ აპირებდნენ ასეთი ფინანსური რესურსის მქონე კომპანიები ჯამში 25 მილიონი ლარის საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებას. ამის კითხვა დავით ხიდაშელისთვისაც გვინდოდა, თუმცა ის ინტერვიუზე არ დაგვთანხმდა.
2022 წლის ბოლოს ხიდაშელმა ტექნიკურ

უნივერსიტეტში, უნივერსიტეტთან ერთად ფონდი დააფუძნა, რომლის ბიუჯეტიც 1 მილიონი ლარი უნდა ყოფილიყო. მიზანი კი სტუდენტების პროექტების დაფინანსებაა. ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი და რექტორის მრჩეველი მიხეილ ჯანიკაშვილი ტ/კ ფორმულასთან ინტერვიუში მაშინ ამბობდა, რომ ხიდაშელმა ფონდის შექმნის სურვილი თავად გამოთქვა: "ის რომ ჩარიცხავს, წარვადგენთ პროექტებს, ფონდი განიხილავს რომელი პროექტი უნდა დაფინანსდეს".
ეს დაპირებაც ისეთივე ტყუილი აღმოჩნდა,

როგორც ყველა სხვა, ზემოთ რომ გიამბეთ. ჩვენ ჯანიკაშვილს 2024 წლის ოქტომბერში დავუკავშირდით და ვკითხეთ, ორი წლის თავზე რამდენი პროექტი დააფინანსა ფონდმა. ჯანიკაშვილმა გვითხრა, რომ ის ახლა დაინიშნა, აგვისტოს შემდეგ და არ აქვს ინფორმაცია იმაზე, მანამდე იყო თუ არა რომელიმე პროექტი დაფინანსებული.

"ჩვენ ახლა გავაკეთებთ იდეების კონკურსს. ახლა არის 10-15 იდეა, კომისიური წესით უნდა განვიხილოთ და ვინც გაიმარჯვებს ამ კონკურში, მისი დაფინანსება მოხდება ამ ფონდიდან, ნაწილობრივ... მანამდე, მე არ ვიცი იყო თუ არ იყო [პროექტი დაფინანსებული], მე ვიცი ახლა რასაც ვაკეთებთ, ჩემი დანიშვნის შემდეგ", - გვითხრა ჯანიკაშვილმა სატელეფონო ინტერვიუს დროს.

ვესაუბრეთ დავით ხიდაშელსაც "ვოთსაფის" რუსულ ნომერზე. ვუთხარით, რა თემაზე ვამზადებდით სტატიას და ინტერვიუს დანიშვნისთვის კონკრეტული ვადა მივეცით. გავუგზავნეთ კითხვებიც. პასუხად მოგვწერა, რომ მხოლოდ არჩევნების შემდეგ გაგვესაუბრებოდა და დაგვემუქრა კიდეც, იმ შემთხვევაში, თუ სტატიაში არასწორ ინფორმაციას დაწერთ, სასამართლოში გიჩივლებთ და მოვიგებ, როგორც ეს უკვე ვქენი არაერთ სხვა მედიასთანო.

დავით ხიდაშელს კომუნიკაციის ყველა ფორმა შევთავაზეთ - პირისპირ ინტერვიუ, ონლაინ ინტერვიუ, კითხვებზე წერილობით პასუხი. სტატიის გამოქვეყნებამდე სამდღიანი კომუნიკაციისას ბიზნესმენმა მოგვაწოდა მისი კომპანიებისა და სახელმწიფო უწყებების მიმოწერები, ასევე იმ პროექტების მაკეტები, რომელიც უნდა განეხორციელებინა.
ხიდაშელს რამდენჯერმე გავუმეორეთ კითხვა - რატომ ვერ შეასრულა ვალდებულებები ამ 6 წელში? რაზეც გვიპასუხა: "როგორ ფიქრობთ, რა პროექტებიცაა გაკეთებული (გულისხმობს გამოგზავნილ მაკეტებს), 10 მილიონი ლარი ეყოფა? თუ 10-ჯერ მეტია საჭირო? და მაგ რია-რიაში რომელი გიჟი ინვესტორი ჩადებს ინვესტიციას, სანამ საინვესტიციო კლიმატი არ იქნება და ხელს შეუწყობს ყველა, თქვენი ჩათვლით (მედიას გულისხმობს). თქვენ კი იმას ფიქრობთ, ცუდად როგორ აჩვენოთ..."

დავით ხიდაშელი კი უკმაყოფილოა მედიის კრიტიკული დამოკიდებულებით, მაგრამ საგამოძიებო მედიის საქმე სწორედ ისაა, რომ პრობლემებსა და სისტემურ დარღვევებზე საზოგადოებას დროულად მიაწოდოს ინფორმაცია. ამ შემთხვევაშიც გიამბეთ იმაზე, როგორ გადასცა მთავრობამ მის მოკავშირეს სახელმწიფო ქონება შეღავათიან ფასად და როგორ ხუჭავს სისტემა თვალს ინვესტორის მიერ პირობების დარღვევაზე მაშინ, როცა მას ეს აწყობს.

გამოთქმული შეხედულებები, მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის მხოლოდ ავტორს და არ შეიძლება ასახავდეს ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის თავისუფლებისთვის სამხრეთ კავკასიის ოფისის ოფიციალურ შეხედულებებს ან პოზიციებს. ნაშრომი წარმოადგენს ავტორის დამოუკიდებელ ანალიზს და შეხედულებებს, რომლებიც შეიძლება არ ემთხვეოდეს ფონდის პოზიციებს განხილულ საკითხებზე.

ლიბერალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის გთავაზობთ სამოქალაქო განათლებას გერმანიასა და მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში. სამხრეთ კავკასიის რეგიონში ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიის, მედიისა და პოლიტიკის წარმომადგენლებთან. ჩვენ ერთად ხელს ვუწყობთ დემოკრატიულ განვითარებას, ვიბრძვით დეზინფორმაციისა და ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ, მხარს ვუჭერთ ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობას და ხელს ვუწყობთ ინოვაციურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც დაფუძნებულია სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე. გარდა ამისა, ჩვენ ხელს ვუწყობთ დიალოგს სამხრეთ კავკასიაში.

ამ პუბლიკაციაში მოწოდებული QR კოდის სკანირებით, თქვენ გადახვალთ ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის სამხრეთ კავკასიის ვებ-გვერდზე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ეს ვებ-გვერდი არ არის დაკავშირებული პუბლიკაციის ავტორთან ან გამომცემელთან და პუბლიკაციაში გამოთქმული აზრები შეიძლება არ ემთხვეოდეს ფონდის პოზიციას, ასევე ვებ-გვერდის შინაარსი არ არის მოწონებული ან დამოწმებული პუბლიკაციის ავტორების მიერ. ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის ვებ-გვერდი მითითებულია მკითხველთათვის, რომლებიც შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ ფონდის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღებით.

WWW.BLACKBOOK.GE